



მასწავლებელი

განათლების რეფორმის
სტრატეგია

მასწავლებლის
სერტიფიკაციის
სერტიფიკაცია

რა სჭირდებათ
ემოციებს




საქართველოს
განათლების
მინისტრო



საქართველოს
საერთაშორისო
სწავლასთან

N2, 2010





შურნალი მასწავლებელი აბრძელებს კონკურსს!

მასწავლებელთა თანამშრომლობის პროექტზე

ჩაერთეთ კონკურსში! გაბვიწიარეთ თქვენი გამოცდილება!



გამოგვიგზავნეთ პროექტის გეგმა

საუკეთესო პროექტის ავტორები საჩუქრად მიიღებენ შურნალ „მასწავლებლის“ ერთწლიან ხელმოწერას და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემების სრულ კომპლექტს!

კონკურსის დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო პროექტი გამოვლინდება. პროექტის გეგმები შურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომრებში დაიბეჭდება!



**საკონკურსო მასალა მოგვანოდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე
ან გამოგზავნეთ ელ.ფოსტის საშუალებით:**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95, ფაქსი: (+995 32) 95 58 36

ელ. ფოსტით: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

რედაქტორისგან



„პირველი და უმთავრესი ბავშვების სიყვარულია. ამ სიყვარულის გარეშე მასწავლებლის ნათქვამი ვერასდროს აღწევს მოსწავლეებამდე. ამასთან, მასწავლებელმა საკუთარ თავს უნდა შთააგონოს, რომ სწავლა და ცოდნის მუდმივი განახლება აუცილებელია. მასწავლებლობა ურთულესი პროფესიაა

და იგი უფრო და უფრო რთული ხდება, ამიტომაც ის მეტად უნდა დაფასდეს და ნახალისდეს სახელმწიფოს მხრიდან“, – გაგვიზიარა თავისი მოსაზრებანი ინტერვიუს დროს განათლების ფსიქოლოგმა ქეთი მაქლეინმა. საქართველოში იგი ხელმძღვანელობს ერთ-ერთ პროგრამას, რომელიც სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების დახმარებას ითვალისწინებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ქცევის მართვასთან დაკავშირებული სიძნელეები მასწავლებლებს ყველაზე მეტად აწუხებთ. ინკლუზიური განათლების საყოველთაო აღიარებამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები ახალი უნარ-ჩვევების განვითარების აუცილებლობის წინაშე დააყენა.

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში ვეცადეთ, რამდენიმე სტატია სწორედ ინკლუზიური განათლების პრობლემებზე მოგვეწოდებინა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ზოგადი განათლების ხუთწლიანი სტრატეგიაში, პრიორიტეტად გამოყო ინკლუზიური სწავლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

ნებაყოფლობითი რეგისტრაციის საფუძველზე, შეიქმნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა მონაცემების ბაზა. ასევე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების, სპეციალური პროგრამების შექმნისა და მასწავლებელთა გადამზადების მეშვეობით, მოხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა ინტეგრაცია ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში.

ეს ყველაფერი, ბუნებრივია, უკეთესი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მოლოდინს გვიჩენს და ამ პროცესში მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია.

ჟურნალი „მასწავლებელი“ ისევ ელის თქვენს გამომხატვრებს ამ, და არამხოლოდ ამ თემებზე და შეეცდება, იყოს თქვენი მეგობარი რეფორმისა და ახალი გამოწვევების გზაზე.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი



ჩვენი მიზანია მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ინფორმირების, დისკუსიის ნახალისებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ჟურნალი ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას.

მასწავლებელი N2(8), 2010

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამომცემა პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისთვის! მოიკითხეთ ჟურნალი თქვენს სკოლაში.

რედაქლეტორი:

ზინა მამულაშვილი, პაატა სირგილაძე
თამარ მოსიაშვილი, პაატა პაპაძე
ნათია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორი:

ნატო ინგოროყვა

რედაქტორი:

ირაკლი კახაბაძე

სტილისტი:

ირმა ტაშვილიძე

დიზაინი:

პანკა დანელია

ფოტო:

ბელა ჯაფარიანი

მხატვარი:

მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:

მანია მინაშვილი

ჟურნალის ტიპი:

ბელა ჩეპურიშვილი, ირმა კახურაშვილი,
მანია რაზმაძე, თამარ კაციტაძე,
ალექს ციციტიშვილი

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და „მასწავლებლის“ რედაქციის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ISSN 1987-6149

UDC 371.1

8-374

გამოიწიეთ პროფესიული ჟურნალი მასწავლებელი

ღარაკეთ:

შპს „ნიგნის სამყარო“: 45 33 79

სს. „მაცნე“: 37 47 49, 22 64 58

„ელვა-სერვისი“: 38 26 73, 28 26 74

სტატიები

ექსპერტი

7

თამარ მოსიაშვილი მასწავლებელთა სერტიფიკაციის უნახავ

რამდენად ასახავს სასერტიფიკაციო გამოცდა მასწავლებლის კვალიფიკაციას და რამდენად კარგად ამომწებებს მის მიერ წარმართული სასწავლო პროცესის ხარისხს? წერილში შევეცდებით, მკითხველს გავაცნოთ მასწავლებელთა სერტიფიკირება მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო მოთხოვნებისა და სკოლების უწყვეტი განვითარების კონტექსტში.

10

კავლე თვალთაშვილი სასწავლო პროექტი - ნებისმიერი მასწავლებლისთვის ხელისაწყო ინსტრუმენტი

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, პედაგოგები პროექტს უნდა იყენებდნენ მიღწეული შედეგების გასააზრებლად ყველა ეტაპზე: მიმდინარე და შემაჯამებელი, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისას. სასწავლო პროექტების მნიშვნელობა და მისი განხორციელების საშუალებები.



13

რუსუდან ჭანტურია ვსწავლობთ რაოდენიმე ენაზე

როგორ შეიძლება დაინერგოს მულტილინგვური სწავლება სკოლაში და სწავლების რა მოდელების გამოყენება არის შესაძლებელი. სამოქალაქო ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით.

პროკლემა

16

თინათინ ჭინჭარაული საეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მართვის მართვის სტრატეგიები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ქცევის მართვასთან დაკავშირებული სიძნელეები მასწავლებლებს თითქმის ყველაზე მეტად აწუხებთ. ინკლუზიური განათლების საყოველთაო აღიარებამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები ახალი უნარ-ჩვევების განვითარების წინაშე დააყენა.



რუბრიკები

მოსაზრება

18

ნინო ელვაძიკა რა სჭირდება მოსწავლეს

რატომ არის მნიშვნელოვანი მშობლებზე კვლევის ჩატარება განათლების სისტემისათვის, რაში სჭირდებათ მშობლებს ჩვენი დახმარება და როგორ დავეხმაროთ მათ.

23

ნუგზარ ბარდაველიძე სამხედრო-პატრიოტული აღზრდა და მისი ისტორია

უპირველეს ყოვლისა, ჯერ თავად პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ ნათლად გააზრებული, თუ რა არის და როგორ მიიღწევა სამხედრო-პატრიოტული აღზრდა. შემდეგ მათ კომპლექსურად და პერმანენტულად უნდა განახორციელონ იგი. სკოლამ უნდა შეძლოს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბება.

მრგვალი მაგიდა

31

ირმა კახურაშვილი ინტერაქტიული გარემო და სწავლების მეთოდები

მოსწავლე მზად უნდა იყოს მულტიკულტურულ მსოფლიოში საცხოვრებლად და სამუშაოდ. ამის აუცილებელი წინაპირობა კი ინტერკულტურული განათლებაა, რომლის არსი, უპირველესად, პედაგოგებმა უნდა გაიზიარონ.

პროკლემა

35

თამარ კაციტაძე მასწავლებლები სასერტიფიკაციო გამოცდების წინ

სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადება გასულ წელს დაიწყო. სახელმწიფომ ყველა მსურველ მასწავლებელს ვაუჩერები დაურიგა: ორი საგნობრივ სწავლებასა და ორიც პროფესიულ უნარ-ჩვევებში მომზადებისათვის. ამით მათ კონკურსის წესით გამოვლენილ ორგანიზაციებში ტრენინგების გავლის საშუალება მიეცათ.

პრობლემა

20

**ალაკო ცჰიტიშვილი
მასწავლებლის პროფესია - არჩევანი
და პირველი ნაბიჯები**

მასწავლებლის პროფესიის დაუფლება არ მთავრდება უმაღლესი სასწავლებლის დასრულებით ან სერტიფიკატის აღებით. ეს პროფესია მუდმივ თვითგანვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას გულისხმობს.

43

**ნინო ბელოვანი
ჰიპერაქტიური ბავშვები**

მოსწავლეების ჰიპერაქტიურობა და ყურადღების დეფიციტის პრობლემა დიდ სირთულეს წარმოადგენს ირგვლივმყოფებისთვის, საკუთარ თავს უნდა ჩავაგონოთ, რომ ეს მოგვარებადი საკითხია. მთავარია, მათთან ურთიერთობისას განსაკუთრებულ მიდგომას მივმართოთ: ნუ ვიქნებით მეტისმეტად მომთხოვნი და მკაცრი, დავიცვათ ტაქტი და გამოვიჩინოთ მოთმინება.

ინტერვიუ

38

**მაია რაზმაძე
სკოლა და განათლება
მასწავლებელზე დგას**

ინტერვიუ არჩილ არველაძესთან
რთულია, იფიქრო უამრავ ყოფით პრობლემაზე და სკოლაში მომზადებული და აბსოლუტურად განონანსნორებული მიხვიდე. ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტი თუ განათლებაა, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სისტემა მასწავლებლის გარეშე არ არსებობს.

46

**თამარ ონოპრიანკო
უმთავრესი ბავშვების სიყვარული**

ინტერვიუ ქეისი მაკლეინთან
პირველი და უმთავრესი ბავშვების სიყვარულია. ამ სიყვარულის გარეშე მასწავლებლის ნათქვამი ვერასდროს აღწევს მოსწავლეებამდე. ამასთან, მასწავლებელმა საკუთარ თავს უნდა შთააგონოს, რომ სწავლა და ცოდნის მუდმივი განახლება აუცილებელია. მასწავლებლობა ურთულესი პროფესიაა და იგი უფრო და უფრო რთული ხდება, ამიტომაც ის მეტად უნდა დაფასდეს და ნახალისდეს სახელმწიფოს მხრიდან.



კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

1. სავარჯიშოების ნიმუშები გერმანული და ფრანგული ენების მასწავლებლებისათვის

25-30

განათლების ისტორია

41

**ბელა ჩაკურიშვილი
განათლების გავრცელება საქართველოში**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879 წელს, შეიქმნა. მისმა მესვეურებმა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ქართული სკოლების გახსნა და გახსნილი სკოლებისათვის დახმარების გაწევა დაისახეს.

რუსუსი

48

**შაქარია ქარსაულიძე
ინტერნეტ-რუსუსების გამოყენება
სასწავლო პროცესში**

ინტერნეტის როლი ჩვენი ქვეყნის ყოფაცხოვრებასა და საჯარო სკოლების სასწავლო პროცესშიც იზრდება, რასაც სკოლების კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის პროცესიც უწყობს ხელს.

51

**ნანა სოჭოლავა
ქართული ხალხური თამაშოვანი
და მოზარდები**

ხალხურ თამაშობათა განახლება თანამედროვე ბავშვის ინტერესების, მიდრეკილებების, იმპროვიზაციის სურვილის გათვალისწინებით. მიზანშეწონილია მათი გამდიდრება ქართული საბავშვო ფოლკლორის ნიმუშებით, რაც მათ უფრო სანახაობრივს გახდის.

ერთი სკოლის ისტორია

54

**ბელა ჩაკურიშვილი
წარმატებული სკოლა. ტრადიცია
და ინოვაცია**

ქალაქ თელავის მე-3 საჯარო სკოლა 180 წლისაა. რეგიონში ის ერთ-ერთ წარმატებულ სასწავლო დაწესებულებად ითვლება. ამგვარი ტრადიციით ბევრი სკოლა ვერ დაიკვებნის, მაგრამ რას ნიშნავს იყო ტრადიციების გამგრძელებელი და რეგიონში წარმატებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების რეფორმის სტრატეგია 2010-2015 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხუთწლიანი ზოგადი განათლების რეფორმების სტრატეგია განსაზღვრა და ბროშურად გამოსცა.

„ნარმატიული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საყრდენს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და, შესაბამისად, ქვეყნის მომავალში რესურსების ინვესტირებაა. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და მრავალი ინიციატივა განახორციელა. ერთიანი ეროვნული გამოცდები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად არის აღიარებული ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. უკვე მეხუთე წელია, რაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტები მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ცოდნით, ყოველგვარი კორუფციის გარეშე აბარებენ. გამოცდების ამ სისტემას საზოგადოების დიდი მხარდაჭერა აქვს. ამასთანავე, სწრაფი ტემპით დაიწყო სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება. სკოლები უზრუნველყოფილია გათბობისა და განათების სისტემებით, აქტიურად მიმდინარეობს კომპიუტერიზაციის პროცესი, რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პედაგოგთა სოციალური პირობები: გაიზარდა ხელფასები, მოხდა მათი უზრუნველყოფა სამედიცინო დაზღვევით. სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნის გზით, საზოგადოება აქტიურად ჩაერთო სასკოლო განათლების მართვისა და გადამწყვეტილების მიღების პროცესში.

ზოგადი განათლების რეფორმის მეორე ეტაპზე, 2015 წელს კი ზოგადი განათლების სრულყოფილ სისტემას მი-

ვიღებთ, აცხადებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და დასძენს, რომ, ახალი გამოწვევები ითხოვს ისეთი რეფორმების გატარებას როგორებიცაა:

სასკოლო ატესტაციის მნიშვნელობის გაზრდა, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დახვეწა, სასკოლო სახელმძღვანელოები, განათლების ხელმისაწვდომობა არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის, მოსწავლეთა თვითმმართველობების შექმნა და პოლიტიკური კულტურის სწავლება, შიდა და საერთაშორისო ოლიმპიადების წახალისება, ოქროსა და ვერცხლის მედლების პროგრამის ხელშეწყობის გაძლიერება, სკოლებში პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება, სკოლებში კონკურსების ორგანიზება, სკოლებისა და მუზეუმების ერთობლივი პროგრამები, მოსწავლეთა საზღვარგარეთ სწავლების წახალისება, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება და სერტიფიცირება, მენტორ-მასწავლებლების ინსტიტუტი, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრების შექმნა და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ბროშურაში მკაფიოდ არის განსაზღვრული.



„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“



განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების სრულყოფის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწყებს ახალი პროექტის – „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ („Teach and Learn with Georgia“) განხორციელებას, რომელიც საქართველოში ინგლისური ენის სწავლების განვითარებასა და ხელშეწყობას ითვალისწინებს. პროექტის წარმატებით განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისათვის, რადგან ისინი ინგლისური ენის უკეთ დაუფლების კვალდაკვალ, აქტიურად გაეცნობიან და ეზიარებიან ევროპულ და დასავლურ ღირებულებებსა და კულტურას.

პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის დასავლური და ევროპული კულტურის, ფასეულობებისა და ტრადიციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ამ კულტურის წარმომადგენლებთან უშუალო ურთიერთობის გზით. ეს მათ მომავალში დაეხმარებათ მეტი წარმატების მიღწევაში, სამშობლოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობისას. ამ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საერთაშორისო დონორების ხელშეწყობით, გეგმავს 1000 მოხალისის ჩამოყვანას 2010-2011 სასწავლო წლისათვის, რომელთა მშობლი-

ურ სასაუბრო ენას წარმოადგენს ინგლისური. თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, ინგლისური ენის შესწავლის მრავალი ხერხი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტექნოლოგიების უპირატესობებს ვალიარებთ და მათი პრაქტიკაში დანერგვისკენ მივიწინააღმდეგებით, მიგვაჩნია, რომ ადამიანური ფაქტორი და პირადი კონტაქტი შეუცვლელი რესურსია, რადგან ამ ფორმით სასწავლო გარემოს გამრავალფეროვნება გაცილებით ეფექტურია, ვიდრე კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მოხალისე მასწავლებლები მოხვდებიან მათთვის უჩვეულო, საინტერესო და განსხვავებული ტრადიციების მქონე სტუმართმოყვარე ქვეყანაში. მათ ერთი წლის განმავლობაში მიეცემათ უნიკალური შანსი, იცხოვრონ თბილ, ოჯახურ გარემოში, გაეცნონ ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს, ეზიარონ ქართულ ფოლკლორს და დააგემოვნონ ქართული კერძები. მოხალისეებს, ასევე, მათი სურვილისამებრ, ექნებათ შესაძლებლობა, დაეუფლონ სასაუბრო ქართულს.

მოხალისე მასწავლებლების მთავარი მოვალეობაა, მშობლიური ენის, ინგლისურის, სწავლება ქართველი მოსწავლეებისათვის, ინტერაქტიული გაკვეთილებისა და ყოველდღიური კომუნიკაციის მეშვეობით. სასურველია, მოხალისეებს ჰქონდეთ უმაღლესი განათლება. არ არსებობს ასაკის/სქესის/რელიგიის შეზღუდვა.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მოხალისე მასწავლებლები გაივლიან საორიენტაციო კურსს, რის შემდეგაც, შეექმნებათ ყველა საჭირო პირობა იმისთვის, რომ საქართველოს ახალგაზრდებს შეასწავლონ ინგლისური ენა.



„ასწავლე საქართველოსთვის“

2010 წლის 12-13 მარტს ბაზალეთის ტბის სასტუმრო კომპლექსში გაიმართა პროექტის „ასწავლე საქართველოსთვის“ შუალედური კონფერენცია. კონფერენციის მიზანი იყო პროექტის მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებლებისთვის დამატებითი ტრენინგების ჩატარება, თემში ცხოვრებისას წამოჭრილი პრობლემების განხილვა და მათ გადასაჭრელად რეკომენდაციების შემუშავება.

ამ ეტაპზე პროექტში ჩართულია 41 კონსულტანტ-მასწავლებელი, რომლებიც ქვემო ქართლის, კახეთის, დუშეთის, სამცხე-ჯავახეთის, აჭარის, რაჭის, ლეჩხუმის, სვანეთის, გურიის რეგიონებში არიან განაწილებული. ისინი სკოლაში მხოლოდ მასწავლებლებად კი არ მუშაობენ, არამედ აღნიშნული ცენტრის წარმომადგენლებიც არიან და ავრცელებენ ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული პროექტებისა თუ ინიცირებული პროგრამების შესახებ.

2009 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, პროგრამის მონიტორინგის მიზნით, ცენტრის თანამშრომლები 32 სკოლას ესტუმრნენ. მათ თითოეული კონსულტანტ-მასწავლებელი მოინახულეს. ისინი დააკვირდნენ მათ საქმიანობას სკოლაში და თემში. მონიტორინგის პირველი ეტაპის შედეგებმა ცხადყო, რომ კონსულტანტ-მასწავლებლების საქმიანობით კმაყოფილი არიან სკოლის დირექტორები და სხვა მასწავლებლები, ასევე მოსწავლეები და მათი მშობლები. მათი სურვილია, რომ კონსულტანტ-მასწავლებლებმა სკოლაში მუშაობა მომდევნო სასწავლო წლებშიც გააგრძელონ.

2010 წლის მარტში პროექტის ახალი ეტაპი დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ახალი სასწავლო წლიდან მასში ჩართული



კონსულტანტ-მასწავლებლებისა და სკოლების რაოდენობა გაიზარდა, კონსულტანტ-მასწავლებლების ხელფასს კი 400 ლარი დაემატება.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებიდან ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიღება. ამა წლის 22 აპრილიდან გამოცხადდება კონკურსი საგნის სპეციალისტებისათვის. კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე და ასევე გაცხადდება სხვა საინფორმაციო საშუალებებში.

საინფორმაციო კუთხეები და პროფესიის პოპულარიზაცია

საქართველოს 7 უნივერსიტეტში (ქუთაისის, ბათუმის, თელავის, გორის, ახალციხის უნივერსიტეტებში, თბილისის ივანე ჯავახიშვილისა და ილიას უნივერსიტეტებში) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა საინფორმაციო კუთხეები გახსნა.

მათი გახსნა მიზნად ისახავს ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდას. თითოეული კუთხის კოორდინატორებისთვის, გასაუბრების საფუძველზე, შესაბამისი უნივერსიტეტის სტუდენტი შეირჩა. ის ცენტრის მიერ გამოცემულ ლიტერატურასა და სასწავლო-ვიზუალურ მასალას სტუდენტებსა და ლექტორებს გააცნობს.

სტუდენტთა ინფორმირებულობის ასამაღლებლად და პედაგოგიური სპეციალობების კურსდამთავრებულთა და საინტერესებლად, საჭირო გახდა პედაგოგიკის/განათლების ფაკულტეტების მქონე უნივერსიტეტებში აქტიური თა-

ნამშრომლობისთვის აუცილებელი მექანიზმის შექმნა. მისი საშუალებით ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ.

„სტუდენტებს ბევრი შეკითხვა აქვთ განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეების შესახებ. ვცდილობ, ვუპასუხო მათ კითხვებს. თუ სრულყოფილ ინფორმაციას არ ვფლობ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის კოორდინატორებს ვუკავშირდები. სტუდენტები ხშირად იყენებენ ჩვენს ბიბლიოთეკას, ეცნობიან ცენტრის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებს და ვიდეო მასალას; მიაქვთ სახლში ან იყენებენ ლექციაზე. ისინი ჩემგან იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ზოგიერთი წიგნის შექმნა და ჟურნალ „მასწავლებლის“ გამოწერა,“ – ამბობს ნინო მჭედლიშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის საინფორმაციო კუთხის კოორდინატორი ილიას უნივერსიტეტში.

საინფორმაციო კუთხის კოორდინატორებმა შექმნეს „TPDC-ს მეგობართა კლუბი“, რომელშიც აქტიური სტუდენტები განვირინდნენ. კოორდინატორები კლუბის წევრებთან ერთად გვემავენ და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას, აწყობენ წაკითხული ლიტერატურის განხილვას, ჟურნალ „მასწავლებლის“ ახალი ნომრის გამოსვლის შემდეგ კი მის სტატიებს მიმოიხილავენ.



კვალიფიციური მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების სკოლებში



სახელმწიფო პროგრამა „კვალიფიციური მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროგრამა და გულისხმობს ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლების მივლინებას სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში არაქართულენოვან სკოლებში, რომლებშიც განსაკუთრებით მწვავედ დგას ქართული ენის ცოდნისა და სწავლების საკითხი. ამ მასწავლებლების ანაზღაურება 1000 ლარს შეადგენს.

2010 წლის 25-26 მარტს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სასტუმრო „ბაზალეთში“ შუალედური კონფერენცია ჩატარდა.

კონფერენცია მიზნად ისახავდა: გამოცდილების გაზიარებას, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული პრობლემების იდენტიფიკაციას, მათ ანალიზს, დახმარების ფორმების განსაზღვრას და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისთვის გზების დასახვას.

2009 წელს კონკურსით შერჩეული 50 მასწავლებელი სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში განაწილდა. ამ სოფლებში მოსახლეობის თითქმის 100% სომეხი ან აზერბაიჯანელია. ქართული მათთვის უცხო ენაა. მოსახლეობის დიდ ნაწილს არც რუსული ესმის. აქედან გამომდინარე, ახლადჩასულმა მასწავლებელმა ელემენტარულ დონეზე მაინც უნდა იცოდეს ადგილობრივი ენა, რათა თემთან ურთიერთობა დაამყაროს, ღონისძიებებში კი მშობლები და სხვა მასწავლებლები ჩართოს.

2010 წელს, პროგრამის ფარგლებში, დამატებითი კადრების აყვანა დაგეგმილი. „კონკურსი 1 მაისს ცხადდება. მონაწილეები წელსაც ტესტირების და გასაუბრების საფუძველზე შეირჩევიან. ფილოლოგებს, ქართული ენის სწავლების გამოცდილების მქონე სპეციალისტებს, შესაძლებლობა მიეცემათ, კვლავ მიიღონ მონაწილეობა კონკურსში, გაიმარჯვონ და შეიტანონ წვლილი არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართული ენის სწავლების პროცესში“, – ამბობს პროგრამის კოორდინატორი, მაკო ჭილაშვილი.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სასწავლო პროცესი

„მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“ 2009 წლიდან ახორციელებს მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგების პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და პრინციპების შესაბამისად.

2009 წელს საბაზო ტრენინგები 2119 მასწავლებელმა გაიარა. პროგრამის პრიორიტეტს წარმოადგენდა ის სკოლები, რომლებსაც კომპიუტერის საბაზო კურსში მომზადებული ერთი მასწავლებელიც არ ჰყავდათ. ეს, ძირითადად, მაღალმთიან და რთულად მისადგომ სოფლებს ეხებოდა. 2010 წელს პრიორიტეტი მიენიჭება იმ სკოლებს, სადაც საბაზო კურსი მასწავლებელთა მინიმალურ რაოდენობას აქვს გავლილი. იგეგმება მეორე დონის ტრენინგების განხორციელება.

პროგრამის ფარგლებში დაიბეჭდება სახელმძღვანელო „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საბაზო კურსი მასწავლებლებისთვის“, რომელიც ტრენინგის მონაწილე მასწავლებლებს უფასოდ გადაეცემა. კურსის დასრულების შემდეგ, შესაბამისი დავალების ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენის შემთხვევაში, მონაწილეები ცენტრის მიერ დამონმებულ სერტიფიკატს მიიღებენ.


მეორე დონის ტრენინგები – „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“ მიზნად ისახავს იმ საგნის მასწავლებლების ხელშეწყობას, რომლებიც სასწავლო პროცესში ისტ-ის ინტეგრირებას

ახორციელებენ, ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

2009 წელს მეორე დონის ტრენინგ-კურსი 300-მდე სკოლის 1714 მასწავლებელმა გაიარა. ამ სკოლებში ინტერნეტ-კავშირი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ უზრუნველყო.

2010 წელს 3500 მასწავლებელი გაივლის ისტ-ის მეორე დონის ტრენინგ-კურსს.

განხორციელებდა პროექტი „საგანმანათლებლო ელექტრონული თამაშების ინიცირება სკოლებში“. პროექტი მიზნად ისახავს, ექსპერიმენტული საგანმანათლებლო თამაშების გზით, მოსწავლეთა მოტივირებულობის ამაღლებას და სწავლისადმი ინტერესის გაზრდას, სწავლების პროცესის გამოცოცხლებას, თანამშრომლობის ჩვევის ჩამოყალიბებისა და ინდივიდუალური შედეგების ხელშეწყობას.





მასწავლებელთა სერტიფიცირების შესახებ

მასწავლებელთა რეგისტრაციის პროცესი დასასრულს უახლოვდება. 11 000 მასწავლებელზე მეტმა გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიიღოს პირველ სასერტიფიკაციო გამოცდაში. სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებულ საკითხებზე ცენტრის წარმომადგენლები ასობით მასწავლებელს შეხვდნენ. ისინი ხშირად სვამდნენ კითხვას: რამდენად ასახავს სასერტიფიკაციო გამოცდა მასწავლებლის კვალიფიკაციას და რამდენად კარგად ამონიშნებს მის მიერ წარმართული სასწავლო პროცესის ხარისხს?



თამარ მოსიაშვილი

ამ წერილში შევეცდებით, მკითხველს გავაცნოთ მასწავლებელთა სერტიფიცირება მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო მოთხოვნებისა და სკოლების უწყვეტი განვითარების კონტექსტში. გვსურს, კიდევ ერთხელ შევახსენოთ როგორც პედაგოგიურ, ასევე ფართო საზოგადოებას, რომ:

მასწავლებელთა სერტიფიცირება არათუ არ შემოიფარგლება სასერტიფიკაციო გამოცდით, არამედ გულისხმობს მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და გაუმჯობესების სისტემურ და თანმიმდევრულ პროცესს.

სერტიფიცირება წარმოადგენს მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და გაუმჯობესების ერთ-ერთ ალიარებულ, ეფექტურ მოდელს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

სერტიფიცირების გზით სასკოლო სისტემაში (ქალაქსა თუ სოფელში) გამოიკვეთებიან ლიდერები, რომლებიც სკოლის განვითარებისა და სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში საკვანძო როლს შეასრულებენ.

საბოლოოდ, ჩვენი მიზანია მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემის ძირითადი ასპექტების წარდგენა საზოგადოებისათვის. ვფიქრობთ, ამ ფუნდამენტური დოკუმენტის ფართო აუდიტორიაში

განხილვა ხელს შეუწყობს მასწავლებლებს, უკეთ გააცნობიერონ სერტიფიცირების მნიშვნელობა და სასერტიფიკაციო გამოცდის ადგილი განათლების სისტემაში.

საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით, როგორც მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, ისე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ნიშნული სასურველს ბევრად ჩამორჩება. მეორე მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ სკოლებში მუშაობენ მასწავლებლები, რომლებიც ქმნიან ეფექტურ სასწავლო გარემოს და რესურსებს, წარმართავენ პროდუქტიულ სასწავლო პროცესს, ზრუნავენ როგორც საკუთარ, ისე კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე. მათი მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი მოსწრებით, წარმატებებს აღწევენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მონაწილეობენ სხვადასხვა კონფერენციაში.

ბუნებრივია, სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამა თუ ტესტის შინაარსი სრულად ვერ ასახავს იმ საქმიანობას, რასაც წარმატებული მასწავლებელი ეწევა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. გამოცდა აფასებს, ფლობს თუ არა მასწავლებელი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ ცოდნას, რომელიც სკოლაში ეფექტიანი საქმიანობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. სასერტიფიკაციო გამოცდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთი რგოლია. პროცესი სრულყოფილი ვერ იქნება ამ პრო-



სერტიფიცირება წარმოადგენს მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და გაუმჯობესების ერთ-ერთ ალიარებულ, ეფექტურ მოდელს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.



ცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის გარეშე. ამდენად, სერტიფიცირების ახალი მოდელი ძირითადად განსხვავდება 1997-1998 წლებში ჩატარებული საატესტაციო გამოცდებისგან, რომელთა მიზანი იყო მასწავლებლების კატეგორიებად დაყოფა ისეთი ტესტებით, რომლებიც მხოლოდ საგნობრივ ცოდნას ამოწმებდა. გარდა ამისა, ამ გამოცდების ადმინისტრირებისას ბევრმა პრობლემამ იჩინა თავი.

საქართველომ, პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად, გააკეთა ისტორიული არჩევანი. ქვეყანა მიისწრაფის საერთაშორისო დონეზე აღიარებული, პროგრესული მიდგომების დანერგვისაკენ. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროპული ღირებულებების, პრინციპებისა და მიდგომების რეალიზებას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში წერია, რომ ევროკავშირი საქართველოსთან ითანამშრომლებს განათლების სფეროს რეფორმირებაზე მიმართული ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ასევე, ცხოვრების მანძილზე სწავლისა და არაფორმალური განათლების, მეცნიერებისა და ტრენინგის სფეროში შემდგომი რეფორმების მხარდაჭერის, ადამიანური რესურსებისა და ადამიანური კაპიტალის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ევროკავშირის ქვეყნებში განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით სხვადასხვა საპროგრამო დოკუმენტია შემუშავებული. მათ შორისაა მასწავლებლის კომპეტენციებისა და კვალიფიკაციის ძირითადი პრინციპები. ევროკავშირი მასწავლებლის კომპეტენციების ზრდას მთელი პროფესიული ცხოვრების განმავლობაში ითვალისწინებს. პროფესიული საქმიანობის დასაწყისში არ არის აუცილებელი, რომ მასწავლებელი ყველა კომპეტენციას ფლობდეს. განათლების ლიდერთა ვალია, ამ კომპეტენციების განვითარებას მუდმივად შეუწყონ ხელი ინსტიტუციურ დონეზე.

ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით, მასწავლებელს უნდა შეეძლოს:

ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი. ამ მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და ცოდნის უწყვეტი შეძენა. პედაგოგიური უნარების საშუალებით მან უნდა შექმნას და მართოს სასწავლო გარემო, შეინარჩუნოს ინტელექტუალური თავისუფლება სასწავლო პროცესის დაგეგმვისას არჩევანის გაკეთების დროს. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ცოდნის მაღალი დონე, საგნის ღრმა ცოდნა და სწავლას უნდა განიხილავდეს, როგორც მოგზაურობას მთელი ცხოვრების მანძილზე. მას უნდა შეეძლოს ცოდნა შეიძინოს გამოცდილებიდან, შეუსაბამოს სწავლების სტრატეგიები მოსწავლეთა მოთხოვნებს.

კოლეგებთან თანამშრომლობა. მასწავლებლობა ისეთი პროფესიაა, რომელიც სოციალურ ჩართულობას ეყრდნობა. კოლეგებთან თანამშრომლობა პროფესიული განვითარების შესაძლებლობას წარმოადგენს.

საქმიანობა საზოგადოებასთან და საზოგადოებაში. მასწავლებლებს უნდა შეეძლოთ ეფექტურად მუშაობა ადგილობრივ საზოგადოებასთან, პარტნიორებთან, მშობლებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მათთვის გასაგები უნდა იყოს, რომ კარგი განათლება უზრუნველყოფს დასაქმების უფრო მეტ და მრავალფეროვან შესაძლებლობებს. გამოცდილება და ცოდნა საშუალებას უნდა აძლევდეს მათ, რომ წვლილი შეიტანონ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებში.

ხარისხიანი საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნაა, რომ ყველა მასწავლებელს ჰქონდეს უმაღლესი განათლება და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, რათა მოხდეს მისი კომპეტენციების განვითარება და მასწავლებელს, პროფესიის ფარგლებში, კარიერული ზრდის შესაძლებლობა მიეცეს. ეს იძლევა იმის გარანტიას, რომ მასწავლებლებს ექნებათ:

1. საგნის ცოდნა;
2. პედაგოგიკის ცოდნა;

3. სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების უნარი;
4. განათლების სოციალური და კულტურული არეალის გაგების უნარი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება უნდა გრძელდებოდეს მთელი კარიერის განმავლობაში და ამ პროცესს ხელს უნდა უწყობდეს სახელმწიფოში არსებული შესაბამისი სისტემები.

განათლების ხარისხის გაუმჯობესება მიზნად ისახავს საქართველოს განათლების სისტემის თანამედროვე მსოფლიოს მიერ აღიარებულ სტანდარტებთან მიახლოებას და შეიცავს მნიშვნელოვან საქმიანობებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით. ამ პროცესის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია განათლების სფეროში მიმდინარე პროგრამების წარმატებით განხორციელებასა და საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო მოთხოვნებთან თანხვედრაზე.

საქართველოში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის გაძლიერების მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

2006 წლის 9 თებერვალს დამტკიცდა მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია, რომელმაც აღწერა მასწავლებლის მომზადების, პროფესიაში შესვლისა და პროფესიული განვითარების პროცედურები. ამ დოკუმენტის საფუძველზე, 2006-2008 წლებში, ზოგადი განათლების შესახებ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. შეიქმნა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, დაიბეჭდა და სკოლებში გავრცელდა სტანდარტის შესაბამისი პედაგოგიური ლიტერატურა. ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგები და მომზადდა საგამოცდო ტესტები.

დღეს მასწავლებლის პროფესიაში შესვლა ასეა განსაზღვრული: „შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მიღების შემდეგ, მასწავლებლობის მსურველი პირი რეგისტრირდება მაძიებლად. მაძიებლობის პერიოდის წარმატებით გავლის



შემდეგ ის აბარებს სასერტიფიკაციო გამოცდას და ერთვება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პროცესში“. რაც შეეხება ამ პროცესის პირველ საფეხურს, ცენტრი წარმატებით ახორციელებს მაძიებლობის საპილოტე პროგრამას. მაძიებლობის პროგრამა მალე სრულფასოვნად ამოქმედდება მთელი საქართველოს მასშტაბით. რაც შეეხება პროფესიაში შესვლის მეორე, აუცილებელ საფეხურს, 2009 წლის 4 დეკემბერს დამტკიცდა მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება. საგანმანათლებლო სფერო მოემზადა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის. 2010 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სკოლებში იმუშავენ სერტიფიცირებული მასწავლებლები.

რა იქნება გამოცდის შემდეგ? დღეს არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მასწავლებლის საქმიანობისა და მიღწევების კავშირს მისი კარიერული ზრდის შესაძლებლობებთან. არ არის შემუშავებული ის მახასიათებლები, რომლებიც სრულყოფილად ასახავს მასწავლებლის პროფესიულ წარმატებას. შრომის ანაზღაურება არ უკავშირდება პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდას. სახელმწიფო დღემდე ხელმძღვანელობს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამსახველი ერთადერთი დოკუმენტით – საჯარო სკოლის პედაგოგთა შრომის ანაზღაურების სქემით, რომელიც ითვალისწინებს ხელფასების და ხელფასებზე დანამატების გაანგარიშების (მინიმალური ზღვარი) პრინციპებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პედაგოგის განათლება, საჯარო სკოლაში პედაგოგის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (სამუშაო სტაჟი), სამუშაოს სპეციფიკა. თითოეულ კომპონენტს მინიჭებული აქვს შესაბამისი კოეფიციენტი, რომელიც ერთობლიობაში განსაზღვრავს მასწავლებლის ხელფასს. არსებული კრიტერიუმების კორელაცია მასწავლებლის კვალიფიკაციასთან არაეფექტურია და არ შეიცავს მისი მიღწევების აღრიცხვის პროცედურებს, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის მექანიზმებს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში დასასრულს უახლოვდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შემუშავების პროცესი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს განათლების სივრცეში იქმნება თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი, ფინანსურად ოპტიმალური მოდელი, რომელიც საგანმანათლებლო სფეროს განვითარებაში საეტაპო როლს შეასრულებს. კანონი მასწავლებელს ავალდებულებს, განაახლოს სერტიფიკაცი ვადის ამონურვის შემდეგ, მოაგროვოს პროფესიული განვითარების კრედიტები. თუ დღეს მასწავლებლის უანგარო შრომა, რომელიც სცილდება საგაკვეთილო საქმიანობას, მხოლოდ მოსწავლეთა და მათი მშობლების მაღლიერებას იწვევს, სქემის ამოქმედების შემთხვევაში, იგი კრედიტებით გაიზომება და აღიარებული იქნება სახელმწიფოს მიერ.

პროცესი დანყებულია. ივლისში მასწავლებლები სასერტიფიკაციო გამოცდას ჩააბარებენ და უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პროცესში ჩაერთვებიან. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაზე. ამ სქემით გათვალისწინებული საქმიანობების დანერგვის მიზანია, ხელი შეუწყოს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, მის კარიერულ ზრდასა და სკოლაში სწავლასწავლების პროცესის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, სქემის მიხედვით, მასწავლებელს საშუალება ეძლევა, საკუთარი წვლილი შეიტანოს განათლების სფეროს განვითარებაში.

შემუშავებულია კრედიტების დაგროვების ოთხკომპონენტური სისტემა, კანონის მოთხოვნების შესაბამისად:

1. აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების გავლა;
2. საგანმანათლებლო ან პედაგოგიური პროდუქტის შექმნა;
3. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;

4. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების კრედიტების დაგროვება შესაძლებელია კომპონენტებში აღწერილი საქმიანობების მიხედვით. კომპონენტები მასწავლებლებს საქმიანობის ფართო სპექტრს სთავაზობს. მათ შეუძლიათ სასურველი საქმიანობები შეარჩიონ, პროფესიული საჭიროებების შესაბამისად.

და ბოლოს, განვიხილოთ სქემა სკოლის უწყვეტი განვითარების კონტექსტში. ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ორგანიზაციაში, ლიდერობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სკოლის ეფექტურობას. სქემის ამოქმედება ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოებას, გამოავლინოს და წაახალისოს ის პედაგოგები, რომელთა საქმიანობა არ იფარგლება საკლასო მუშაობით და ისეთ სფეროებზეც ვრცელდება, როგორცაა: სკოლის საჭიროებათა ანალიზი, სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება, სწავლება-სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა, პერსონალის პროფესიული განვითარება და სხვ.

როგორც ვხედავთ, ინტეგრირებულ სქემაში შედის ისეთი საქმიანობები, რომლებსაც წვლილი შეაქვს როგორც საგანმანათლებლო სფეროს განვითარებაში (თუმცა პირდაპირ არ უკავშირდება კონკრეტული სკოლის საქმიანობას), ასევე საქმიანობები, რომლებიც ხორციელდება სკოლის ბაზაზე და ხელს უწყობს მის განვითარებას. როგორი იქნება თითოეული კომპონენტის წილი? რომელია დღეისათვის ყველაზე პრიორიტეტული? ამ საკითხებზე მასწავლებელთა და განათლების სპეციალისტთა მოსაზრებები ძალიან მნიშვნელოვანია. დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები, სქემის განხილვის მიზნით, მასწავლებლებისა და განათლების სპეციალისტების მონაწილეობით. ჟურნალი „მასწავლებელი“ მოგანოდებთ ინფორმაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შესახებ.





კაკლე თვალთვალი

სასწავლო პროექტი — ნებისმიერი პედაგოგისთვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი


სხვადასხვა საგნის პედაგოგებთან შეხვედრისას ხშირად განგვიხილავს სასწავლო პროექტების განხორციელების გამოცდილება. ბოლო პერიოდში იმატა იმ სკოლების რაოდენობამ, სადაც პედაგოგები მოსწავლეებთან მუშაობისას წარმატებით იყენებენ სწავლების აღნიშნულ ინსტრუმენტს.

პროექტი, ისევე როგორც ნებისმიერი სასწავლო აქტივობა, მრავალფეროვნად შეიძლება იყოს წარმოდგენილი, მაგრამ, რიგ შემთხვევაში, პედაგოგები მას ინტერნეტიდან ინფორმაციის მოძიებად აღიქვამენ, რიგ შემთხვევაში კი – თემის დაწერად ან ღონისძიების ჩატარებად.

ზოგიერთი პედაგოგი მშვენივრად ახერხებს იმას, რომ ეფექტურად

შეაზავოს ის კომპონენტები, რომელთა გარეშეც საქმიანობათა ერთობლიობას პროექტს ვერ უწოდებ.

სასწავლო პროექტი კონკრეტული პრობლემის გადაჭრასა თუ ინიციატივის განხორციელებაზე მიმართული მრავალმხრივი სამუშაოა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული ქმედებისა და შედეგების წარმო-





გენის ეტაპებს. ნებისმიერი პროექტი ითხოვს რესურსებს (ადამიანურს, მატერიალურ-ტექნიკურს და დრო-ითს), რომლებიც წინასწარ არის განსაზღვრული მის აღწერაში.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, პედაგოგები პროექტს უნდა იყენებდნენ მიღწეული შედეგების გასააზრებლად ყველა ეტაპზე: მიმდინარე და შემაჯამებელი, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისას.

ძნელია სასწავლო პროექტის კონკრეტული განსაზღვრების პოვნა, თუმცა სასწავლო პროექტთან ყველაზე ახლოს ე.წ. განვითარების პროექტის განმარტებაა: ადამიანთა ჯგუფი გარკვეულ დროში, განსაზღვრული რესურსებით და კონკრეტული საქმიანობებით გეგმავს არსებული სიტუაციის შეცვლას სასურველი სიტუაციით.

სასწავლო პროექტის 4 ეტაპი შეიძლება განვიხილოთ: 1. იდეის ჩამოყალიბება (დაგეგმვა); 2. მომზადება; 3. განხორციელება; 4. შედეგების წარდგენა

ამას მოჰყვება ახალი იდეის ჩამოყალიბება და პროექტების კეთება პერმანენტულ სახეს იღებს.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სასწავლო პროექტების რამდენიმე ფორმა არსებობს:

1. პედაგოგი თავად აყალიბებს იდეას, გეგმავს, ამზადებს და აანალიზებს პროექტს. მოსწავლეები ერთვებიან მხოლოდ ჩატარების პროცესში, როგორც შემსრულებლები.
2. პედაგოგი აყალიბებს იდეას, გეგმავს, ამზადებს, ახორციელებს და აანალიზებს პროექტს. მოსწავლეების თანამონაწილეობით სრულდება სხვადასხვა ეტაპი.

3. მოსწავლეები აყალიბებენ იდეას, გეგმავენ, ამზადებენ, ახორციელებენ და აანალიზებენ პროექტს. მასწავლებელი მონიტორინგს აწარმოებს და შეფასებების გადამონმებას ახდენს.

ამ დონეებს შორის საზღვარი ნათელი და ერთმნიშვნელოვანი არ არის. შესაძლოა მოცემულ ფორმებს შორის გარკვეული დონეები გამოიკვეთოს, როდესაც მოსწავლეები და პედაგოგი პასუხისმგებლობას გადაინაწილებენ.

სასწავლო პროექტად შეიძლება იქცეს ნებისმიერი ღონისძიება, თუ:

- ❖ ის ემსახურება კონკრეტული მიზნის მიღწევას (პრობლემის მოგვარებას, რომელიც განერილია);
- ❖ მასში (დაგეგმვა-მომზადება-განხორციელება-გააზრება) ჩართულნი არიან ის ადამიანები (მოსწავლეები), ვინც უნდა ისწავლოს; ჩართულ პირებს შორის განაწილებულია საქმიანობები და პასუხისმგებლობები (და ეს განერილია);
- ❖ მას აქვს განსაზღვრული (წინასწარ დაგეგმილი ან სავარაუდო) ვადები;
- ❖ არსებობს საქმიანობების ჩამონათვალის განწერა დროის მიხედვით (განერილი სამოქმედო გეგმა);
- ❖ საქმიანობების მიხედვით განერილია საჭირო რესურსები (შედეგნილია ბიუჯეტი);

განვიხილოთ მაგალითი და ვნახოთ, როგორ შეიძლება ეს საქმიანობა ვაქციოთ პროექტად.

მოყვანილი მაგალითი შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩარჩოდ, შეცვალოთ და გააუმჯობესოთ.

ვთქვათ, გვაქვს იდეა – კედლის გაზეთის გამოშვება გარკვეულ თემაზე.

დაგვეგმილია, რომ მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეებმა უნდა შექმნან კედლის გაზეთი. ეს ჩვეულებრივი საქმიანობაა, რომელიც არაერთ პედაგოგსა და მოსწავლეს განუხორციელებია.

წარმოვიდგინოთ პედაგოგი, რომელიც პირველი დონის პროექტს გეგმავს მოსწავლეებისთვის.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს საქმიანობა პროექტად იქცეს?


განვიხილოთ ნაბიჯ-ნაბიჯ:

- ❖ დაუსვით საკუთარ თავს კითხვა: რა არის კედლის გაზეთის შექმნის მიზანი? ჩაინერეთ შედეგები, რომლებიც გინდათ მიიღოთ მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ გაზეთზე მუშაობას. აღმოაჩინეთ, რომ საკმაოდ ბევრი რამ შეიძლება იყოს მასწავლებლის მიზანი, მაგ.: მოსწავლეები შეძლებენ დანერონ კედლის გაზეთისთვის ესე; მოსწავლეებს ეცოდინებათ, რა განსხვავებაა ხმაურსა და მუსიკას შორის; მოსწავლეებს გაუჩნდებათ სურვილი, მეტი შეისწავლონ მინერალების შესახებ; მოსწავლეებს ეცოდინებათ ცვლადი დენი და მასთან დაკავშირებული მოვლენები და სხვ...

❖ მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ ის საქმიანობები, რომელთა შესრულებაც მოუწევთ მოსწავლეებს.

❖ თითოეული საქმიანობისთვის განსაზღვრეთ დანყებისა და დასრულების სავარაუდო დრო.

❖ წარმატების მიღწევა შესაბამისი რესურსების გარეშე შეუძლებელია.



ლია. დანერეთ, რა რესურსები გჭირდებათ. არ დაივიწყოთ ადამიანური რესურსები. რა როლი აქვთ მათ პროექტში, როგორია მათი პასუხისმგებლობა?

❖ მას შემდეგ, რაც შეიმუშავებთ პროექტს, მიეცით მოსწავლეებს დავალებები და დრო მათ შესასრულებლად. შეეცადეთ, უზრუნველყოთ ისინი შესაბამისი რესურსებით (ნიგნები, ყურნალები, საინტერესო ადამიანების ტელეფონის ნომრები, ფლომასტერები, ფოტოები, ფურცლები...).

❖ მნიშვნელოვანია განხორციელებული საქმიანობის აღიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. მოიწვიეთ სკოლის ადმინისტრაცია,

მასწავლებლები, მოსწავლეები და სხვა დაინტერესებული პირები თქვენი მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალების (კედლის გაზეთის) პრეზენტაციაზე.

❖ პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ, რა გამოვიდა კარგად და რისი გაუმჯობესება შეიძლება მომავლისათვის.


ამ საქმიანობათა განხორციელების შედეგად, პროექტი „კედლის გაზეთი“ წარმატებით დასრულებულად ჩაითვლება.

მართვის მომდევნო დონეებზე პედაგოგის ჩარევა მცირდება და

იზრდება მოსწავლეთა აქტიურობა ყველა ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ სასკოლო, ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა ხელმისაწვდომია ნებისმიერი სკოლისთვის და მოსწავლეებს უვითარებს ევროკავშირის ქვეყნებში აღიარებულ საკვანძო კომპეტენციებს.





ვსნავლობთ რამდენიმე ენაზე

სამოქალაქო ინტეგრაცია
მულტილინგვური განათლების გზით

მრავალენოვანი (მულტილინგვური) განათლება განათლების ისეთ ფორმას წარმოადგენს, როდესაც სხვადასხვა საგნისა თუ საგანთა ჯგუფის სწავლების ენად ორი ან ორზე მეტი ენა გამოიყენება.

ერთდროულად რამდენიმე ენაზე სწავლება მოსწავლეებში ლინგვისტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ბილინგვური ან მულტილინგვური განათლება ბავშვებს ენის საფუძვლიანად შესწავლისა და ეფექტურად გამოყენების საშუალებას აძლევს. მულტილინგვური განათლების მიღებით ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები შეძლებენ კომუნიკაციას როგორც მშობლიურ, ასევე სახელმწიფო ენებზე.



რუსუდან ჭანტურია

მულტილინგვური განათლების მიღება და რამდენიმე ენის შესწავლა სხვა კულტურების მიმართ პატივისცემის გამოხატულებაა. ის სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანებთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარებს ავითარებს. ამავდროულად იგი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის და ინტერგაციის ხელშემწყობი გზაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, უმცირესობათა ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნება უზრუნველყოთ და სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე ცოდნასაც მივაღწიოთ.

საქართველო, ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით, მრავალენოვანი ქვეყანაა. ეთნიკური ქართველების გარდა, აქ არაერთი ეთნოსის წარმომადგენლები ცხოვრობენ. მულტილინგვური განათლება ხელსაყრელია როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის წარმომადგენელთათვის. მშობლიურ ენაზე განათლების მიღება ბავშვებსა და მოსწავლეებს საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების სრულად განვითარების შესაძლებლობას

აძლევს. მულტილინგვური განათლების მიღების კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ იგი ხელს უწყობს ინტერკულტურული ჩვევებისა და ტოლერანტობის განვითარებას, რაც, საბოლოო ჯამში, მრავალენოვანი ქვეყანაში მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას განაპირობებს. საქართველოში მულტილინგვური განათლება სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის იმ ეფექტურ ინსტრუმენტად უნდა აღიქმებოდეს, რომელიც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს სახელმწიფო ენის დაუფლების შესაძლებლობას აძლევს და ამავე



დროს მათი მშობლიური ენების შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

როგორ შეიძლება დაინერგოს მულტილინგვური სწავლება სკოლაში და სწავლების რა მოდელების გამოყენება არის შესაძლებელი?

შესაძლებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავოს მულტილინგვური განათლების სხვადასხვა მოდელი, რომელთაგან ერთ-ერთს სკოლა საკუთარი შეხედულებების, საკადრო რესურსებისა და არსებული გარემოს შესაბამისად შეარჩევს. ასევე შესაძლებელია, რომ უშუალოდ სკოლამ შეიმუშავოს საკუთარი მოდელი, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაამტკიცებს.

სკოლის მულტილინგვური განათლების პროგრამა სასწავლო გეგმებით განსაზღვრულ საგნებსა და საგნობრივ ჯგუფებს უნდა მოიცავდეს და მისი საათობრივი ბაძე უნდა თანხედებოდეს საქართველოს განათლე-

ბისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ საათობრივ ბაძეს. სკოლის მულტილინგვური განათლების პროგრამის განხორციელებისას შეიძლება შემდეგი პროგრამების გამოყენება:

განმავითარებელი მულტილინგვური განათლების პროგრამა – ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნებისა და საგანთა ჯგუფების სწავლება მიმდინარეობს თანაბრად, როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენაზე და მიიღწევა თანაბრად მაღალი ენობრივი კომპეტენცია, როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენაში.

გარდამავალი მულტილინგვური განათლების პროგრამა – სწავლება მიმდინარეობს როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენაზე, თუმცა სახელმწიფო ენაზე სასწავლო საგნების შესწავლა თანდათანობით მატულობს და

ეტაპობრივად ხდება სწავლების სახელმწიფო ენაზე გადასვლა.

მშობლიური ენის მხარდაჭერის მულტილინგვური განათლების პროგრამა – ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნებისა და საგანთა ჯგუფების სწავლება მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე, მშობლიური ენა ისწავლება, როგორც საგანი მაქსიმალური საათობრივი დატვირთვით.

სახელმწიფო ენის მხარდაჭერის მულტილინგვური განათლების პროგრამა – ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნებისა და საგანთა ჯგუფების სწავლება მიმდინარეობს მშობლიური ენაზე, სახელმწიფო ენა ისწავლება, როგორც გაძლიერებული საგანი მაქსიმალური საათობრივი დატვირთვით.

რომაგი ენობრივი მულტილინგვური განათლების პროგრამა





– ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნებისა და საგანთა ჯგუფების სწავლება მიმდინარეობს თანაბრად, როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო ენაზე. მოსწავლეთა კონტინგენტი თანაბრადაა გადანაწილებული და წარმოადგენს როგორც ქართულენოვან, ისე არაქართულენოვან მოსწავლეებს.

მულტილინგვური განათლების ერთ-ერთი ცნობილი ექსპერტის, კ. ბეიკერის თანახმად, არსებობს სწავლების პროცესში ენების განაწილების რამდენიმე ძირითადი გზა.

საგანი/თემა

საშუალო სკოლაში შესაძლებელია სხვადასხვა საგნის სხვადასხვა ენაზე სწავლება. მაგალითად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფში შემავალი საგნები, ხელოვნება, მუსიკა შეიძლება უმცირესობების ენებზე ისწავლებოდეს, ხოლო მათემატიკა ან ინფორმატიკა – სახელმწიფო ენაზე. დაწყებით კლასებში სასურველია, ენათა ცვლილება ხდებოდეს არა საგნების, არამედ თემების მიხედვით. მაგალითად, შეიძლება კლასში ბუნების დაცვის შესახებ თემა უმცირესობების ენებზე განვიხილოთ, ხოლო ამინდის შესახებ თემა – სახელმწიფო ენაზე.

მასწავლებელი, როგორც ინდივიდი

სკოლაში ენების გამოყენება შეიძლება კონკრეტულ მასწავლებელს უკავშირდებოდეს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე მასწავლებლები ასწავლიან, შესაძლებელია კლასში ორი პედაგოგი ერთდროულად შევიდეს და ინტეგრირებული გაკვეთილი სხვადასხვა ენაზე ჩაატაროს.



დრო

კლასში ორი ან მეტი ენის გამოყენების ერთ-ერთ სტრატეგიას დროის განაწილება წარმოადგენს. მაგალითად, ორენოვან სკოლაში გაკვეთილები შეიძლება ერთ დღეს ერთ ენაზე ჩატარდეს, ხოლო მომდევნო დღეს – მეორე ენაზე. ასევე, შესაძლებელია სკოლაში ერთ ენაზე მიმდინარეობდეს სწავლება დღის პირველ ნახევარში, ხოლო დღის მეორე ნახევარში უკვე სხვა ენაზე გაგრძელდეს. გარდა ამისა, შესაძლებელია ენების ცვლა მოხდეს კვირის, თვის ან სემესტრის მიხედვით.

ენების გამოყენების უნარი

სხვადასხვა ენის გამოყენება შესაძლებელია მოსწავლეების მიერ სხვადასხვა დავალების შესრულებისას. მაგალითად, შეგიძლიათ კლასში დისკუსია ერთ ენაზე წარმართოთ,

მოსწავლეებმა კი წერიტი დავალება სხვა ენაზე შეასრულონ. გარდა ამისა, შეიძლება მოსწავლეებს სასწავლო მასალა ერთ ენაზე მისცეთ, ხოლო საკონტროლო ან შემაჯამებელი დავალება სხვა ენაზე დააწერიინოთ.

სასწავლო მასალა

შესაძლებელია ბილინგვური ან მულტილინგვური სწავლება ორენოვანი სასწავლო მასალების გამოყენებითაც განხორციელდეს. სასწავლო მასალების ორ ენაზე მომზადების სხვადასხვა გზა არსებობს. შესაძლებელია სახელმძღვანელო იყოს ერთ ენაზე, ხოლო მასწავლებელმა გაკვეთილი მეორე ენაზე ახსნას. ასევე, შესაძლებელია ორენოვანი სახელმძღვანელოების ან მასალების შექმნაც.





თინათინ ჭინჭარაული

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე და ქსევის მართვის სტრატეგიები

ლუკა ნოდარს ურტყამს, ჯული კალამს ღრღნის, ეკა წიგნებსა და რვეულებს ხევის, ვახო ერთ ადგილზე ვერ ჩერდება – ამგვარ სირთულეებს ხშირად აწყდება მასწავლებელი ყოველდღიურ საქმიანობაში, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სწავლების პროცესში.



ინკლუზიური განათლების საყოველთაო აღიარებამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები ახალი უნარ-ჩვევების განვითარების წინაშე დააყენა. ბუნებრივია, იმისათვის, რომ ხარისხიანი განათლება ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი გახდეს, სწავლების ახალი სტრატეგიების ათვისებაა საჭირო.

რას ამბობენ კვლევები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სწავლებასთან დაკავშირებით? ზოგადად, ის სტრატეგიები, რომელთა გამოყენებაც რეკომენდებულია ამ ჯგუფის მოსწავლეებთან, დადებით გავლენას ახდენს ყველა მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე. მაგალითისთვის მოვიყვანო საგანმანათლებლო სივრცის იმ ოპტიმალურ მახასიათებლებს, რომლებიც, კვლევათა თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ხარისხიან სწავლებას განაპირობებს. ესენია: მასწავლებლის მოთხოვნების, ქცევის წინასწარმეტყველების შესაძლებლობა, სტრუქტურირებული გარემო (კლასი, სადაც ნათლად არის ფორმულირებული საკლასო წესები, მათი დაცვისა და დარღვევის თანმდევი ქმედებები, მოსწავლემ იცის, რას რა მოყვება), მოკლე სამუშაო პერიოდები, პირდაპირი დამოკიდებულება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, ინდივიდუალური ინსტრუქციები, საინტერესო სასწავლო გეგმა და პოზიტიური კომენტარები („შენ შეგიძლია ამის გაკეთება“, „შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს, სცადე კიდევ ერთხელ“, „რაც უფრო ბევრჯერ

ეცდები, უკეთესად გამოგივა“, „დღეს ეს დავალება უკეთესად გააკეთე“ და ა.შ.). მკვლევარებმა ასევე განსაზღვრეს მასწავლებლის ოპტიმალური მახასიათებლები. მათ შორისაა: პოზიტიური აკადემიური მოლოდინები, პიროვნული სითბო, პატივისცემა, იუმორი, თანმიმდევრულობა შეფასებასა თუ დავალების განსაზღვრაში, მდგრადობა, მოსწავლის შრომის ხშირი შემოწმება (მონიტორინგი) და ქცევის მართვის სტრატეგიების ცოდნა.

როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვალში არცერთი პუნქტი არ არის ისეთი, რაც ნებისმიერი მოსწავლის სწავლებას არ უწყობს ხელს. მაშინ რა არის ის განსაკუთრებული, რასაც ჩვენგან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლება მოითხოვს? უპირველეს ყოვლისა, ამ მოსწავლეებისათვის აუცილებელია საკლასო ოთახში მოქცევის, საკლასო წესების მკაფიო ფორმულირება და ამ წესების სწავლება მოდელირების (თვითონ მასწავლებლის ან სხვა მოსწავლეების) საშუალებით. წესების ცოდნა, მათი შესრულებისა თუ დარღვევის თანმდევი შედეგების პროგნოზირება საკლასო ოთახში



პრობლემური ქცევის გამოვლენის ალბათობას ამცირებს.

მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პრობლემური ქცევა ხშირად წარმოადგენს არა აგრესიულობის გამოხატულებას, არამედ მისი მხრიდან გარემოსთან, მასწავლებელთან თუ თანაკლასელებთან კომუნიკაციის დამყარების მცდელობას იმ რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებით, რაც მას აქვს. წარმოიდგინეთ შემდეგი სიტუაცია: მასწავლებელი საშინაო დავალებებს ამონებს. მოულოდნელად ნიკამ ყვირილი და ფეხების ბაკუნი დაიწყო. მასწავლებელი სასწრაფოდ მიდის მასთან და მის დამშვიდებას ცდილობს. ნიკა ყვირილს აგრძელებს და ტირილსაც იწყებს. კლასი ახმაურდა, გაკვეთილი ჩაშლის პირასაა. შეწუხებული მასწავლებელი ნიკას რესურს-ოთახში გზავნის და თვითონ კლასის დამშვიდებას ცდილობს. ამასობაში ზარიც ირეკება. თქვენი აზრით, რა შეიძლება ყოფილიყო ნიკას ქცევის მიზეზი? ჩამონათვალი ნამდვილად დიდი გვექნება, დაწყებული რაიმე ფიზიკური ტკივილითა და დისკომფორტით, დამთავრებული ბავშვის, როგორც „რთული ბავშვის“ შეფასებით. მაგრამ თუ სიტუაციას დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ნიკას საშინაო დავალება არ ჰქონდა, ამის გამო ნერვიულობდა და მის მერხთან მასწავლებლის მიახლოებამ შინაგანი დაძაბულობის მისთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობებით (ყვირილი, ფეხების ბაკუნი და ტირილი) გამოხატვა გამოიწვია.

სასურველია, მასწავლებელმა, პრობლემის გამოვლენის შემთხვევაში, პირველ რიგში, იმის გარკვევა სცადოს, თუ რა იმალება ამ ქცევის უკან – რისი თქმა უნდა ბავშვს მისთვის. დამეთანხმებით, ადამიანების ქცევას ყოველთვის რაღაც მიზეზი უდევს საფუძვლად; ჩვენ ვსვამთ

წყალს, როცა გვწყურია, ვიცვამთ თბილ ქურთუკს, როცა გვცივა, ვყვირობთ, როდესაც ძალიან გაგვაბრაზებს და ა.შ. ქცევა ყოველთვის რაღაცის გამოვლინებაა და ის უმიზეზოდ არ ხდება.

როდესაც ბავშვი პრობლემურად იქცევა, არ არის გამართლებული, გამოვიყენოთ:

– შეკითხვა „რატომ“, რადგან ბავშვს ხშირად არ შეუძლია სიტყვიერად, ჩვენთვის გასაგებ ენაზე აგვიხსნას თავისი ქცევის მიზეზი და მიზეზი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობამ შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს მისი ქცევა.

– სიტყვა და უარყოფა „არა“, რადგან ამ შემთხვევაში ვეუბნებით, თუ რა არ უნდა გააკეთოს, მაგრამ არ ვეუბნებით, თუ რა იქნებოდა ჩვენთვის მისაღები. მაგალითად, „არ ირბინო!“ არ ეუბნება ბავშვს, რას მოველით მისგან – ერთ ადგილზე გაჩერებას, სიარულს თუ კიდევ სხვა რამეს. თუ გვინდა, რომ ბავშვმა მშვიდად იაროს, ვუთხრათ: „კლასში დავდივართ, შეგვიძლია ეზოში ვირბინო“. ბავშვმა იცის, რა გვინდა მისგან და შესაბამისად ცდილობს მოქცევას.

რამდენიმე პრაქტიკული რჩევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ქცევის მართვასთან დაკავშირებით:

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი გიცნობდეთ და თქვენი არ ემინოდეს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები უკეთესად პასუხობენ ემოციურ კავშირზე (ლიმილი, მხარზე ხელის შეხება), ვიდრე მხოლოდ სიტყვიერად გამოხატულ კეთილგანწყობაზე.

მითითებების, დავალებების მიცემისას სასურველია, მოსწავლეს ძალიან კონკრეტულად

უთხრათ, რას მოელით მისგან, რა გინდათ, რომ მან გააკეთოს. თუ საქმე ეხება რამდენიმე ნაბიჯისგან შემდგარ მოქმედებას, დაშალეთ ეს მოქმედებები შემადგენელ ელემენტებად.

გაამახვილეთ ყურადღება იმ ქცევაზე, რომელმაც თქვენი მონონება დაიმსახურა. აგრძობინეთ, რომ დაინახეთ მისი მცდელობა და ნაახალისეთ.

არასასურველი, პრობლემური ქცევის შემთხვევაში, დააკვირდით, რამ გამოიწვია ეს ქცევა, რა უსწრებდა მას წინ და ეცადეთ მომავალში თავი აარიდოთ მსგავსი სიტუაციის შექმნას.

მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით დაწყებით კლასებში) მოსწავლეებისათვის ფიზიკური აქტივობის საშუალების მიცემა. ზოგ შემთხვევაში, მოსწავლის არასასურველი ქცევა ერთ ადგილზე ან აქტივობაზე დიდხანს ყურადღების გაჩერების შედეგია. ფიზიკური მოქმედების შესაძლებლობის მიცემა პრობლემურ ქცევას თავიდან აგვარიდებს (მაგ., დაფის გასუფთავება, რაიმე თხოვნისა თუ დავალების შესასრულებლად გაქცევა, მასალების დარიგება და შეგროვება).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ქცევის მართვასთან დაკავშირებული სიძნელებები მასწავლებლებს თითქმის ყველაზე მეტად აწუხებთ. ინკლუზიური განათლების საყოველთაო აღიარებამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები ახალი უნარ-ჩვევების განვითარების წინაშე დააყენა. ბუნებრივია, იმისათვის, რომ ხარისხიანი განათლება ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი გახდეს, სწავლების ახალი სტრატეგიების ათვისებაა საჭირო.





ნინო ელბაიძე



მშობლების მთავარი გზავნილი განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელებისადმი ასე უღერს: „განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელებმა უშუალოდ უნდა ჰკითხოთ მშობლებს, სად არის ის „ცხელი წერტილები“, რომლებიც სასწაფოდ რეაგირებას ითხოვს.“

რა სჭირდებათ მშობლებს

მშობლების როლი საგანმანათლებლო სტანდარტების მიღწევაში

სასწავლო პროცესში მშობლების ჩართულობის მნიშვნელობაზე, მათ როლზე ამ პროცესის წარმატებით განხორციელებაში განათლების სპეციალისტები და პოლიტიკის განმსაზღვრელები ყველა ქვეყანაში ერთხმად თანხმდებიან. რატომ არის მნიშვნელოვანი მშობლებზე კვლევის ჩატარება განათლების სისტემისათვის? რაში სჭირდებათ მშობლებს ჩვენი დახმარება და როგორ დავხმაროთ მათ? – ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა გერმანიაში ჩატარებულმა მშობელთა კვლევამ სცადა. სკოლისა და მასწავლებლის ყველა ძალისხმევა შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს, თუ მშობელს არ აქვს გაცნობიერებული სწავლისა და განათლების მნიშვნელობა და არ ენდობა განათლების სისტემას, არ ეხმარება მას, მისი შვილის მაგალითზე განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

ცხადია, მშობლები უდიდეს როლს თამაშობენ მოსწავლეების აღზრდაში. მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საგანმანათლებლო პოლიტიკის განმსაზღვრებაში, კერძოდ, საგანმანათლებლო სტანდარტების მიღწევაში. განათლების პოლიტიკის გამმსაზღვრელები ცდილობენ, მშობლების თვალთ დაინახონ ის „ცხელი წერტილები“, რომლებიც მათი ყურადღების მიღმა რჩება და მათგან სასწრაფო რეაგირებას ითხოვს. მშობლის მდგომარეობისა და მისი განწყობის დადგენა იყო იმ კვლევის ერთ-ერთი მიზანი, რომელიც კონრად ადენაუერის ფონდის ხელმძღვანელობით ჩატარდა. კვლევამ სცადა, მოეხდინა იმ პრობლემების იდენტიფიკაცია, რომლებიც ხელისშემშლელ ფაქტორებად გვევლინება საგანმანათლებლო სტანდარტების მიღწევისას. რა აწუხებთ მშობლებს? როგორია მათი დამოკიდებულება განათლების სფეროს მიმართ? – ეს იყო ის ძირითადი შეკითხვები, რომლებითაც მათ ფონდის მკვლევარებმა მიმართეს.

გერმანიაში მშობლის როლი, ბოლო ოცი წლის განმავლობაში, საფუძვლიანად შეიცვალა. ბავშვის კეთილდღეობა და მისი უფლებების დაცვა მშობლისათვის უპირველეს პრიორიტეტებად იქცა. აღზრდის ძველი სტილი და მასთან დაკავშირებული მიზნები (შემგუებელი, მორჩილი ადამიანის აღზრდა) თანამედროვე მოთხოვნებმა შეცვალა. აღზრდის ახლებური, თანამშრომლობითი სტილი მიზნად ისახავს დამოუკიდებ-

ბელი, კონკურენტუნარიანი პიროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობას. გერმანელ მშობელთა უმრავლესობას, მიუხედავად სოციალური კუთვნილებისა, გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი და მოვალეობები. მათი, როგორც მშობლისა და აღმზრდელის შეგნება საკმაოდ მაღალია. გერმანელებს ხშირად უკმარისობის გრძობა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ შვილს ვერ უქმნიან ყველა იმ პირობას, რაც აუცილებელია ბავშვის წარმატებული განვითარებისათვის. გამოკითხული მშობლები აღნიშნავენ, რომ როდესაც საქმე კარიერას ეხება, დედების უმეტესობა მზადაა, დრო დაუთმოს შვილის აღზრდას კარიერის სანაცვლოდ. თუმცა მამის, როგორც აღმზრდელის, როლი ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისათვის და გამოკითხული მამების აბსოლუტური უმრავლესობა სიამოვნებით ასრულებს ამ როლს.

გერმანელ მშობელს გაცნობიერებული აქვს, რომ ბავშვის სწორად აღზრდისა და სწავლაში წარმატებისათვის აუცილებელია, ორივე მშობელი იყოს ჩართული სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გერმანიაში ბავშვებს განვითარებისა და სწავლისათვის განსხვავებული პირობები აქვთ. როდესაც მშობლები აცნობიერებენ განათლების მნიშვნელობას და შვილებს სათანადო ყურადღებას აქცევენ, ბავშვები წარმატებას აღწევენ, სასწავლო და ფიზიკური გაჯანსაღებისათვის



დროს გონივრულად იყენებენ და ტელევიზორსა თუ კომპიუტერულ თამაშებზე მიჯაჭვულნი არ არიან. თუ ბავშვი ნიგნიერ გარემოში იზრდება, კითხვის მიმართ მისი ინტერესი მაღალია. სოციალურად შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ემიგრანტთა ოჯახების შვილები კი, უმეტესწილად, საგანმანათლებლო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ და დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან. მათი მშობლები ნაკლებად არიან ჩართული სასწავლო პროცესში და არც განათლების მიღებას ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

საყურადღებოა, რომ სკოლაში მიღებული ნიშნები და სკოლის წარმატებით დასრულება მშობლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. მშობლების 75% აღნიშნავს, რომ ამაზე დაძვრები, მიაღწევს თუ არა მისი შვილი წარმატებას ცხოვრებაში. გამოკითხულთა მხოლოდ 1% თვლის სკოლის წარმატებას უმნიშვნელოდ. გამოკითხული მშობლების უმეტესობა საჯარო სკოლებში მიღებულ განათლებას ნაკლებად ენდობა. მათი მთავარი პრეტენზია ეხება სასწავლო გარემოს არაადაპტაციურობას და მოწყობას, მოსწავლეთა გადაჭარბებულ რაოდენობას კლასებში, მასწავლებელთა გულგრილ დამოკიდებულებას მოსწავლეებისა და საკუთარი საქმიანობისადმი, მოუქნელ სტრუქტურებსა და ნაკლებად ინოვაციურ კონცეფციებს. ის მშობლები, რომლებისთვისაც განათლება პრიორიტეტულია, ცდილობენ, თავად მიხედონ შვილების განათლებას და ამ მიზნით ისინი ბევრ დროს, ფულსა და ენერჯიას ხარჯავენ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამ ასპექტის გათვალისწინებით, ბოლო დროს კერძო სკოლებისადმი მოთხოვნები საკმაოდ გაიზარდა გერმანიაში, სადაც ასეთ დაწესებულებებში სწავლა ძალიან ძვირი სიამოვნებაა.

მშობლების მთავარი გზავნილი განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელებისადმი ასე ჟღერს: „განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელებმა უშუალოდ უნდა ჰკითხონ მშობლებს, სად არის ის „ცხელი წერტილები“, რომლებიც სასწავლო რეაგირებას ითხოვს. ისინი უნდა დაინტერესდნენ მშობლების რეალური ყოფითა და პრობლემებით. მათ პერიოდულად უნდა მოაწყონ მრგვალი მაგიდა და მის ირგვლივ ესაუბრონ

მშობლებს, მიაწოდონ ინფორმაცია განათლების სფეროს პრიორიტეტებისა და სიახლეების შესახებ. ჩვენ, მშობლები, დიდი ხნის წინ ვიყავით მოსწავლეები. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა განათლების სისტემაში და ხშირად საკითხები, რომლებსაც ჩვენი შვილები სწავლობენ, ჩვენი თვის გაუგებარი რჩება. სანამ განათლების პოლიტიკას გადაწყვეტდეთ, მოისმინეთ ჩვენი აზრებიც. ბავშვის კეთილდღეობა უპირველესი პრიორიტეტია ყველასათვის. ამ მიზნის მიღწევა კი მაშინ არის გაცილებით ადვილი, როდესაც გათვალისწინებულია მშობლის ინტერესები“.

კვლევის ჩატარების შემდეგ გერმანიაში არაერთი კონფერენცია და სამუშაო შეხვედრა ჩატარდა მისი შედეგების განხილვის მიზნით. „მშობლების გარეშე არაფერი გამოვა, თუ ჩვენი მიზანი თანმიმდევრული და მიზანმიმართული საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩამოყალიბებაა“, – ასე პასუხობენ განათლების პოლიტიკოსები კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს.

გერმანელ და ქართველ მშობლებს შორის მსგავსებაც არის და განსხვავებაც. ზოგადად, ყველა მშობელს სურს, რომ მისმა შვილმა საუკეთესო განათლება მიიღოს. გერმანიის მაგალითზე კი ჩანს, რომ მათ განათლების სისტემის მხრიდან დახმარება სჭირდებათ. მასწავლებლის მიერ დასახული სასწავლო მიზნები გაცილებით იოლად მიიღწევა, როდესაც მშობელი სათანადოდ არის ინფორმირებული სასწავლო პროცესისა და მიზნების შესახებ და პედაგოგი მას მოკავშირედ აღიქვამს. თუმცა მხოლოდ მასწავლებლის მცდელობა ნაყოფს არ გამოიღებს, თუ უფრო ფართომასშტაბიანი ღონისძიებები არ განახორციელა სისტემამ (მაგალითად, მშობელთა პედაგოგიზაცია). მშობელთა კვლევის ჩატარება და კვლევის შედეგების მიხედვით სასწავლო პროცესში მათი ჩართვა, ერთი მხრივ, მასწავლებლის შრომას გააადვილებს, ხოლო, მეორე მხრივ, განათლების სისტემას საგანმანათლებლო სტანდარტების მიღწევაში დაეხმარება.

გთავაზობთ რამდენიმე კომენტარს ამ საკითხზე.

ნინო გორდეზიანი, პირველი ექსპერტ-მენტული სკოლის პირველკლასელის მშობელი: „მე და ჩემი მეუღლე,

ორივე ვმუშაობთ და პროფესიულად წარმატებულები ვართ. იმისათვის, რომ ოჯახი და კარიერა ერთმანეთს შევუთავსო, წინასწარ ვგეგმავ, რა და როდის უნდა გავაკეთო. თუმცა მეუღლის დახმარების გარეშე ამას ვერ შევძლებდი. ბავშვის აღზრდაში მამა ისევეა ჩართული, როგორც მე. ჩემი შვილი საჯარო სკოლაში შევიყვანე და არა კერძოში. ეს იმიტომ გადავწყვიტე, რომ საჯარო სკოლაში ბავშვს ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლების შვილებთან უნევს ურთიერთობა. ასეთ სიტუაციაში ბავშვს სოციალური შეგნება უვითარდება და ემპათიურია. გვყავს ძალიან კარგი დაწყებითების პედაგოგი, რომელსაც ვენდობი. ყოველ დილას, როდესაც ბავშვი სკოლაში მიმყავს, პედაგოგთან საუბარს ვახერხებ. ასევე მაქვს მასთან მიმონერითი და სატელეფონო კომუნიკაცია. ვარ ინფორმირებული სასწავლო პროცესში მიმდინარე პროცესების შესახებ, თუმცა ამ ინფორმაციის მოპოვებას მშობლები, ძირითადად, ინდივიდუალურად ახერხებენ. მშობლებისათვის ტრენინგი ან რაიმე მსგავსი არ არსებობს“.

მაკა ჭიაბერაშვილი, 99-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მშობელთა ჩართულობა ნაკლებად იკვეთება ხოლმე. უფრო მეტად მათი აქტიურობა ტრიმესტრის ბოლოს ვლინდება, როდესაც ხდება მოსწავლეთა შეფასება, ანუ მშობელი ითხოვს შედეგს, მაგრამ ვერ ხედავს საკუთარ ვალდებულებას შედეგამდე მისასვლელად. იკვეთება აგრეთვე მშობელთა ისეთი კატეგორიაც, რომელიც სახლში მუშაობს შვილთან, მაგრამ არ ათანხმებს სკოლის ინტერესებსა და მიზნებთან საკუთარ ინტერესებსა და მიზნებს, ანუ სკოლის როლს, ფაქტობრივად, უგულვებლყოფს. საბედნიეროდ, არის იმ მშობლების მცირე ჯგუფი, რომელთაც სწორად აქვთ გააზრებული საკუთარი როლი სასკოლო ცხოვრებაში. მშობლების ჩართულობისათვის ვცდილობთ, რომ ისინი დროულად იყვნენ ინფორმირებული ყველა საკითხზე. მიგვაჩნია, რომ სკოლა ვალდებულია, გულისხმიერებით მოეკიდოს მშობლის პრეტენზიას თუ წინადადებას. ჩემი აზრით, განათლების მნიშვნელობა ქართველ მშობელს კარგად ესმის, მაგრამ სასწავლო პროცესში თავისი როლის გაცნობიერება უჭირს“.





მასწავლებლის პროფესია

- არჩევანი და პირველი ნაბიჯები

დღევანდელი ახალგაზრდები პრაგმატულობით გამოირჩევიან და იშვიათად ირჩევენ დაბალშემოსავლიან პროფესიას. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდები, რომლებიც საკუთარ მომავალს არცთუ მაღალანაზღაურებად მასწავლებლის პროფესიას უკავშირებენ. როგორც ირკვევა, ფინანსური დაინტერესების გარდა, არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც მათ მოტივაციას ზრდის. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია მისწრაფება მასწავლებლობისკენ, რაც ახალგაზრდებს ზოგჯერ მემკვიდრეობით გადაეცემათ ოჯახის წევრი პედაგოგებისგან, ზოგჯერ კი ამას ბავშვების სიყვარული განაპირობებს, ან სულაც – ავტორიტეტული მასწავლებლის მაგალითის ძალა.

ალექო ცქიტიშვილი

დღეს, როცა მასწავლებლის ხელფასი საშუალოზე დაბალია, პედაგოგიური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტები ისეთი სპეციალობების არჩევას ცდილობენ, რომლებიც მათ მხოლოდ მასწავლებლის კვალიფიკაციას არ მისცემს. მაგალითად, უცხო ენის მასწავლებლის პროგრამის შესწავლისას სტუდენტთა ნაწილი ფიქრობს, რომ თუ მასწავლებლად არ იმუშავენ, უცხო ენის ცოდნა სხვა მიმართულებით

გამოადგება – თარჯიმნად ან მთარგმნელად დასაქმდება, ტურისტულ ინდუსტრიაში ჩაებმება და ა.შ.

სოციოლოგიურმა კვლევამ („მასწავლებელთა საჭირო და მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ“) აჩვენა, რომ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებში მასწავლებლის პროფესია პოპულარული არ არის. თუმცა არსებობს სხვა მონაცემებიც, რომლებიც ექსპერტებს ოპტიმიზმის საფუძველს



აძლევს. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი სტუდენტი აგრძელებს სწავლას მაგისტრატურაში პედაგოგიკის პროგრამით. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი გოცირიძე კი ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ 2009-10 სასწავლო წლისათვის ამ სასწავლებელში პედაგოგიკის შესწავლის მსურველთა რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა.

„შეიძლება ითქვას, სტუდენტებს მეტი ინფორმაცია აქვთ ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე, ვიდრე მოქმედ მასწავლებლებს. ახალმა საგანმანათლებლო კურიკულუმმა მათი მოტივაცია უფრო გაზარდა, განსაკუთრებით – დამამთავრებელ კურსებზე. მაგისტრატურაში ყოველ წელს იზრდება სტუდენტთა რაოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ მასწავლებლებს სურთ, უფრო მეტად მოემზადონ და ადვილად დაძლიონ კონკურენცია. ისინი მოუთმენლად ელიან სასერტიფიკაციო გამოცდებს და სჯერათ, რომ მასწავლებლის პროფესიის დაუფლება არ მთავრდება უმაღლესი სასწავლებლის დასრულებით ან სერტიფიკატის აღებით. ეს პროფესია მუდმივ თვითგანვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას გულისხმობს. ეს კარგად აქვთ გათვითცნობიერებული და ამიტომ საკმაოდ მოტივირებულინი დგამენ პირველ ნაბიჯებს“, – ამბობს ილიას უნივერსიტეტის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, **თამარ ტალიაშვილი**.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში არანაკლებ პრობლემატური იყო მომავალი მასწავლებლებისთვის სათანადო თეორიული განათლების მიცემა. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების უმეტესობამ პროფილის გაფართოება გადანყვიცა,

რაც ბაზარზე სხვა პროფესიების მზარდი მოთხოვნით იყო განპირობებული. ეს პროცესი არა მარტო ცენტრალურ, არამედ რეგიონებში არსებულ უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებშიც მიმდინარეობდა, მათ შორის მდიდარი ტრადიციებით გამორჩეულ ქუთაისის, გორის, თელავის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტებში. ამ სასწავლებლების სახელწოდებებიდან გაქრა სიტყვა „პედაგოგიური“, რის შემდეგაც განათლების ბაზარს მათ მოდური და შემოსავლიანი სპეციალობების ფართო სპექტრი შესთავაზეს, თუმცა პედაგოგიკა საკუთარ არსენალში მაინც დატოვეს.

გიორგი გოცირიძე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი: *„2001 წლიდან თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსით მოქმედებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ სასწავლებელში პედაგოგიკა აღარ ისწავლება. ჩვენ ვინარჩუნებთ წარსულის მდიდარ ტრადიციებს და ამავე დროს ვცდილობთ, ეს ტრადიციები თანამედროვეობის მოთხოვნების მიხედვით განვავითაროთ. პედაგოგიკას სამივე საფეხურზე ვასწავლით – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით. ჩართული ვართ მთელ რიგ პროგრამებში, რასაც განათლების სამინისტრო გვთავაზობს. მართალია, ბოლო წლებში პედაგოგიკას ნაკლებად ირჩევდნენ, მაგრამ უკანასკნელი მონაცემებით, მასწავლებლის პროფესიისადმი ახალგაზრდების ინტერესი ისევ იზრდება“*.

პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის დაბრუნება დიდწილად მაინც მასწავლებლის შრომის დაფასებაზე დამოკიდებული. თამარ ტალიაშვილის თქმით, მასწავლებლობა, ტრა-

დიციულად, გოგონებს უფრო უნდათ. მათ არჩევანს ხშირად ბავშვების განსაკუთრებული სიყვარული განაპირობებს. გარდა ამისა, თანამედროვე ახალგაზრდებს ერთგვარი აზარტიც აქვთ, მიიღონ ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა დღევანდელ საქართველოში – აღზარდონ თაობა, რომელზეც დამოკიდებული იქნება ქვეყნის მომავალი. ამავე დროს, ისინი ხვდებიან, რომ მასწავლებლობა, პირველ რიგში, შემოქმედებითი საქმიანობა, ცოცხალ ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებაა და არა ცოდნის მექანიკურად გადაცემა. დღევანდელი სტუდენტები უფრო თამამად და გააზრებულად დგამენ პირველ ნაბიჯებს.

„ბავშვები ძალიან მიყვარს და თან ისეთი მასწავლებელი მყავდა, სულ მინდოდა, მეც მისნაირი ვყოფილიყავი“, – ამბობს **სტუდენტი მარეხ ბანცაძე**, რომელიც წელს ილიას უნივერსიტეტის ბაკალავრიატს ამთავრებს, – *„თუ განათლების სამინისტრო საშუალებას მომცემს, რომელიმე სკოლაში დავსაქმდე, ამ ეტაპზე ხელფასს ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. ახლა უფრო განვითარებაზე ვფიქრობ და არა ანაზღაურებაზე. უნივერსიტეტს რომ დავამთავრებ, მინდა, ერთწლიანი პრაქტიკა გავიარო, მერე კი სასერტიფიკაციო გამოცდა ჩავაბარო და სკოლაში დავიწყო მუშაობა. მაგისტრატურის დამთავრებასაც ვაპირებ, რაც საშუალებას მომცემს, ქართული ენა და ლიტერატურა მაღალ კლასებში ვასწავლო“*.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინფორმაციით, საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში არაერთი სკოლაა, რომელშიც კვალიფიციური კადრების მოზიდვა და შენარჩუნება ძალიან რთულია. რეგიონების სკოლების მასწავლე-

ბელთა 13%-ს უმაღლესი განათლება არ აქვს. ასევე ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებელი საგნებს თავისი სპეციალობით არ ასწავლის. ზოგიერთი რეგიონის სკოლებში კი საერთოდ არ მოიძებნება შესაბამისი საგნის პედაგოგი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შექმნილ მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდზე www.pedagogi.ge გამოქვეყნებული ვაკანსიები თვეობით რჩება შეუვსებელი. პრობლემებს განსაკუთრებით მაღალმთიანი რეგიონების სკოლებში განყდებით. ზემოთ აღნიშნული კვლევის მიხედვით, მასწავლებელთა ნაკლებობა ყველაზე მეტად შეიმჩნევა ისეთ რაიონებში, როგორცაა: მესტია, ყაზბეგი, ახალგორი, დუშეთი, ნალკა, დმანისი, თეთრიწყარო,

ხულო და შუახევი. ამ რაიონებში პედაგოგების საერთო რაოდენობა 30-60%-ით ნაკლებია საჭიროზე.

აღნიშნული პრობლემების დასაძლევად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა განახორციელა პროექტი „ასწავლე საქართველოსთვის“, რომლის მიზანია პრობლემურ სკოლებში კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნება და სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. პროექტი ასევე ემსახურება მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას, კვალიფიციური კადრების დაინტერესებას და სასწავლო პროცესში ენერგიული და მოტივირებული ახალგაზრდების ჩართვას.


2009 წელს 43 კონსულტანტ-მასწავლებელი შეირჩა, რომლებმაც


ინტენსიური ტრენინგები გაიარეს პედაგოგიურ უნარ-ჩვევებსა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. კონსულტანტ-მასწავლებლები გადანაწილდნენ: ქვემო ქართლში, კახეთში, დუშეთში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში. 2010-2011 სასწავლო წლისთვის პედაგოგთა შესარჩევი კონკურსი აპრილში გამოცხადდება. ამგვარად დასაქმებულ მასწავლებელთა ანაზღაურება ერთი-ორად მაღალია. თუმცა ახალგაზრდა მასწავლებლებს არჩევანის გაკეთება მაინც უჭირთ.

„ძნელია, უცხო გარემოში მარტოდ-მარტო წახვიდე და თვეების განმავლობაში იქ დარჩე, მითუმეტეს, თუ მაღალმთიან რეგიონში, მკაცრ ბუნებრივ პირობებში იცხოვრებ. ასეთი ნაბიჯის გადადგმა განსაკუთრებით ძნელია ჩვენთვის – დამწყები მასწავლებლებისთვის. ამიტომ, პირველ რიგში, ვცდილობთ, თბილისის რომელიმე სკოლაში დავმკვიდრდეთ, რამდენიმეწლიანი გამოცდილება შევიძინოთ და მერე უკვე ყველაფერზე შეიძლება ფიქრი“,

– ამბობს ილიას უნივერსიტეტის სტუდენტი ქეთი ხარაიშვილი, რომელიც წელს ამთავრებს ბაკალავრიატს. მისთვისაც უპირველესი საზრუნავი პრაქტიკის გავლა და სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებაა.


როგორც სტუდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა, ისინი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ სხვადასხვა ხელისშემშლელ ფაქტორს და პირველ ნაბიჯებს დიდი ენთუზიაზმით დგამენ. სახელმწიფო მოვალეა, ხელი შეუწყოს მათ, რათა ამ ახალგაზრდების განწყობა, შემდგომ ეტაპზე, პრაგმატულ ინტერესებსაც თანხვედეს.





სამხედრო-პატრიოტული აღზრდა და მისი ისტორია

პირველყოფილ ხალხებში არსებობდა ჭაბუკის მამაკაცად (მეომრად) კურთხევის რიტუალი (იუდეველთა რიტუალი ბარმიცვა სწორედ ამ უძველესი ტრადიციის გამოვლენაა). მამაკაცი და მეომარი პირველყოფილ საზოგადოებაში სინონიმებს წარმოადგენდა. ისტორიული წყაროების საშუალებით ჩვენ საკმაოდ სრული წარმოდგენა გვაქვს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა ძველ სპარტაში სასწავლო პროცესი. იგი, ფაქტობრივად, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას წარმოადგენდა.



ნურბაზარ ბარლასველიძე

ძველ რომში, რომლის ათასწლოვანი დიდებაც სამხედრო ხელოვნების წარმატებამ განაპირობა, ახალი თაობის სწავლა-განათლება სახელმწიფო პრეროგატივას წარმოადგენდა, პედაგოგები კი სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსდებოდნენ. ასევე იყო ძველ ჩინეთშიც. 25 საუკუნის წინ სუნ ძის მიერ შექმნილი ტრაქტატი ომის ხელოვნების შესახებ დღემდე სამაგიდო წიგნად ითვლება როგორც სამხედრო პირებისთვის, ასევე, ზოგადად, მენეჯმენტის სფეროს მუშაკებისათვის.

შუა საუკუნეების ევროპაშიც რაინდად აღზრდა სწორედ სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას გულისხმობდა – იმ განსხვავებით, რომ ფეოდალურ სამყაროში სამშობლოს სამსახური მეფის მსახურების სახით წარმოჩინდებოდა. დღეს ბევრს წერენ მამლუქების მამაცობასა და მათი ლიდერების ქართულ წარმომობაზე. მამლუქებისა და იანიჩარების (სხვათა შორის, მათშიც მრავალი იყო ქართული წარმომობის) ძლიერება სანიმუშო სამხედრო მომზადებისა და აღზრდის დამსახურებაა. სწორედ აღზრდის შედეგი იყო ის, რომ ქრისტიანი ხალხებიდან იძულებით თავმოყრილი ჭაბუკები, რომელთაც ძალიან კარგად ახსოვდათ საკუთარი წარმომობაც და მშობლიური ენაც, ოსმალეთის სულთნის სამსახურს სწირავდნენ თავს.

სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა ჯერ კიდევ ყმანვილმა, მომავალში კი რუსეთის

იმპერატორმა პეტრე I-მა მიანიჭა და თამამ-თამაშით გამოწვრთნილი ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებული პრეობრაჟენსკის და სემიონოვსკის პოლკის დახმარებით ძალაუფლება მოიპოვა.

სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილთა საუკეთესო მაგალითებად 300 სპარტელთან ერთად 300 არაგველიც და 300 ხევსურიც უნდა გვახსოვდეს. 300 შემთხვევითი ციფრი როდია. 300 მეომარი, ანუ სამი ასეული ერთი ბატალიონია – ყველაზე მცირე ტაქტიკური შენაერთი, რომელსაც დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციის (ბატალიის) განხორციელება შეეძლო.

სპეციალისტთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ჯარის ბრძოლისუნარიანობა მის მოტივაციას ემყარება. თუ ეს მოტივაცია ქვეყნის, სამშობლოს სიყვარულს, წინაპართა სახელოვანი ტრადიციების ერთგულებისა და ვაჟკაცობის, მამაკაცური სიმამაცის შესახებ ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს ემყარება, მაშინ ადვილია პირად შემადგენლობაში დისციპლინის დამყარებაც და ჯარისკაცების მხრიდან ინიციატივისა და გააზრებული გმირობის გამოვლენაც. განა რა საფასური უნდა დაუნიშნოს სახელმწიფომ სამხედრო მოსამსახურეს, რომ მან სიცოცხლე გასწიროს მოვალეობის შესრულების დროს? თუმცა სამშობლოს, ოჯახის წევრების წინაშე მოვალეობის, მხედრული ვალის, პასუხისმგებლობის გრძნობა აიძულებს სამხედრო მოსამსახურეს, რომ,



სკოლამ უნდა შეძლოს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბება: მათ უნდა გაიაზრონ, რომ დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანა და განსხვავებული შეხედულებების მქონე ხალხების მყარი ერთიანობაა.



აუცილებლობის შემთხვევაში, თავი გასწიროს. ამავდროულად, ეს მისი სამსახურებრივი მოვალეობაცაა.

სამხედრო-პატრიოტული სწავლება არ შეიძლება მხოლოდ ერთი საგნით შემოიფარგლოს. იგი არა უბრალოდ სწავლება, არამედ აღზრდაც არის. ამაში კი თანაბრად მონაწილეობენ ისტორიის, სამოქალაქო განათლების, მშობლიური ენის და სპორტის პედაგოგები თუ მწვრთნელები. უპირველეს ყოვლისა, ჯერ თავად პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ ნათლად გააზრებული, თუ რა არის და როგორ მიიღწევა სამხედრო-პატრიოტული აღზრდა. შემდეგ მათ კომპლექსურად და პერმანენტულად უნდა განახორ-

ციელონ იგი. სკოლამ უნდა შეძლოს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბება: მათ უნდა გაიაზრონ, რომ დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანა და განსხვავებული შეხედულებების მქონე ხალხების მყარი ერთიანობაა. ამიტომ დემოკრატიული და ლიბერალური ფასეულობების პატივისცემა და დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც საზღვრებისა და ტერიტორიების დაცვა.

გასულ ათწლეულებში სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას დიდი ყურადღება ეთმობოდა საბჭოთა კავშირში (თუმცა უფრო ხშირად ფორმალურად): ტარდებოდა სამხედრო-პატრიოტული თამაშები, რომლებშიც მრავალი ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას. სხვათა შორის, მსგავსი თამაშები და ორგანიზაციები საბჭოთა გამოგონება არ გახლავთ. პიონერულ ორგანიზაციაზე ადრე ინგლისში სკაუტური ორგანიზაციები ჩამოყალიბდა, რომლებმაც მთელ მსოფლიოში, მათ შორის, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საბჭოთა რუსეთშიც კი მოიკიდა ფეხი. დღეს საქართველოში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობს სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით ახალგაზრდების აღზრდას. რა შედეგები ექნება მათ მცდელობებს, ძნელი სათქმელია. არაკეთილსინდისიერი ადამიანების ხელში ეს ორგანიზაციები შესაძლებელია ადვილად გადაიქცენ სკინჰედების მსგავს გაერთიანებებად. სკინჰედებიც და სხვა ფაშისტური ორგანიზაციებიც ხომ სწორედ სამხედრო-პატრიოტულ სულისკვეთებას აცხადებენ თავისი იდეოლოგიის ქვაკუთხედად.

2008 წლის აგვისტოს ომმა ნათლად დაანახა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მონინალმდეგებს ამგვარი სწავლების აუცილებლობა. ვერც სარეზერვო სამსახური, ვერც ეროვნული გვარდია და მსგავსი ორგანიზაციები ვერ შეცვლის სკოლებში სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და უსაფრთხოების სწავლების აუცილებლობას.

სამწუხაროდ, სამხედრო-პატრიოტული აღზრდა საზოგადოების უმრავლესობას მხოლოდ ავტომატური იარაღის დაშლა-აწყობის შესწავლა ჰგონია. ისინი ფიქრობენ, რომ თადა-

რიგში გასული ოფიცრები მეტს ვერაფერს ასწავლიან მოსწავლეებს. ავტომატის დაშლა-აწყობა კი არც სამხედრო-პატრიოტულ სულისკვეთებას უღვივებს მოზარდებს და საერთოდაც, დროის ფუჭი ხარჯვაა, რადგან ამას სამხედრო სავალდებულო სამსახურში განვეული ახალგაზრდა ერთ დღეში აითვისებს. მთავარი ყურადღება სწორედ ქართული სამხედრო დიდების ისტორიისა და საბრძოლო გამოცდილების შესწავლას უნდა დაეთმოს.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდა კომპლექსური საგანია, უფრო ზუსტად, საგანთა ერთობლიობაა. ეროვნული და მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესწავლის ფონზე უნდა მოეწიოს პრაქტიკული მეცადინეობები, რომლის დროსაც მოსწავლეები შეისწავლიან სამწყობრო მომზადების ანბანს, ბუნებაში ორიენტირებას, სამოქალაქო თავდაცვის ელემენტებს, აითვისებენ სამაშველო და პირველი დახმარების უნარ-ჩვევებს.

თეორიულ სწავლებას აუცილებლად უნდა მოჰყვებოდეს პრაქტიკული წვრთნები. გარდა ამისა, თუ თავისუფალ დროს მოსწავლეებს ქალაქგარეთ წაიყვანთ ლაშქრობაზე, რომლის დროსაც ისინი მოინახულებენ რომელიმე ციხე-სიმაგრეს, შეეჯიბრებიან ერთმანეთს ძეგლის ტერიტორიის დასუფთავებაში, გაიხსენებენ მის საბრძოლო წარსულს, დაანთებენ კოცონს, მიირთმევენ საერთო ტაბლიდან – ეს საინტერესოც იქნება, სახალისოც და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგება. შემდგომ ეტაპზე უფრო ხანგრძლივი ლაშქრობების მოწყობაც შეიძლება, როდესაც მოზარდები კარვის გაშლას, საკვების მომზადებას, ტერიტორიაზე ორიენტირებას, უსაფრთხოების წესების დაცვასა და ერთმანეთის დახმარებას, ბუნების დაცვასა და საერთო ჯამში, მშობლიური მხარის სიყვარულს ისწავლიან. სამშობლოს სიყვარული, სწორედ ასეთი, ერთი შეხედვით, მცირე გამოცდილებებით ყალიბდება და არა ფუქსავატობითა თუ ქსელური თამაშებით, დიდაქტიკური შეგონებებითა თუ მომაბზრებელი სადღეგრძელო-დარიგებებით.



კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლისათვის

ტესტის ნიმუშები გერმანული და ფრანგული ენების მასწავლებლისათვის

მოგვანოდა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა

ტესტის სტრუქტურა

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან. ესენია ტესტის საკუთრივ ენობრივი ნაწილი, რომელიც ამონებებს, თუ როგორ ფლობს მასწავლებელი უცხოურ ენას და მეთოდური ნაწილი, რომელიც ამონებებს თუ როგორ ფლობს მასწავლებელი უცხოური ენის სწავლების მეთოდებს.

ქვემოთ მოცემულია საგამოცდო ტესტის ტესტურ დავალებათა ნიმუშები, გაითვალისწინეთ, რომ 2010 წლის გამოცდაზე შემონ-მდება ასევე ლაპარაკის უნარი, ხოლო მეთოდური ნაწილი მოცე-მული იქნება შესაბამისი უცხო ენებზე. ტესტების ბოლოს მოცე-მულია მოსმენის დავალების ტრანსკრიფტი და სწორი პასუხები.

რა მონმდება	დავალების ინსტრუქცია
1. მოსმენა	მოსმინეთ ტექსტი და გამოტოვებული ადგილები შეავსეთ სათანადო ინფორმაციით.
2. მოსმენა	მოსმინეთ ჩანაწერი და მოსაუბრეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მიუსადაგეთ შესაბამისი წინადადებები.
3. შეცდომების გასწორება	წაკითხეთ ტექსტი; მასში შეცდომების პოვნის შემთხვევაში, გაასწორეთ შეცდომა და მიუთითეთ შეცდომის ტიპი.
4. სიტყვანარმოება	წაკითხეთ ტექსტი და გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით სიტყვები სწორ ფორმაში.
5. წაკითხულის გააზრება	წაკითხეთ წინადადებები და განსაზღვრეთ, სწორია ისინი, თუ მცდარი. მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელშიც წინადადებების სისწორე/ სიმცდარის დამადასტურებელი ინფორმაციაა მოცემული.
6. წაკითხულის გააზრება	წინადადებების ჩამონათვლიდან აირჩიეთ შესაფერისი წინადადება და ჩასვით ტექსტში სათანადო ადგილას.
7. წერა	მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერეთ თხზულება.
ჯამი	

საპარჯიშოები გერმანულ ენაში

Aufgabe 1. Hörverstehen

- Sie hören ein Radiointerview zum Thema "Kultur". Sie hören das Interview zweimal.
- Lesen Sie jetzt die Aufgaben 1-10.
- Hören Sie nun das Interview.
- Füllen Sie die Lücken mit entsprechender Information.

0. Zuerst wurde der Louvre als eine Festung gebaut.
1. Im Louvre gibt es über _____ Exponate
2. Louvre steht an der _____ Ufer des Flusses Seine.
3. Louvre wurde zur Königsresidenz im _____ Jahrhundert.
4. Nach der _____ wurde die Stadt Paris zum Besitzer vom Louvre.
5. Es ist besonders empfehlenswert das Museum am _____ zu besuchen.
6. Der Louvre hat einzigartige Bildersammlung des _____ Barocks.
7. Jährlich findet _____ von neu erworbenen Bildern.
8. Die Bestände von Louvre werden immer _____.
9. Napoléon hat mehrere _____ gegründet.
10. Über dem Eingang wurde eine gläserne _____ gebaut.

Aufgabe 2. Hörverstehen

- Sie hören vier Meinungen zum Thema "Ostertraditionen". Sie hören den Text zweimal.
- Lesen Sie jetzt die Aussagen A-E
- Entscheiden Sie wer was sagt. Markieren Sie entsprechende Aussage.

- A. Ostern ist für mich ein Ausflug mit Freunden
- B. Eiersuchen ist unsere einzige Tradition
- C. Ostern ist kein großes Fest für mich, aber trotzdem gehe ich in die Kirche
- D. Ostern ist ein ganz gewöhnliches Wochenende
- E. Ostern wird in unserer Familie sehr traditionell gefeiert

- | | | | | | |
|----------------|---|---|---|---|---|
| 11. Sprecher 1 | A | B | C | D | E |
| 12. Sprecher 2 | A | B | C | D | E |
| 13. Sprecher 3 | A | B | C | D | E |
| 14. Sprecher 4 | A | B | C | D | E |

Aufgabe 3. Fehlerkorrektur

- Lesen Sie den Text auf der nächsten Seite und finden Sie die Fehler.
- Am Rande der Zeilen, die einen Fehler enthalten, sollen Sie das Wort richtig schreiben und die Art des Fehlers angeben (Beispiel 0). Die

Arten von Fehlern sowie ihre Kennzeichnung finden Sie unten.

Beachten Sie bitte, dass es nur **einen** Fehler pro Zeile gibt.

- Wenn die Wortstellung falsch ist, schreiben Sie das Wort zusammen mit dem Wort, mit dem es vorkommen soll, in der richtigen Reihenfolge.
- Am Rande der Zeilen, die keinen Fehler enthalten, setzen Sie ein ✓ (Beispiel 00).

Die Arten der Fehler und ihre Kennzeichnung

Bez	Falscher syntaktischer oder semantischer Bezug , z.B. <i>Die Tochter besucht <u>seine</u> Großmutter</i> (anstatt <i>ihre</i>)
Gen	Verwendung des falschen Genus , z.B. <i>Der Katze schläft auf dem Sofa.</i> (anstatt <i>Die</i>)
K	Falscher Kasus , z.B. <i>Ich habe drei verschiedenen Angebote bekommen.</i> (anstatt <i>verschiedene</i>); <i>Von <u>mehrere</u> Seiten</i> (anstatt <i>mehreren</i>)
Konj	Verwendung der falschen Konjunktion , z.B. <i>Es war noch dunkel, <u>wenn</u> ich gestern aufstand</i> (anstatt <i>als</i>)
M	Falscher Modusgebrauch , z.B. <i>Wenn ich Millionär <u>war</u>, würde ich nach Australien fahren.</i> (anstatt <i>wäre</i>)
mF	morphologischer Fehler , nicht existierende Formen von Verben, Substantiven und Adjektiven, z.B. <i>Das Kind <u>singte</u> laut.</i> (anstatt <i>sang</i>); eine Seite des <i>Buch</i> (anstatt <i>Buches</i>);
Mv	Falsches Modalverb , z.B. <i>Du <u>musst</u> hier nicht rauchen.</i> (anstatt <i>darfst</i>)
Präp	Verwendung der falschen Präposition , z.B. <i>Ich denke <u>auf</u> dich.</i> (anstatt <i>an</i>)
Wst	Falsche Wortstellung, z.B. <i>Ich gehe nicht in die Schule, weil ich <u>bin krank</u>.</i> (anstatt <i>krank bin</i>)
FE	Fehlen von Elementen, z.B. <i>Heute <u>schneit</u>.</i> (anstatt <i>Heute schneit es.</i>)
ÜE	Überflüssige Elemente, die zu streichen sind, z.B. <i>Ich bin seit einer Stunde hier <u>geblieben</u>.</i> (anstatt <i>Ich bin seit einer Stunde hier.</i>)

Liebe Sofie,
 liebe Marie,
 wie geht es euch? Ich hoffe sehr, dass ihr der Aufnahmeprüfungen gut bestehen werdet. Ich habe ja auch bald Abschlussprüfungen. Ich habe Angst von den schriftlichen Prüfungen. Manchmal kann ich meine Lehrer gar nicht verstehen. Ich habe das Eindrück, dass sie eine ganz andere Sprache sprechen. Wenn ich ein Lehrer bin, würde ich mehr Zeit mit meinen Schülern verbringen, um seine Interessen und Wünsche besser verstehen zu können. Ich sollte lieber dieses trauriges Thema wechseln... Ich schreibe jetzt ein Referat über die Deutschen, die wegen der falschen Zeitplanung Probleme haben. Wie ihr seht, handelt sich in meinem Referat um ein wichtiges Thema. Das Stress ist in Deutschland zu einer echten Volkskrankheit geworden. Wie ihr wisst, viele Deutsche treiben in ihrer Freizeit zu wenig Sport. Ich möchte meinen Mitschüler zeigen, ob Sport beim Abbau von dieser Krankheit helfen muss.

0	_____ die _____	K
00	_____ ✓ _____	_____
1	_____	_____
2	_____	_____
3	_____	_____
4	_____	_____
5	_____	_____
6	_____	_____
7	_____	_____
8	_____	_____
9	_____	_____
10	_____	_____
11	_____	_____
12	_____	_____

Aufgabe 4

- Lesen Sie den folgenden Text.
- Formen Sie die in Klammern gegebenen Wörter um.

Arthur Schnitzler wird am 15. Mai 1862 als (0) zweiter (ZWEI) Sohn des Arztes Professor Johann Schnitzler in Wien geboren. Die (1) _____ (ARZT) Laufbahn ist ihm (wie auch seinem Bruder) vorgezeichnet. Nach dem Besuch des Akademischen Gymnasiums studiert Schnitzler Medizin an der Universität Wien und (2) _____ (PROMOTION) 1885. Bis 1888 arbeitet er als Sekundararzt am Allgemeinen Krankenhaus, anschließend bis 1893 als Assistent seines Vaters an der Allgemeinen Wiener Poliklinik. Von 1887 bis 1894 ist er zudem Redakteur der "Internationalen Klinischen Rundschau" und verfasst eine Anzahl (3) _____ (MEDIZIN) Fachartikel. Nach dem Tod seines Vaters im Jahre 1893 (4) _____ (ERÖFFNUNG) Schnitzler eine Privatpraxis. Nun kann er seinen (5) _____ (SCHRIFTSTELLER) Ambitionen mehr Zeit widmen. Er hat früh begonnen sich literarisch zu betätigen.

1890 findet er Anschluss an den (6) _____ (LITERATUR) Kreis im Café Griensteidl, aus dem sich Freundschaften der verschiedensten Art (7) _____ (ENTWICKLUNG). Mit dem Stück "Das Märchen" gelingt es ihm im Jahr 1893 zum ersten Mal ein Werk auf eine Bühne seiner Heimatstadt Wien zu bringen. Bei dieser Gelegenheit lernt er (8) _____ (SCHAUSPIEL) Adele Sander kennen. Ihr Briefwechsel ist ein faszinierendes Dokument dieser kurzen, stürmischen Liebe. Nach zwei Jahren trennen sich die Wege der beiden wieder. Seitdem haben sie sich nie wieder gesehen.

Aufgabe 5

- Lesen Sie den Text. Entscheiden Sie welche Aussagen (30-39) richtig oder falsch sind. Daneben schreiben Sie in welchem Abschnitt (1-7) kann man die Begründung für Ihre Entscheidung finden.
- Markieren Sie die passenden Lösungen mit ✓.

Großbritannien - ein Überwachungsstaat?

- Jack Bonnar arbeitet in der Videoüberwachungszentrale von Middlesbrough. Auf dem Bildschirm verfolgt er, was draußen auf den Straßen los ist. 678 Verhaftungen habe es dank seiner Kameras gegeben. Diebstähle, Schlägereien, Einbrüche – Bonnars Kameras lieferten Beweise. Middlesbrough liegt in Nordengland, früher war hier ein stolzes Stahlrevier. Doch zwischen 1975 und 1985 gingen rund 50 000 Arbeitsplätze verloren. Die Zahl der Arbeitslosen ist bald doppelt so hoch wie im Durchschnitt Großbritanniens. Es gibt in Middlesbrough fast 50 Prozent mehr Gewaltverbrechen als im Landesdurchschnitt, doppelt so viele Einbrüche und gestohlene Autos, ein Drittel mehr Sachbeschädigungen.
- Neulich habe es eine Umfrage gegeben in der Stadt. Demnach ist die größte Sorge der Menschen hier die Kriminalität, und an zweiter Stelle beschwerten sich die Leute darüber, dass überall so viel Dreck herumliegt. Vor einiger Zeit wurden in der Stadt mehrere Überwachungskameras aufgestellt. In der Innenstadt wurden früher pro Woche 35 Autos aufgebrochen oder gestohlen. Dann ließ Bonnar dort eine Kamera aufstellen. Sofort sank die Rate: nur noch ein Autoaufbruch im Monat. Auch die städtischen Müllwerker müssen nur noch zweimal am Tag zum Fegen in die Fußgängerzone, vorher waren sie doppelt so oft draußen. Für Bonnar ist das Erfolg.
- Kein demokratisches Land auf der Welt hat eine so hohe Kameradichte wie Großbritannien. Rund 4,2 Millionen Überwachungskameras sollen es sein, das wären gut fünfmal mehr als in Deutschland. Etwa 300-mal am Tag wird jeder Brite gefilmt, in der U-Bahn, im Bus, in der Innenstadt, beim Betreten seiner Firma. Als Argument für immer mehr Kameras dient – auch in Deutschland – der Kampf gegen Terrorismus. Eine Kamera gibt



Sicherheit. Der Staat will seine Bürger immer im Blick haben, um sie zu schützen. Der Staat bekommt das Recht, sich in alle Lebensbereiche einzumischen. Nun kehren die Bürger aus Angst vor Terror, Kriminalität und Dreck unter den Schutz des Staates zurück.

4. Die Zeitungen schlagen Alarm: Großbritannien ist ein Überwachungsstaat geworden. Das ist der Abschied von der freien Gesellschaft. Und die Kommentare lassen sich ungefähr so zusammenfassen: Wer nichts zu verbergen habe, den würden die Kameras schon nicht stören. Und wer Alles richtig mache, der brauche die Stimme des Staates nicht zu fürchten. Wie viel Beobachtung lassen die Menschen zu, bevor sie die Gegenwart des Staates nicht mehr als Schutz, sondern als Einmischung begreifen? Bisher, scheint es, ist der Punkt noch nicht erreicht. Es gibt praktisch keine Opposition.
5. So sitzt Bonnar vor der Videowand, 28 Monitore hat er im Blick. Seine Kameras draußen sehen aus wie Strassenlaternen. Die Linse ist unter dunklem Glas verborgen, man kann nicht erkennen, wohin sie zeigt. Bei den alten Kameras wusste man immer, in welche Richtung sie blicken, und die Verbrecher liefen einfach andersherum weg.
6. Bonnars Videokameras sind im Grunde primitive Geräte, sie übertragen die Wirklichkeit von draußen in den Kontrollraum. Bonnar ist angewiesen auf gute Mitarbeiter, auf Menschen. Und das ist eigentlich ein Prinzip von gestern. Bonnars Kameras können nur abbilden, nicht interpretieren oder Alarm schlagen. Sie sind nicht klug.
7. Jetzt kommt eine neue Kamerageneration auf den Markt. Sie sehen nicht nur alles, sie geben auch Bescheid. Das sind programierbare Kameras, die bei der Fahndung helfen, die verdächtige Bewegungen erkennen und die auch wissen, wen sie alarmieren müssen, wenn sie etwas entdecken. Einige Systeme sind schon im Einsatz, an Flughäfen, Autobahnen und Bahnhöfen. Sie stehen in Finnland, in den USA, in Dubai, ein paar stehen in Deutschland und ziemlich viele in Großbritannien. Diese Kameras schicken ihre Bilder an einen Polizeicomputer. Der Computer vergleicht sie mit einer Datenbank und schlägt Alarm wenn etwas nicht stimmt.

		richtig	falsch	Abschnitt
0.	Jack Bonnar sieht auf dem Bildschirm was in der Stadt passiert	✓		1
1.	Middlesbrough ist eine sehr saubere Stadt			
2.	In Middlesbrough gibt es mehr Verbrechen als in anderen Städten			
3.	Britische Bürger werden nur in Büros überwacht			
4.	Programierbare Kameras gibt es nur in Europa			
5.	Heute sind Bonnars Kameras schon veraltet			
6.	Viele Bewohner von Middlesbrough arbeiteten in Stahlwerken			
7.	Man weiß genau, wohin die neuen Kameras von Bonnar blicken			
8.	Programierbare Kameras sind sehr klug			
9.	Dank den Kameras gibt es in Middlesbrough weniger Müll			
10.	Manche empfinden die Beobachtung als Einmischung in ihr Leben			

Aufgabe 6

- **Füllen Sie die Lücken (1-6) mit den unten vorgegebenen Sätzen (A-H)**
- **Ein Satz passt nicht in die Lücken.**

Hungerleider am Nordpol

Mal galoppiert der weiße Bär über die Schneeflächen, weil seine hochempfindliche Nase die Beute gespürt hat. (0) B. Er wartet auf seine Lieblingsspeise, die Ringelrobbe. Den weißen Bären droht Gefahr. Die körperliche Verfassung der Tiere hat sich deutlich verschlechtert. (1) _____. Schuld daran ist nicht ein Rückgang der Beute, denn die Zahl der Tiere und Fische hat sich in diesen Gebieten nicht wesentlich verändert. Der Grund dafür ist eher eine gefährlich verkürzte Jagdsaison. (2) _____, um die Zeit, wenn die kanadische Hudson Bay zuzufrieren beginnt. Wenn die Eisdecke fest genug ist, verlassen die Eisbären ihre Sommerquartiere und beginnen die Jagd. Von ihrer Beute verzehren die weißen Riesen, die aufgerichtet bis über drei Meter hoch ragen, hauptsächlich Speck. Selbst junge Tiere verschmähen die weißen Bären während der Winterzeit nicht, denn sie brauchen ein dickes Fettpolster. (3) _____, da die Eisbären in den arktischen Sommermonaten fasten. Der Hunger trieb die Tiere in den letzten Jahren immer früher von ihren sommerlichen Ruheplätzen. Abgemagert knabbern sie Gräser und Beeren. Auch auf dem Festland finden sie nicht genug Futter. Die Eisbären suchen ihr Futter überall. (4) _____. Die Menschen benutzen alles, von Hunden bis Autos, um die Tiere wieder zu vertreiben. Hauptursache des Bärenhungers: Die Tiere futtern sich im Winter nicht genug Fett an. Sie verlassen das Eis früher, bevor sie genug Gewicht zugelegt haben. Die Zoologen der Universität Toronto schätzen, dass sich die Jagdsaison der weißen Bären in den letzten 20 Jahren um rund drei Wochen verkürzt hat. Auch die letzten Untersuchungen bestätigen diese Meinung. Forscher aus verschiedenen Ländern hatten historische Aufzeichnungen, Daten der Wetterstationen, Satellitenbilder und zahlreiche Messungen verglichen. Übereinstimmendes Ergebnis dieser Analysen: Die Eisflächen rund um den Nordpol schrumpfen. Der Tiefgang der Eisschollen hat sich seit den 70er Jahren um 1,3 Meter verringert. Auch die Eisfläche hat pro Dekade um drei Prozent abgenommen. Die Eismasse, die seither zu Wasser schmolz, entspricht mehr als der Hälfte der Ostsee. Vor allem das Ausmaß der Ausdünnung – rund 40 % der ursprünglichen Eisdicke, überraschte die Forscher. (5) _____. “Das war ein Schock für uns” meinte der Geophysiker Udo Roth. Zeigen sich hier erste drastische Folgen des Treibhauseffektes? Einig sind sich alle Klimapropheten, dass er sich am Nordpol besonders stark bemerkbar machen wird. Wenn es die globale Erwärmung wirklich gibt, wird man ihre Folgen zuerst in der nordpolaren Landschaft sehen. (6) _____. Unklar ist nur, wie man die Eisdecke bewahren kann.

- A. Deswegen sieht man sie auch in der Nähe menschlicher Siedlungen
- ✗ Dann wieder verharrt er stundenlang reglos an einem Eisloch
- C. Jetzt ist es höchste Zeit, die Bären zu retten
- D. Die Bären werden immer weniger.
- E. Diese beginnt im Spätherbst
- F. Ein so großes Signal haben sie nicht erwartet
- G. Nur dank ihm können sie die Fastenzeit überstehen
- H. In der letzten Zeit verloren die weißen Bären ständig an Gewicht

Aufgabe 7. Schreiben

- **Im Hof Ihres Hauses wurden vor 10 Jahren mehrere Garagen gebaut. Jetzt beabsichtigen die Behörden sie abzureißen. Die Meinungen der Bewohner haben sich geteilt. Einige sind dafür, die anderen dagegen. Äußern Sie sich zu dieser Situation. Schreiben Sie mindestens zwei Argumente.**
- **Schreiben Sie mindestens 180 Wörter.**

საპარჯიშოები ფრანგულ ენაში

Exercice 1. Compréhension orale

■ Vous allez entendre deux fois l'enregistrement. Complétez les affirmations suivantes.

0. Exemple : Le jeune réalisateur a _____ 22 _____ ans.
1. Pierre a fait des études de _____.
2. Pour son court-métrage, Pierre a dépensé la grande partie d'argent pour _____.
3. Pour Pierre le plus difficile c'est _____.
4. Pierre dit qu'il manque d'_____.
5. Les cadrages du film doivent être dynamiques et _____.
6. Le réalisateur veut voir ses acteurs _____.
7. L'acteur principal a une présence et _____ à l'écran.
8. C'est _____ qui a aidé Pierre à monter le film.
9. Pierre voudrait faire un film dans _____ Pyrénées Atlantiques.
10. Le jeune réalisateur a l'intention de tourner _____ poursuite en voiture.

Exercice 2. Compréhension orale

■ Vous allez entendre 2 fois l'enregistrement. Associez les 4 témoignages des personnes aux affirmations correspondantes.

- A. Recommande de se faire sa propre opinion.
- B. Ne fait pas confiance aux médias.
- C. Trouve qu'on fait ce métier pour gagner de l'argent.
- D. Croit les journalistes, mais trouve qu'il ne faut pas tout nous montrer.
- E. Croit aveuglement les journalistes.

- | | | | | | |
|-----------------------|---|---|---|---|---|
| 1. Première personne | A | B | C | D | E |
| 2. Deuxième personne | A | B | C | D | E |
| 3. Troisième personne | A | B | C | D | E |
| 4. Quatrième personne | A | B | C | D | E |

Exercice 3

■ Dans le texte ci-dessous certaines lignes sont correctement écrites, d'autres contiennent des fautes. Lisez attentivement chacune d'elles, soulignez les fautes, donnez des formes corrigées à côté de la ligne correspondante et indiquez la nature de fautes sur la même ligne (Exemple 00.). En cas d'absence de fautes sur la ligne mettez le signe ✓ (Exemple 0).

Prép – préposition – არასწორი წინდებულები
მაგ: à la Géorgie il y a 5 000 000 d'habitants. (En)

Rec. – rection – ზმნის არასწორი შეერთება პირდაპირ ან ირიბ დამატებასთან
მაგ: Je pense de toi. (penser à)

Conj. – conjonction – არასწორი კავშირი
მაგ: C'est un résultat que je suis satisfait. (dont)

Nég. – négation – არასწორი უარყოფითი ფორმა
მაგ: Je ne connais pas personne dans le voisinage. (personne)

Infin. – infinitif – არასწორი ინფინიტივი
მაგ: Il va allé à la campagne. (aller)

Acc.p.p. – accord du participe passé – მიმღებობის არასწორი შეთანხმება
მაგ: Elle est sorti dans la cour. (sortie)

Mode – არასწორი კილო
მაგ: Nous voulons que la paix est sur la Terre. (soit)

Pron – pronom – არასწორი ნაცვალსახელი
მაგ: Les parents de Pierre sont à l'étranger, il pense souvent à leur. (eux)

Adj. – adjectif – არასწორი ზედსართავი
მაგ: Mon cousin est blonde. (blond)

Nom – არასწორი არსებითი სახელი
მაგ: A Tbilissi on peut s'abonner aux journaux français. (journaux)

Art – article – არასწორი არტიკლი
მაგ: Nous avons mangé la salade. (de la)

Nous vivons dans une société de consommation et le fait de se marier	0	_____ ✓ _____	_____
en fais partie. On se marie comme si on partait en week-end. Quand il	00	_____ fait _____	_____ FV _____
y a un ou des enfants issue du mariage, il serait bon que les parents ne.....	1	_____	_____
soient pas indifférents. L'émission d'hier sur les juges à la TV a montré.....	2	_____	_____
la difficulté du JAF à traité les dossiers des divorces. En effet, même si.....	3	_____	_____
elle a rappelé aux parents que l'enfant n'a pas demandé à venir au monde,.....	4	_____	_____
et qu'il revenait à ces derniers à s'entendre, je peux vous dire que le document.....	5	_____	_____
a été très intéressante. Personnellement, ce que je ne comprends pas, c'est comment.....	6	_____	_____
un couple ayant vécu un certain nombre de chose ensemble, comme la naissance.....	7	_____	_____
d'un enfant, ne tienne pas compte de ce genre d'évènement lors du divorce. En effet,.....	8	_____	_____
je pense que le divorce est la solution de facilité. Mais, comment faisaient nos aïeux ?.....	9	_____	_____
Ils qui restaient mariés trente ans et plus? Je crois sincèrement que notre société y.....	10	_____	_____
est pour quelque chose, mais ceux qui font la société c'est nous. Alors, quand il s'agit.....	11	_____	_____
d'un divorce, je souhaiterais que le parents ne se conduisent pas comme des gosses.....	12	_____	_____

**Exercice 4:**

- Complétez le texte par les mots que vous aurez formés à partir des vocables mis entre parenthèses. Une phrase est déjà complétée à titre d'exemple

Le chef-d'oeuvre de Georges Bizet aux Chorégies d'Orange

Les spectacles musicaux en plein air sont une loterie. Les Chorégies d'Orange en ont encore apporté la 0. preuve (prouver). Après la pluie qui a provoqué l'annulation de la première de Carmen, le vent a perturbé la représentation. Le climat a semblé plonger dans une profonde léthargie l'Orchestre que Michel Plasson a laissé 1. _____ (jeu) sans aspérité et sans couleurs. Abandonnés à leur sort, les chanteurs ont éprouvé quelque 2. _____ (difficile) à exprimer l'intensité du drame. Béatrice Uria-Monzon a montré toutes ses qualités, même si elle paraissait, en raison de la condition climatique, moins 3. _____ (rayon). Mais la beauté de sa voix, la fluidité de ses 4. _____ (mouvoir) ont subjugué. On ne peut pas en dire autant du ténor Marcelo Alvarez, qui 5. _____ (semblable) s'être trompé d'opéra. Impossible de ne pas faire la 6. _____ (comparer) avec Roberto Alagna, qui chantera Faust ici même le 2 août. Balourd, Alvarez correspondait mieux à l'image que Nadine Duffaut a voulu donner du personnage. Elle a ressorti du roman de Mérimée la mère du brigadier. Cet ajout, assez peu 7. _____ (convaincre), fut la seule aspérité d'une mise en scène très conventionnelle. Pour sa première réalisation à Orange, elle 8. _____ (résolution) le problème de l'immensité de la scène en l'ayant surpeuplée de figurants et même de chevaux.

Exercice 5:

- Lisez le texte divisé en 7 paragraphes.
- Lisez les affirmations suivantes, en définissant si elles sont vraies ou fausses.
- Justifiez votre réponse en indiquant le paragraphe.

La meilleure façon de rouler...

1. Covoiturage, auto-partage, vélos en libre-service... Pour limiter les embouteillages et la pollution, de nouvelles formes de transports urbains voient le jour. Convaincraient-elles les Français de renoncer au culte de la « bagnole »? Vous en avez assez de payer votre voiture « plein pot » pour ne l'utiliser qu'une heure par jour – embouteillages compris? Vous êtes coincé par un rendez-vous professionnel en banlieue, dans une zone d'activité où les taxis se refusent à aller? Vous n'êtes pas prêt à renoncer à cette soirée chez des copains faute de transport pour un retour en pleine nuit? Vous êtes donc des candidats rêvés à l'auto-partage, qui permet d'emprunter une voiture et de n'en payer que l'usage.
2. Cette formule s'apparente à une location de courte durée (entre une heure et un jour). Le tarif se calcule au temps et au kilomètre, et s'ajoute à l'abonnement d'adhésion. La voiture est à votre disposition, sans formalités, dans une des « stations » du loueur. Muni de votre code personnel et d'une carte magnétique, vous accédez à la voiture retenue au préalable sur Internet ou par téléphone.
3. Auto-partage. Le terme fait froncer le sourcil. Alors que le « covoiturage » entre à peine dans les moeurs, le dernier-né des modes alternatifs de déplacement connaît un retard à l'allumage en France. Déjà adopté par 300 000 personnes en Europe et au-delà, il ne concerne à ce jour que quelques milliers de Français à Paris,

Strasbourg, Grenoble ou encore Marseille. Le covoiturage permet à plusieurs personnes de se regrouper pour faire, ensemble, un trajet commun dans le même véhicule. La formule s'étend autour des bassins d'emplois, comme le pôle d'Orly-Rungis ou les aéroports parisiens. Elle intéresse aussi Monaco et des collectivités de communes.

4. D'une agglomération à l'autre, ces solutions alternatives sont implantées en fonction des circonstances et du terrain. La ville de La Rochelle, par exemple, fait cohabiter le « bus de mer », les vélos et, depuis peu, la voiture électrique en libre-service. D'autres municipalités s'activent: Angers, Reims ou Brest pensent au tramway; Rennes, Lyon – et bientôt Marseille ou Paris – mettent le vélo en accès libre.
5. Ces nouvelles façons de se déplacer finiront-elles, ainsi, par remettre en question le règne des 30 millions de voitures en circulation dans le pays? On en est loin. Malgré leurs déclarations vertueuses sur la protection de l'environnement, les Français continuent de vouer un culte à l'automobile. Certes, la circulation a un peu baissé (-1,4%) en 2005. Mais la tendance générale reste à la hausse. Alors que, dans les années 1980, 1 élève de primaire sur 10 arrivait devant son école en auto, ils sont aujourd'hui 1 sur 2. Et ce n'est pas la formule du « pedibus », fondée sur l'accompagnement à pied par des parents volontaires, qui changera la situation.
6. Par quoi peut-on expliquer le retard français dans le domaine du partage des voitures? Nombre d'adhérents attendent de voir leur bagnole personnelle rendre l'âme avant de franchir le pas, c'est seulement ensuite que certains renoncent à un nouvel achat. Un peu partout, des élus essaient donc de contribuer au développement de ce mode de transport, tant pour réduire l'encombrement de l'espace urbain que pour lutter contre la pollution atmosphérique.
7. La Mairie de Paris veut réduire de 25%, d'ici à 2013, les gaz à effet de serre dus aux transports. La ville vient ainsi d'accorder un label donnant un accès à tarifs réduits aux véhicules du loueur utilisant ses parkings. On prévoit également d'ouvrir prochainement à Paris quatre stations d'auto-partage équipées de Peugeot 1007. Une phase de test, avant l'extension à la province, en 2008. Reste à savoir combien de Français seront au rendez-vous. Un enjeu de taille à l'approche des élections municipales.

		Vrai	Faux	Paragraphe
0.	Le tarif de la formule de l'auto-partage se fait d'après les kilomètres réalisés	✓		2
1.	Les Français sont prêts à ne pas conduire les voitures afin de lutter contre la pollution			
2.	D'après l'article l'auto-partage est proposé aux gens qui ne se servent pas souvent de voitures			
3.	La voiture est le seul moyen de transport qui est concerné par le service en commun			
4.	En France la question de l'environnement n'est pas importante pour les municipalités			
5.	Il n'est pas obligatoire de se rendre à la station du loueur pour choisir la voiture			



ინტერკულტურული გარემო და სწავლების მეთოდები

საგანმანათლებლო სისტემის სოციალური პასუხისმგებლობა ისეთი სასწავლო პროცესის შექმნა, რომელიც მოამზადებს და გახდის მოსწავლეს კონკურენტუნარიანს საერთაშორისო მაშტაბით. მოსწავლე მზად უნდა იყოს მულტიკულტურულ მსოფლიოში საცხოვრებლად და სამუშაოდ. ამის აუცილებელი წინაპირობა კი ინტერკულტურული განათლებაა, რომლის არსი, უპირველესად, პედაგოგებმა უნდა გაიაზრონ. დღევანდელ მრგვალ მაგიდაზე სწორედ ასეთი ტიპის განათლების დანერგვასა და ამ სფეროში არსებული პრობლემების შესახებ ვისაუბრებთ. საკუთარ გამოცდილებას კი ქართველ სპეციალისტებთან ერთად უცხოელი ექსპერტები გაგვიზიარებენ, რომლებიც კარგად იცნობენ საქართველოსა და მის საგანმანათლებლო სპეციფიკას.



იოკე ვან დერ ლიუვ როორდი: უპირველესად, მინდა აღვნიშნო ის, რომ ჩვენი ორგანიზაცია მულტიკულტურული განათლების თემას ისტორიის სწავლების კუთხით ვეხებით. ყველაფერი 90-იანი წლებიდან დაიწყო, როცა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორიკოსებისა და ისტორიის

მასწავლებლების დასავლეთის სპეციალისტებთან შეხვედრის შემდეგ, საკითხი ასე დაისვა – ეხმარება თუ არა ისტორია ინტერკულტურული განათლების მიღებას და თუ არ ეხმარება, როგორ უშლის ხელს? პასუხის ძიებაში გამოიკვეთა ორი ძირითადი ნაწილი – ნაციონალური

ირმა კახურაშვილი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

იოკე ვან დერ ლიუვ როორდი

„ევროკლიოს“ (ისტორიის მასწავლებელთა ევროპული ასოციაცია) აღმასრულებელი დირექტორი

პატრიკ ბარკერი

პროექტის „ტოლერანტობის მშენებლობა ისტორიის სწავლების გზით“ კოორდინატორი

ნანა ციხისთავი

პროექტის „ტოლერანტობის მშენებლობა ისტორიის სწავლების გზით“ კოორდინატორი ქართული მხრიდან

ნინო ჩიქოვანი

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის გამგე, პროფესორი

ანა ბაბუანი

მარნეულის რაიონის, სოფელ ალგეთის 1-ლი და 2-ე საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი

ნათია ნაცვილიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის კოორდინატორი

ირაკლი კაკაბაძე

ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორი

შეხვედრას უძღვებოდა ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი

ნატო ინგოროყვა



ნანა ტინისთავი

ისტორიის საკითხი, რომელიც სახელმწიფოებრივ დონეზე იყო აყვანილი და მხოლოდ ჩაკეტილ სივრცეში არსებულ ინფორმაციას ეფუძნებოდა და სტერეოტიპი, რომლის მიხედვით, მეზობელი ქვეყნები ისტორიული მტრის რანგში იყვნენ გაყვანილი.

ადგილობრივი სპეციალისტები არასდროს დაფიქრებულან ინტერკულტურულ დიალოგზე. ამიტომ ჩვენი ამოცანა იყო არა მხოლოდ ამ პრობლემის დასმა, არამედ მასწავლებლებისთვის იმ მასალის მიწოდება, რომლის მიხედვით, ისტორიით მანიპულირებას ველარავინ შეძლებდა. გვინდოდა, ადამიანებს ისტორიის განვითარება არა ცალმხრივად, არამედ სხვადასხვა კუთხიდან წარმოედგინათ, ეგრძნოთ მისი მრავალფეროვნება. ჩვენი პროექტი, რომელიც საქართველოში ხორციელდება, გულისხმობს მულტიკულ-

ტურულ განათლებას, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება თემებზე, რომლებიც ეხმიანება წარსულს – როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური მოვლენების წარმოჩინებით.

მულტიკულტურულ განათლებასთან დაკავშირებული მრავალი პროექტი ევროპის ბევრ ქვეყანაში უკვე განხორციელდა, ანუ იქ, სადაც განსხვავებული კურიკულუმები, სწავლების სტარტეგიები, გარემო და ტრადიციები არსებობს. ერთი სიტყვით, ჩვენი ამოცანა იყო და არის, შევქმნათ გამოყენებადი სასწავლო მასალა, რომელიც განავრცობს ინფორმაციას.

ნინო ჩიქოვანი: მულტიკულტურული განათლების საკითხი დღის წესრიგში ჩვენთან ახლახან დადგა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე კარგა ხანია, დამოუკიდებელი სახელმწიფო და მრავალკულტურული საზოგადოება ვართ, სადაც მრავალკულტურულობა გლობალიზაციის მოტანილი არ არის. პოსტსაბჭოთა პერიოდში საზოგადოება ახალი გამოწვევების წინაშე დადგა და სწორედ ეს იყო ის მიზეზი, რამაც დაგვაფიქრა მულტიკულტურულ განათლებაზე. რასაკვირველია, ამგვარ განათლებაში ისტორიას, როგორც მეცნიერებას და სასკოლო საგანს, დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა ფიქრი დავიწყეთ, აღმოჩნდა, რომ ჩვენი საისტორიო ნარატივი, რომელსაც სკოლაში ვანვით მოსწავლეებს, ერთი ხედვისა და ხაზის იყო. ცხადია, თავის დროზე ამას გარკვეული მიზანიც და მიზეზიც ჰქონდა, მაგრამ ახლა სხვა გამოწვევებია ჩვენ წინაშე და სხვა სინამდვილე, არა მხოლოდ ისტორიის სწავლების კუთხით.


ნატო ინგოროყვა: საქართველოში 265 არაქართულენოვანი

სკოლაა, რაც საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის თითქმის 12 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, მრავალფეროვანია როგორც სკოლის მოსწავლეთა შემადგენლობა, ისე პედაგოგების. რა პრობლემები გამოიკვეთა ინტერკულტურული სწავლების მხრივ პროექტში, რომელიც ისტორიის მასწავლებლებისთვის ხორციელდება „ევროკლიოს“ მიერ?

ნინო ჩიქოვანი: პროექტის განხორციელება ბევრი თვალსაზრისით გახლავთ რთული, რადგან ამ წამოწყებაში გამოცდილება არც ჩვენ და არც მასწავლებლებს არ ჰქონდათ. საინტერესო ფაქტია, რომ ყველაზე რთულად დასაძლევია ინერცია არა პედაგოგთა, არამედ ისტორიკოსთა შორის. ისტორიოგრაფიას რაც უჭირს, ის სახელმძღვანელოში და სკოლაში სწავლების პროცესზეც აისახება. ვგულისხმობ ისტორიის სწავლებისა და წერის ტრადიციას, რომელიც არა მგონია, ძალიან შეცვლილიყოს ბოლო 20 წლის განმავლობაში.

იოჰა ვან დერ ლიუზ როოჰლი





ნანა ციხისთავი: ალბათ გახსოვთ, რომ 2008 წელი ინტერკულტურული დიალოგის წლად გამოცხადდა. ჩვენი პროექტიც სწორედ ამ პერიოდში დაიწყო. მაშინ მიზნად დავისახეთ ტოლერანტობის მშენებლობა ისტორიის სწავლების გზით. დღეს ეს თემა ყველაზე მტკივნეულია ისტორიკოსებისთვის და არა ისტორიკოსებისთვის. ტოლერანტობაზე ბევრი საუბრობს, მაგრამ ეს, ძირითადად, მის ფასადურ მხარეს ეხება. რეალურად კი, შინაარსი ბევრისთვის უცნობია. სწორედ ამან გვიბიძგა მულტიკულტურული საკითხების წამოწევისკენ.

პატრიკ ბარკერი: ჩვენმა პროექტმა პილოტირებისთვის უკვე მოიცვა თელავის, რუსთავის, თბილისის, ბათუმის, ჩაქვის რამდენიმე სკოლა. ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა, მასში უფრო მეტი მრავალკულტურული რეგიონები რომ იყვნენ ჩართულნი, ანუ არა მხოლოდ ქართულენოვანი სკოლების პედაგოგები.

ნათია ნაცვლიშვილი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა მასწავლებლებს შესთავაზა სახელმძღვანელო ინტერკულტურული განათლების შესახებ. ეს არის მცირე მომიხილვა იმ ზოგადი პრინციპებისა, რასაც ინტერკულტურული განათლება ითვალისწინებს. ცენტრი, ასევე ახორციელებს პროგრამას, რომელიც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლებას გულისხმობს. გარდა ამისა, ვთარგმნეთ და სკოლებში დავარიგეთ ევროსაბჭოს გამოცემები, რომლებიც, პირდაპირ თუ ირიბად, ინტერკულტურული განათლების პრინციპებს ეხმიანება. თუმცა, ეს მხოლოდ ისტორიის სწავლებას არ ეხება და, ზოგადად, ყველა მასწავლებლისთვის

აუცილებელ კომპეტენციებს მოიცავს. ინტერკულტურული განათლების დანერგვას მხოლოდ ისტორიის მასწავლებლები ვერ შეძლებენ. ამაში ჩართულნი უნდა იყვნენ ყველა საგნის მასწავლებლები, მთელი საზოგადოება სახელმწიფო ინსტიტუციების ჩათვლით. ასეთმა კომპლექსურმა ქმედებებმა რომ შედეგი გამოიღოს, ამისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი უცხოელი კოლეგების გამოცდილებისა და რეკომენდაციების გაზიარება.

იოკე ვან დერ ლიუვ როორდი: ისტორიის სწავლებაში ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ის, თავისთავად, რთული მეცნიერებაა, სადაც ყველაზე მეტად ჭირს წარსულის კვლევა, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ქართული ისტორიისთვის დამახასიათებელი პრობლემა. ამას სხვა ქვეყნების ისტორიაშიც, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისასაც ვაწყდებით. თუმცა, მე შემიძლია გამოვეყო ძირითადი მტკივნეული საკითხები: ყველაზე მნიშვნელოვანი არის ნაციონალური ნარატივი, რომელიც ყოველთვის ძალიან პოზიტიური და მყარია. ასევე, კრიტიკული მიდგომა ისტორიის მიმართ წინააღმდეგობაში მოდის დიალოგთან, არადა მათი შეჯერება უკეთესი იქნებოდა. და ბოლოს, ისტორია არის თხრობა, თქვენ იძლევით უზარმაზარ ინფორმაციას, მაგრამ უკუშედეგის გარეშე, მონოლოგის რეჟიმში. ხოლო ისტორიის სწავლებისას მხოლოდ ემოციებით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, ის ხომ ისეთივე მეცნიერებაა, როგორც, მაგალითად, რომელიმე საბუნებისმეტყველო მეცნიერება.

ირაკლი კაკაბაძე: ინტერკულტურულ განათლებაში მთავარია მოვიძიოთ ნამდვილი, ობიექტური



ნათია ნაცვლიშვილი



ირაკლი კაკაბაძე



ანა ბაბლუანი

ისტორია და არა ადამიანების მიერ შეთხზული ამბები. ისტორიის სწავლების მთავარი მიზანი, წარსულის გაანალიზება და ობიექტური ცოდნაა, რაზეცაა შემდეგ დამოკიდებული, როგორ იცხოვრო მომავალში უკეთესად. ისტორიის სწავლების მთავარი განმსაზღვრელი თვისება „სხვადასხვაგვარი ხედვა“ უნდა იყოს. ეს არის განხილვის საშუალება, ასევე ისტორიული მოვლენების, პიროვნებების, კულტურისა და ტრადიციების სხვადასხვა თვალთახედვით განხილვა, რა თქმა უნდა იმ პროცესებისა და პროცედურების საშუალებით, რომელიც ძირეულია ისტორიისთვის.

ინტერკულტურული განათლება, უპირველესად, ეს არის, საკუთარი თავი წარმოიდგინო სხვის ადგილზე და ეცადო სხვისი თვალითა და დაინახო სამყარო.

ანა ბაბლუანი: მე მიწევს მუშაობა არაქართულენოვან გარემოში და ბავშვებთან, რომლებიც, მაგალითად, არასოდეს ყოფილან საკუთარი რაიონის გარეთ გასული, რომლებიც მხოლოდ სახელმძღვანელოებიდან და ტელევიზორიდან იცნობენ გარემოს. მე ყოველ გაკვეთილზე და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდები ინტერკულტურული სწავლებისა და განათლების აქტუალობასა და საჭიროებას. უმცირესობების უმტკივნეულო ინტეგრაციას საზოგადოებაში ინტერკულტურულ განათლებაში ვხედავ. ჩვენ კარგად უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს და ამ შემთხვევაში არ გაგვიჭირდება ერთმანეთის გაგება.

ნინო ჩიქოვანი: როცა პროექტის ფარგლებში მასწავლებლებისთვის განკუთვნილ სამუშაო ფურცლებზე

ვმუშაობდით, ყველას, მათ შორის, მასწავლებლებსაც, გვებადებოდა კითხვა – რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მასწავლებელი იყოს მზად მათი კლასში გამოყენებისთვის? მე ტრადიცია ვახსენე. მასწავლებლების უმრავლესობა არ არის მზად საიმისოდ, რომ გამოიყენოს სამუშაო ფურცელი, რომელიც მიმართულია ეთნიკური უმცირესობის სრული ჩვენებისკენ საქართველოს ისტორიაში. ამ კუთხითაც არის ყურადღება გასამახვილებელი.

იოკე ვან დერ ლიუვ როორდი:


მულტიკულტურული განათლების პროექტი რთული პროექტია. ამიტომაც ძალიან გვიწინდია, ღირებული პროდუქცია შევქმნათ. ეს ის პროდუქციაა, რომელმაც უნდა გამოიწვიოს დიალოგი მასწავლებლებს, მეცნიერებსა და ისტორიკოსებს შორის. მოხარული ვარ, რომ ქართველი მასწავლებლები ინტერესით ეკიდებიან ამ საკითხს და ძალიან აქტიურები არიან.

ნატო ინგოროყვა: ვიმედოვნებ, რომ ჩვენი „მრგვალი მაგიდის“ დახმარებით, მასწავლებლებს დამატებითი ინფორმაცია მივანოდეთ. ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ რეკომენდაციებს უცხოელი სპეციალისტებისგან და სისტემატურად ვეცდებით, ვიზრუნოთ არსებული პრობლემების მოგვარებაზე.



პატრიკ ბარკერი





მასწავლებელი

სასერტიფიკაციო გამოცდების წინ

სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადება გასულ წელს დაიწყო. სახელმწიფომ ყველა მსურველ მასწავლებელს ვაუჩერები დაურიგა: ორი საგნობრივ სწავლებასა და ორიც პროფესიულ უნარ-ჩვევებში მომზადებისათვის. ამით მათ კონკურსის წესით გამოვლენილ ორგანიზაციებში ტრენინგების გავლის საშუალება მიეცათ.

აკრედიტებული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ტრენინგები თუ მასწავლებლები, ტრენინგების დადებითი მხარეების ჩვენებასთან ერთად იმასაც აღნიშნავენ, რომ ვაუჩერების სიმცირის გამო მასწავლებლები ხშირად სასურველი რაოდენობის ტრენინგის გავლას და ცოდნის სათანადოდ ამაღლებას ვერ ახერხებენ.

თამარ კაციტაძე

ქართული ენა და ლიტერატურა

ერთ-ერთი აკრედიტებული ორგანიზაციის, „დიდაქტიკის“ ხელმძღვანელის, მაია ინასარიძის ინფორმაციით, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს განსაკუთრებით იმ საკითხებში გარკვევა სჭირდებათ, რომლებიც ახლა შევიდა სასწავლო პროგრამაში.

„მასწავლებლებს უფრო ლიტერატურის სწავლება უჭირთ, რადგან ქართულ სკოლებში საერთოდ არ იყო, ან ძალიან სუსტი იყო ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზის ტრადიცია. ლიტერატურა ისე უნდა ისწავლებოდეს, როგორც ხელოვნების დარგი. სამწუხაროდ, ამის გამოცდილება ჩვენს მას-

წავლებლებს ნაკლებად აქვთ. ახალი ავტორები და ნაწარმოებები, რომლებიც დღეს სკოლაში ისწავლება, ბევრ მათგანს წაკითხული აქვს, მაგრამ ახსნა და მოსწავლისთვის ცოდნის თანამედროვე მეთოდით გადაცემა უჭირს. შეიძლება პედაგოგმა კარგად იცოდეს საგანი, მაგრამ არ იცოდეს მისი სწავლების

თანამედროვე მეთოდთა. ამიტომ ჩვენი პროგრამა აკადემიური და მეთოდური საკითხების ბალანსის გათვალისწინებით შევადგინეთ“.

ტრენინგებით კმაყოფილია 21-ე საჯარო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი ნატო ასიტაშვილი, რომელმაც მომზადების კურსი პროფესიულ უნარებშიც გაიარა:

„მიუხედავად ძალიან დატვირთული გრაფიკისა, მატერიალური საშუალება რომ მქონდეს, წელიწადში ორჯერ გავივლიდი ამგვარ კურსს. ქართული ენა და ლიტერატურა, როგორც სასკოლო საგანი, ნამდვილად საჭიროებდა დახმარებას, რადგან თანამედროვე ქართულ მწერლობას სათანადოდ არ ვიცნობთ“.

უხსო ენები

ინგლისური ენის სპეციალისტები ყველაზე უკეთ არიან მომზადებულნი, რადგან „ბრიტანული საბჭოს“ დახმარებით ისინი წლების მანძილზე გადიან ტრენინგებს. გერმანულის, ფრანგულისა და სხვა ენების მასწავლებლებს კი, როგორც ექსპერტები ამბობენ, მეტი აქვთ სამუშაო და გასაკეთებელი. საგნობრივი და მეთოდური ლიტერატურის მხრივაც ყველაზე კარგ მდგომარეობაში ინგლისური ენის პედაგოგები არიან. თუმცა, როგორც ორგანიზაცია „იტაგის“ პრეზიდენტი, მანანა რუსიაშვილი გვითხრა:

„ტრენინგებზე იმ საკითხებს ვეხებით, რომლებიც სასერტიფიკაციო გამოცდებზე იქნება. ამის გამო სასწავლო კურსი ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. სანამ მასწავლებლები ჩვენს მეთოდს შეეჩვეოდნენ, ამ პროცესში ჩაბმის ძალიან რცხვენოდათ. მათ შეცდომის დაშვების

ეშინოდათ, განსაკუთრებით უფროსი ასაკის მასწავლებლებს. საგამოცდო პროგრამა ყველა მიმართულებით ამოწმურეთ. ახლა მათზეა დამოკიდებული, როგორ განავითარებენ და რას შემატებენ საკუთარ ცოდნას“.

ტრენინგის მოსაზრებას გაეროს სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი მაკა ხუნდაძეც ეთანხმება. მისი აზრით, მეთოდური ლიტერატურის და ტრენინგების მხრივ, ყველა პირობა არსებობს, რომ ინგლისური ენის მასწავლებელმა სრულყოფილად ისწავლოს ენაც და საგნის სწავლების მეთოდიც: „მასწავლებელმა საკუთარ თავზე მუდმივად უნდა იმუშაოს და ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა უნდა შეძლოს“. მაკა ხუნდაძე დარწმუნებულია, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებს წარმატებით ჩააბარებს. თუმცა პროფესიული უნარების გამოცდაზე გასვლას იგი ჯერ არ ფიქრობს: „ეს სიახლეა და მხოლოდ ორი ტრენინგი არ მეყოფა. სამი სახელმძღვანელო პროფესიულ უნარებში და მომზადებას დრო სჭირდება“.

მათემატიკა

როგორც მასწავლებელთა გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა, ის მოთხოვნები, რომლებიც მათემატიკის მასწავლებლებს აქვთ, თითქმის სრულადაა გათვალისწინებული პროფესიული განვითარების აკრედიტებულ პროგრამებში. სურვილის შემთხვევაში, მასწავლებლებს საშუალება აქვთ, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ორკრედიტიანი ვაუჩერი საგნობრივ ტრენინგებში გამოიყენონ. ამ მოსაზრებას ეთანხმება „მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი დოდო თხელიძეც:

„ჩვენი პროგრამა ორმოდულიანია. პირველი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც სკოლაში ისწავლება, მეორე კი – მეთოდ-

დიკას, რომელიც სასერტიფიკაციო გამოცდების პროგრამებშია შესული. ჩვენი აზრით, მათემატიკის მასწავლებლებს, მომზადების მხრივ, პრობლემები არ უნდა ჰქონდეთ“.

ტრენინგებით კმაყოფილია პედაგოგი ქეთევან გოგიტაშვილიც. მისი აზრით, პრობლემას მხოლოდ პრაქტიკული ნაწილი წარმოადგენს:

„ტრენინგები მათემატიკაში დადებითად შემიძლია შევაფასო. რაც შეეხება მეთოდურ ნაწილს, მართალია, თეორიული ნაწილი კარგია, მაგრამ პრაქტიკული სავარჯიშოები, ფაქტობრივად, არ არსებობს. მათემატიკაში კი თეორიულ სწავლებას პრაქტიკული მეცადინეობის გარეშე აზრი არ აქვს. ახლად შემუშავებული მეთოდური სავარჯიშოები არსად არ გამოქვეყნებულა. არადა, გამოცდაში ამ მეთოდურ სავარჯიშოებს შედარებით მაღალი ქულები აქვს. ჩვენი სურვილია, აღნიშნული მიმართულებით ვიმუშაოთ“.

პროფესიული უნარები

პროფესიულ უნარებში პედაგოგებს განსაკუთრებით სჭირდებათ პროფესიული განვითარების ტრენინგები და დამხმარე ლიტერატურა, რადგან საგამოცდო საკითხების უმრავლესობა მათთვის უცხოა. ეს საკითხები მასწავლებლებს უმაღლეს სასწავლებელში არ უსწავლიათ, აქამდე კი არც პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამები არსებობდა. შესაბამისად, სასერტიფიკაციო გამოცდების ამ ნაწილს განსაკუთრებული ყურადღების დათმობა სჭირდება.

“liboMMNT”-ს ხელმძღვანელის, თამარ მიდელაშვილის აზრით, გასაკვირი არ არის, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებს გარკვეული



სირთულეები ახლავს. პროფესიული უნარების გამოცდა ხომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ნამდვილი სიახლეა:

„პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საჭიროა, უფრო მეტი სიტუაციური ამოცანა იყოს შეტანილი მასწავლებელთა დამოუკიდებელი მუშაობის პაკეტში, ე.წ. პორტფოლიოში. ტრენერთა ჯგუფი მუშაობს ამ საკითხზე და მსმენელთა ეს თხოვნა გათვალისწინებული იქნება. მომავალში ყურადღება გამახვილდება იმაზეც, რომ ორგანიზაციის მიერ გამოშვებული საგნობრივ-მეთოდური ჟურნალების ფურცლებზე მასწავლებლებმა პედაგოგიური გამოცდილება უფრო აქტიურად გაუზიარონ ერთმანეთს.“

პროფესიულ უნარებში სასერტიფიკაციო გამოცდას ასოციატია „სკოლა – ოჯახი – საზოგადოების“ წარმომადგენელი, ტრენერი ირინა კიკვაძეც ყველაზე რთულად მიიჩნევს:

„მასწავლებლებისთვის შედარებით ადვილია იმ საგნის სწავლება, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ისწავლეს. რაც შეეხება პროფესიულ უნარებს, საკლასო მენეჯმენტს, მეთოდოკას, მეთოდოლოგიას, მიდგომებს – ეს სრული სიახლეა. მართალია, ამ სფეროში უამრავი ლიტერატურა გამოვიდა, მაგრამ წიგნებზე მასწავლებლებს ხელი არ მიუწვდებათ. ტრენინგის პროცესში დავინახეთ, რომ პედაგოგები ვერ ერკვევიან იმ მოთხოვნებში, რომლებსაც მათ სახელმწიფო უყენებს: არ იციან, რა საკანონმდებლო ცვლილებები მოხდა, არ იცნობენ განათლების კანონს, დოკუმენტებს, რომლებიც მათ სისტემაში კანონდება.“

„რეგიონალური კავშირი – სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრის“ ხელმძღვანელი შალვა ტაბატაძე აღნიშნავს, რომ არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები მართლაც რთულ მდგომარეობაში არიან. აღნიშნულმა ორგანიზაციამ ამ კატეგორიის პედაგოგებისთვის სპეციალური პროგრამები შეიმუშავა. ტრენინგები მიმდინარე წლიდან დაიწყება.

შალვა ტაბატაძე: **„კვლევისას გამოიკვეთა, რომ არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლება ყველაზე პრობლემურია. აქამდე მასწავლებლები უცხოენოვან მოსწავლეებს ქართულს ზუსტად ისე ასწავლიდნენ, როგორც ქართულენოვან სკოლებში, ანუ როგორც მშობლიურ ენას და არა როგორც საკომუნიკაციოს. ამიტომაც ვერ აღწევდნენ შედეგს. მეტიც, ჩვენი გამოკვლევით, არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებლების თითქმის 50%-მა თვითონ არ იცის ქართული. აქედან გამომდინარე, ქართული ენის მეთოდოლოგიაში ორი პროგრამა შევადგინეთ. იმ მასწავლებელს, ვინც ქართული არ იცის, ჩვენი პროგრამის ფარგლებში შეუძლია სახელმწიფო ენა ისწავლოს. ასევე შევქმენით არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების მეთოდური სახელმძღვანელო. ტრენინგები მიმდინარე წლიდან დაიწყება.“**

მართალია, მასწავლებელთა ერთი ნაწილი გარკვეულ პრობლემებზე საუბრობს, მაგრამ განათლების პროფესიული სინდიკატის პრეზიდენტი ტატო შავშიშვილი, რომლის ორგანიზაციაც ცოტა ხნის წინ მასწავლებლებს ყველა საგანში უტარებდა ტრენინგებს, თვლის, რომ გამოკვეთილი სიძნელეები არ არსებობს. პირიქით, მასწავლებლებს პროფესიული განვითარების ძალიან დიდი მოტივაცია აქვთ.

„პროფესიული განვითარების მიმდინარე პროგრამები, რომლებიც ვაუჩერული სისტემით არის დაფინანსებული, მსოფლიოს მონინავე გამოცდილებას ითვალისწინებს და ბუნებრივია, ხელს უწყობს, ერთი მხრივ, მასწავლებლის მიერ კარგი გაკვეთილის ჩატარებას და მეორე მხრივ, იმას, რომ მან წარმატებით გაიაროს სასერტიფიკაციო გამოცდები. მასწავლებლები ძალიან კარგად აცნობიერებენ, რომ პროფესიულ განვითარებაზე დახარჯული თითოეული საათი, საბოლოო ჯამში, დადებით შედეგს მოგვცემს. პრობლემა მაშინ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო პროგრამები და არ ყოფილიყო ვაუჩერები. ამჟამად ორივე კომპონენტი არსებობს და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაც მიმდინარეობს. კარგი ტენდენციაა ის, რომ პროფესიული უნარების ვაუჩერი ყველა მასწავლებელს ეძლევა – არ აქვს მნიშვნელობა, მას საგნობრივი ტესტირება გავლილი აქვს თუ არა. ნებისმიერ პედაგოგს საშუალება აქვს, გავიდეს გამოცდაზე, გამოსცადოს საკუთარი თავი“, – ამბობს ტატო შავშიშვილი.

ეს ის პრობლემებია, რომლებიც სასერტიფიკაციო გამოცდების დაწყებამდე გამოიკვეთა და რომელთა დაძლევა მასწავლებლებს, აკრედიტებულ ორგანიზაციებსა და განათლების სამინისტროს ერთობლივად მოუწევთ. თუმცა, მიუხედავად პრობლემებისა, თითქმის ყველა მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ტრენინგებმა ძალიან კარგი შედეგი გამოიღო და ამგვარი სწავლება მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც.





სკოლა და განათლება


მასწავლებელზე დგას

ჟურნალ „მასწავლებლის“ სტუმარია ცნობილი ფეხბურთელი და სკოლის დირექტორი არჩილ არველაძე. დირექტორობა მისთვის ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა და მას ისეთივე აზარტით ეკიდება, როგორითაც წლების წინ ფეხბურთს თამაშობდა. არჩილ არველაძე თავის სკოლასა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება.

მანია რაზმაძე

– წეროვანში „თი-ბი-სი ბანკის“ მიერ აშენებული ახალი სკოლის გახსნას ვესწრებოდი. არაჩვეულებრივი სკოლაა, ძალიან მომეწონა. იქ მკითხეს, რა განსხვავებას ხედავთ თქვენს თაობასა და დღევანდელ ახალგაზრდებს შორისო. ცხადია, ყველა თაობა განსხვავებულია, მათ შორის, ჩვენი და ჩვენი მშობლებისაც, მაგრამ მგონია, რომ ჩემსა და დღევანდელ თაობას შორის ეს განსხვავება უფრო დიდია.

მეც და ჩემს მეგობრებსაც ძალიან გვეშინოდა ორიანის. ჩემი აზრით, პასუხისმგებლობის უფრო დიდი გრძნობა და მასწავლებლების უფრო მეტი რიდი გვექონდა. გარდა ამისა, მშობლებიც მკაცრები იყვნენ. რამეს თუ არასწორად გავაკეთებდი, ვიცოდი, რომ ეზოში, ან ფეხბურთზე ვედარ წავიდოდი. კარგად ვაცნობიერებდი, რომ ერთადერთი – სწავლა და კარგად მოქცევა მევალებოდა.



დღეს ნაკლებად ადარდებთ ორიანის მიღება. ძალიან ცოტა აქცევს ამას ყურადღებას.

ამ პრობლემასთან გასამკლავებლად ჩემს სკოლაში ასეთი მეთოდი მოვიფიქრე: ფეხბურთელისთვის ყველაზე დიდი დასჯა ის არის, სათამაშო მინდორზე რომ არ შეუშვებ. ახალი, კარგი სტადიონი გვაქვს. ჩვენთან სასკოლო კლასი და ფეხბურთის გუნდი ერთია. ამიტომ კლასი თუ დააშავებს – ცუდად მოიქცევა ან ცუდი მოსწრება ექნება, სწორედ ამ მიმართულებით დაისჯება. ასე რომ, თუ კლასში დააშავებენ, გუნდში აქვთ პრობლემები და პირიქით.

როგორი ურთიერთობა გაქვთ მომავალ ფეხბურთელებთან?

– ვფიქრობ, მეგობრული ვარ. როგორც თანატოლებს, ისე ვესაუბრები. იცინა, თუ პრობლემა აქვთ, მათ გვერდით ვდგავარ. არა აქვს მნიშვნელობა, ეს პრობლემა სკოლის შიგნითაა თუ გარეთ. უმეტესად სახელით მომმართავენ. ეს ალბათ ჩემი დამოკიდებულებიდან გამომდინარე ხდება. სხვათა შორის, დედაჩემის და მამაჩემის მეგობრებს მეც სახელით მივმართავდი. დღეს ისინი ჩემი უფროსი მეგობრები არიან.

როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება, სკოლის დირექტორი გამხდარიყავით?

– მაშინ ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი იყო. მხოლოდ შორიდან ვიცნობდი. ერთხელ შემთხვევით შევხვდი და მითხრა, შენთან საქმე მაქვსო. ცოტა ხნის მერე დამირეკა, შევხვდით და ეს იდეა შემომთავაზა. ჯერ ისევ გერმანულ კლუბში ვიყავი, ფეხზე ვმკურნალობდი და არ მქონდა გადაწყვეტილი, თამაშს თავს დავანებებდი თუ არა. მოკლედ,

ფეხი ვერ მოვირჩინე და ჭიაბერაშვილის წინადადებას დავთანხმდი.

მერიაში პრესკონფერენცია გამართეს, ისე წარმადგინეს დირექტორად.

მე თვითონ 35-ე სკოლელი ვარ. სკოლა 1990 წელს დავამთავრე და მას მერე აქ აღარ ვიყავი ნამყოფი. ისევ ისეთი მეგონა, როგორც დავტოვე, მაგრამ, რომ დავბრუნდი, სულ სხვა – ძალიან მძიმე მდგომარეობა დამხვდა... იმდროინდელ სურათებს არქივისთვის ვინახავ.

არ შეგეშინდათ?

– შემეშინდა, მაგრამ თანხმობა უკვე ნათქვამი მქონდა. თანაც, როგორც გითხარი, ჩემი სკოლა იყო. სიტყვას უკან ველარ წავიღებდი. ვერც წუნუნს დავინწყებდი, ეს სად გამიშვით-მეთქი.

დავინწყეთ პრობლემების მოგვარება.

ზამთარი მოდიოდა და სკოლას ფანჯრის მინები კი არა, პრაქტიკულად, ფანჯრებიც არ ჰქონდა. ამ დროს სასტუმრო „აჭარას“ რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა. თემურ უგულავა ჩემი მეგობარია. მივედი და ვკითხე, მოხსნილ ვიტრინებს რას უპირებდა. გამომატანა. აქვე, ადგილზე ვაჭრევი-ნებდი. კარ-ფანჯარა ჩავსვით. ნელ-ნელა მოვანესრიგეთ პირველი სართული. მერე შემოგვეშველნენ და გათბობის სისტემა გაგვიკეთეს.

სკოლაში რომ მოვედი, 270 ბავშვი დამხვდა. ახლა 1000-მდე მოსწავლე გვყავს. პრობლემების მოგვარებაში გვეხმარება ვაკე-საბურთალოს გამგეობა, მერია, განათლების სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო.

ახლა ზედა სართულების გარემონტებას ვგეგმავთ. უფრო სარემონტო სამუშაოების ხელმძღვანელი ვარ,

ვიდრე დირექტორი (ილიმება). ხან ეზოა მოსანესრიგებელი, ხან – ხეები გასასხლავი, სახურავი შესაკეთებელი და სტადიონი მისახედი – სულ ამ დღეში ვარ. ახლახან საკონფერენციო დარბაზი გავარემონტეთ... სიამოვნებით ვერთვები ყველა ამ საქმეში. რალაცას რომ დავასრულებთ, მერე ახალს ვეძებთ გასაკეთებლად.

და მაინც, რამდენად ამართლებს სპორტის სწავლება სკოლაში? რამდენად ეფექტიანია ასეთი სპეციფიკური სკოლები?

– ჩვენ ხშირად გვაკითხავენ ბავშვები, რომლებიც სპორტის სხვადასხვა სახეობას მისდევენ, და სწავლის ჩვენთან გაგრძელებას გვთხოვენ. სპორტსმენს ხელის შეწყობა სჭირდება, ისინი კი სათანადო პირობებს ჩვენთან ეძებენ და ხედავენ. თუმცა მე მგონია, რომ ყველა სკოლას შეუძლია – იქნება ეს 35-ე სპორტული თუ ჩვეულებრივი სკოლა – სპორტის სხვადასხვა სახეობაში წარმატებულ ბავშვებს ხელი შეუწყოს. ეს სერიოზული და დასაფიქრებელი საკითხია.

15 წლის ფეხბურთელის, გიორგი ჭანტურიას მაგალითს მოვიყვან. ის, არც მეტი, არც ნაკლები, ესპანეთის „ბარსელონაში“ თამაშობს. თავის სკოლაში კი პრობლემები აქვს. ჩემს სკოლაში ვერ გადმოვიყვანე. ვინ მოვატყუო? ყველამ იცის, რომ თბილისში არ არის.

ჩვეულებრივ სასკოლო საგნებს ის ისე ვერ ისწავლის და ჩააბარებს, როგორც ჩვეულებრივი მოსწავლე, მაგრამ ვერც ჩვეულებრივი მოსწავლე ითამაშებს „ბარსელონაში“.

რაც არ უნდა მოხდეს, ნამდვილი სპორტსმენი უარს ვერ იტყვის თავის საქმეზე. მესმის ჭანტურიასი



– „ბარსელონაში“ თამაშს თავს ვერა-ვითარ შემთხვევაში ვერ დაანებებს.

მას ჩვენი ქვეყნის სახელი უცხოეთში გააქვს. მომავალში კიდევ 5-6 თანატოლს გაუხსნის გზას ცნობილ უცხოურ გუნდებში სათამაშოდ. ამას, ჩემი აზრით, ხელშეწყობა უნდა.

ასეთი შემთხვევებისთვის განსაკუთრებული სტატუსის მოფიქრებაა საჭირო და ასეთი სტატუსის მქონე მოსწავლე შეიძლება ნებისმიერ სკოლაში სწავლობდეს. ცხადია, თითოეულ მათგანს შესაბამისმა ფედერაციამ უნდა გაუწიოს რეკომენდაცია და მათი მიღწევებიც მუდმივად უნდა მონმდებოდეს. ვფიქრობ, ტყუილ რეკომენდაციას არავინ გაუწევთ.

როცა ბავშვს მიღწევები აქვს და ხელშეწყობა უნდა, ჩემთან მოდის, მაგრამ მე ისედაც ასობით მისნაირი

მყავს. სხვა სკოლები კი, მონდომების შემთხვევაში, 10-20 ასეთი ბავშვის მოვლას უფრო ადვილად შეძლებდნენ.

61-ე სკოლაში სწავლისას კლასელი მყავდა – მევიოლინე მაია შამუგია. დღეს გერმანიაში მოღვაწეობს. ძალიან ხშირად არ იყო სკოლაში, სულ კონცერტები და გასტროლები ჰქონდა... თუ ჩვენს დროს ასე უწყობდნენ ხელს ნიჭიერ მოსწავლეებს, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია ამის გაკეთება?

დღეს განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმები იგეგმება. რა აზრის ხართ მათზე?

– რამდენიმე შეხვედრა მქონდა მიხისტრთან.

თორმეტწლიან სწავლებაზე მინდა გითხრათ ერთი-ორი სიტყვა. მგონია, რომ 18-19 წლის ადამიანი დიდია სკოლისთვის. ჩემთან ერთი ახალგაზრდა იყო მოსული თხოვნით, ცოლი მინდა გადმოვიყვანო თქვენს სკოლაშიო. მიზეზი ვკითხე და ფეხმძიმედ არისო.

გოგონები 19 წლის ასაკში ხშირად თხოვდებიან. ჩემი მეუღლეც 19 წლის იყო, როცა დავექორწინდით, თუმცა სკოლა ორი წლის დამთავრებული ჰქონდა.

18-19 წლის ასაკში უკვე სხვა მოთხოვნილებებია (დღეს ისედაც სხვაგვარი, მეტი თავისუფლებაა), უკვე დიდები არიან, ერთმანეთი მოსწონთ... შეიძლება იქორწინონ კიდევ და ცოლ-ქმარი რომ იჯდეს კლასში, რამდენად სასურველია? ვფიქრობ, ადამიანს სწავლა თუ უნდა, 11 წლის განმავლობაშიც შეძლებს ამას. ხოლო თუ მისი არჩევანი ის არის, უსწავლელი იყოს, 35 წელიც რომ იაროს სკოლაში, მაინც არაფერს ისწავლის...

სწორია ძირითადი საგნების გამოყოფა – მათემატიკა, ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია, უცხო ენა ყველამ უნდა იცოდეს. ასევე ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია.


უნდა ითქვას, რომ პროგრამაც საკმაოდ რთულია. აუცილებელია, პრიორიტეტები ჩამოვაყალიბოთ.

რას ეტყვიტ მასწავლებლებს ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან?


– მათ ჩემზე უკეთ იციან, რა მიდგომით და პრინციპებით უნდა იხელმძღვანელონ ბავშვებთან ურთიერთობისას. მასწავლებლობა ძალიან რთული პროფესიაა. სულ ვეუბნები ბავშვებს, რომ ისინი ბევრნი არიან, მასწავლებელი კი – ერთი და ეს გაითვალისწინონ.

მე რომ მკითხოთ, ძალიან დაბალია მასწავლებლის ხელფასი. მშობელს შვილის მომზადება და მეცადინეობა უჭირს და მასწავლებელს ასობით ბავშვთან უხდება ენერჯის ხარჯვა. მესმის, რომ ეს მოწოდებაა, სხვანაირად მასწავლებელი ვერ იქნები. რთულია, იფიქრო უამრავ ყოფით პრობლემაზე და სკოლაში მომზადებული და აბსოლუტურად განონასწორებული მიხვიდე. ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტი თუ განათლებაა, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სისტემა მასწავლებლის გარეშე არ არსებობს.





ქართველთა შორის
წერა-კითხვის
გამავრცელებელი
საზოგადოება 1879
წელს შეიქმნა.
მისმა მესვეურებმა
ერთ-ერთ მთავარ
ამოცანად ქართული
სკოლების გახსნა და
გახსნილი
სკოლებისათვის
დახმარების განევა
დაისახეს.



ბანათლავის გავრცელება საქართველოში

ბელა ჩეკურიძე

ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე გაზეთ „დროებაში“ წერდა: „ამისთანა მაღალმნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენი ჯერ არ დაბადებულა, მას დანიშნულებად აქვს ერის განათლება... მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო: კახეთი, ქართლი, იმერეთი რაჭა, გურია, სამურზაყანო, ოსმალეთის საქართველო, ერთი სიტყვით, მთელი სამეფო თამარისა“...

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი არსებობის პირველ ნახევარში სკოლების დაარსება მოახერხა თბილისში, ბათუმში, წინარეხში, თონეთში, ხელთუბანში, კავკავში და გომარეთში. ასევე ხელმძღვანელობდა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის სახსრებით დაარსებულ ქუთაისის სკოლას და მის განყოფილებას ძველ სენაკში, ასევე სკოლების გახსნას მცხეთაში, ვაყაში, დილოში.

წესდების მიხედვით საზოგადოებას უფლება ჰქონდა დაეარსებინა სამკითხველოები და ბიბლიოთეკები, ასევე მოეწვია სკოლებისათვის გა-

მოცდილი მასწავლებლები, ხოლო მასწავლებელთა დახელოვნებისათვის გაეხსნა კურსები, ჩაეტარებინა მათთვის შეკრებები, ასევე გამოეცა ქართულ ენაზე საყმაწვილო წიგნები და სახელმძღვანელოები.

საზოგადოების გამგეობამ შეიმუშავა სანიმუშო განჩინება, რომლის საფუძველზეც სკოლის გახსნა სოფელს უნდა მოეთხოვა. სოფელი სკოლის შენობისთვის გამოყოფდა მიწას, ააშენებდა შენობას და გაიღებდა ყოველწლიურად 350 მანეთს მასწავლებლის შესანახად. წერა-კითხვის საზოგადოებას კი უნდა მოეძებნა სკოლისთვის შესაფერისი მასწავლებელი, მოემარაგებინა სკოლა ავეჯითა და სასწავლო ნივთებით და გაენია ხელმძღვანელობა სასწავლო პროცესისთვის.

საზოგადოების გამგეობამ ასევე დაადგინა, მაზრებში გაეგზავნათ რწმუნებულები, რომლებიც მაზრის უფროსებთან შეთანხმებით ნაახალი-სებდნენ სოფლის მოსახლეობას სკოლის გასახსნელად. ამ მიზნით სიღნაღისა და თელავის მაზრების



ჩამოვლა რაფიელ ერისთავს მიენდო, დუშეთის მაზრის – პეტრე უმიკაშვილს, გორის მაზრის – გიორგი ციციშვილს, თბილისის მაზრაში კოტე აფხაზი გაგზავნეს, ახალციხესა და ახალქალაქში – ივანე ალექსი-მესხიშვილი, იმერეთსა და რაჭაში – ალ. ჭიჭინაძე, სამეგრელოსა და გურიაში – იონა მეუნარგია.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თბილისში 1880 წლის 14 ოქტომბერს გახსნა სკოლა, სადაც 2 განყოფილება იყო, თითოში 16-16 მონაფე, ამათგან 10 გოგონა. სწავლა ფასიანი იყო და წლის განმავლობაში 400 მანეთის ნაცვლად 119 მანეთი შესულა. მეორე წელს კი, მხოლოდ 16 მოსწავლე გამოცხადებულა, ისინიც უარს ამბობდნენ დარჩენაზე, თუკი სწავლა უფასო არ იქნებოდა. ამ წელს სკოლა დაიკეტა.

ამავე წელს ქუთაისში ასევე ორგანიზაციებიანი სკოლა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, რომლისთვისაც სათავადანაწარმო ბანკის ქუთაისის ფილიალმა 8 ათასი მანეთი გამოყო. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ამ სკოლისათვის წესდებაც შეიმუშავა. სკოლაში მიიღებოდნენ სხვა წოდებათა და სოფლის მცხოვრებთა შვილები და წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვებიც. სწავლა უფასო იყო და ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე უნდა წარმართულიყო. როცა 1882 წელს მოსწავლეებმა 4 განყოფილება დახურეს და თითქოს ამით სკოლის მისია ამონურული იყო, მოხდა ისე, რომ სახელმწიფო უწყებამ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას პროგიმნაზიული კლასების გახსნის უფლება მისცა. სკოლას ყოველ წელს თითო პროგიმნაზიული კლასი ემატებოდა, ხოლო 1886 წელს ოთხნობიანი პროგიმნაზიად გარდაიქმნა.

1880-იანი წლები საქართველოში რუსული რეაქციის წლები იყო. მაშინ კავკასიის მთავრობამ მეგრელები არაქართველებად გამოაცხადა, სკოლებიდან განდევნა ქართული ენა და სწავლება მეგრულ ენაზე შემოიღო. მათ საეკლესიო წიგნების თარგმნა და მეგრულ ენაზე ღვთისმსახურების შემოღებაც კი სცადეს. ასეთ ვითარებაში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სამეგრელოში ქართული სკოლის გახსნის უფლებას არავინ მისცემდა, ამიტომ ხერხს

მიმართეს და ქუთაისის სკოლის პარალელური განყოფილებები სენაკში გადაიტანეს, როგორც ქუთაისის ქართული სკოლის ფილიალი. სკოლის ინსპექტორად გამოცდილი პედაგოგი სიმონ ყიფიანი დანიშნეს, მასწავლებლებად – ივანე გოგოლაშვილი, ლ. ჩომახიძე და აგლაძე. თანხაც შეაგროვეს სკოლის შენობისათვის, რომელიც ერთ წელიწადში ააშენეს. სკოლა საზეიმოდ გაიხსნა, სადაც სიტყვით გამოსულან დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, ნიკო დადიანი.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სკოლის გახსნას ბათუმში, რომელიც საუკეთესო საშუალება იქნებოდა აჭარელთა გასანათლებლად და თურქული გავლენის აღმოსაფხვრელად. მთავრობასთან მოლაპარაკება ილია ჭავჭავაძეს მიახდეს. 1880 წელს დაიქირავეს სკოლისათვის სახლი, და მასწავლებლად მოიწვიეს სამედიცინო აკადემიის სტუდენტი ალექსანდრე ნანეიშვილი. პირველ წელს სკოლაში შესულა 11 მაჰმადიანი, 6 კათოლიკე და 11 მართლმადიდებელი მოსწავლე. მაჰმადიანი მოსწავლეები მეორე წელს აღარ გამოცხადებულან, ერთ-ერთი მაჰმადიანი ხოჯის გავლენით, რომელიც აფხაზი იყო, ქართული არ იცოდა და ამის გამო სკოლის მასწავლებლად არ აიყვანეს. მაშინ წერა-კითხვის საზოგადოების გამგებობამ ბათუმის სკოლაში მოსე ნათაძე მიიწვია, რომლის დაულალავი მოღვაწეობით ერთ წელიწადში სკოლაში 25 მაჰმადიანი და 31 ქრისტიანი სწავლობდა, ხოლო მაჰმადიანები ქართულ სკოლას „ჩვენს სკოლას“ ეძახდნენ.

მნიშვნელოვანი იყო სკოლის გახსნა კავკასიაში, იქ მცხოვრები ქართველებისათვის. ამ საქმის ინიციატორი მიხეილ ყიფიანი იყო. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დიდი თანხის გაღება არ შეეძლო, მაგრამ კავკასის სკოლას ყოველწლიურად წიგნებით დახმარება და მასწავლებლის შერჩევა აღუთქვა. სკოლა 1888 წელს გაიხსნა. 1891 წელს უკვე 44 მოსწავლე იყო, ხოლო მზრუნველთა კომიტეტს სკოლის ასაშენებლად საჭირო თანხაც ჰქონდა შეკრებილი და მიწის ნაკვეთიც მოძიებული.

მიხეილ ყიფიანს ასევე სურდა სკოლის გახსნა ყაზბეგში. მას წიგნებიც გაუგზავნა წერა-კითხვის გამავრ-

ცელებელმა საზოგადოებამ, მაგრამ იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და საქმის დასრულება ველარ მოასწრო.

1882-84 წლებში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სკოლების გახსნა მოახერხა ქართლის სოფლებში: წინარეხში, თონეთსა და ხელთუბანში. საზოგადოება მოსახლეობას გარკვეულ ნივთიერ დახმარებასაც უწევდა და სკოლას ხელმძღვანელობდა.

ვინაიდან ხშირად უსახსრობის გამო სკოლების გახსნას ვერ ახერხებდნენ, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გაუჩნდა იდეა, აეყვანათ მოხეტიალე მასწავლებელი, რომელიც „ივლის ადგილიდან ადგილზე და გაავრცელებს ხალხში კითხვასა და წერას“... ასევე ფიქრობდნენ, დაეარსებინათ მოძრავი სკოლები. იაკობ გოგებაშვილის წინადადებით ბათუმის სკოლის მასწავლებელს მოსენათაძეს მისწერეს კიდევ, აჭარა-ქობულეთის გლეხის შვილები 4 კლასს რომ დაასრულებდნენ, დაეხელოვნებინა, რათა თანასოფელელებისათვის საგლეხო სკოლებში წერა-კითხვის სწავლება შესძლებოდათ.

საზოგადოება დახმარებას უწევდა წიგნებით საკვირაო და სამრევლო სკოლებსაც, ბათუმში, ხულოში, კავთისხევში, ახალციხეში, გურია სამეგრელოს ეპარქიაში, რადგან იქ ქართული ენა ისწავლებოდა. „დედა ენა“ და „რუსსკოე სლოვო“ გაუგზავნიათ აფხაზეთის სოფელ ნაას სამრევლო სკოლისთვისაც, მისი მასწავლებლის აქვსენტი სახოკიას თხოვნით. ხოლო სოფელ ხეთაში ესტატე შუშანიას კერძო სამრევლო სკოლას, არა თუ წიგნებითა და ნივთებით ამარაგებდნენ, მასწავლებლისთვის ხელფასიც კი დაუნიშნავთ საზოგადოების ბიუჯეტიდან.

როცა დღევანდელი გადასახედიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას ვაფასებთ, აშკარაა, რომ მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, საზოგადოებამ სკოლების გახსნით, სახელმძღვანელოების გამოცემით და მკითხველისათვის მისი მიწოდების გაადვილებით ამოძრავა ქართული საზოგადოება, ხელი შეუწყო დაწყებითი განათლების გავრცელებას და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიც ერთმანეთთან დაკავშირებას.





ჰიპერაქტიური ბავშვები

კეთილგანწყობა – მათთან ურთიერთობის მთავარი ბასალაჰი

ჰიპერაქტიურ ბავშვებს, როგორც წესი, ხშირად „კლასის ამრევებს“ უწოდებენ. მათთან ურთიერთობა როგორც მასწავლებლის, ისე მშობლის მხრიდან დიდ ძალისხმევასა და ნებისყოფას მოითხოვს.



ნინო გელოვანი

ბავშვის პიროვნული აღზრდა ადრეულ ასაკში იწყება. განვითარების პირველ ეტაპებს გადის მისი ფსიქიკა, აზროვნება, სტერეოტიპები, ღირებულებები და ა.შ. ამ პროცესში, რა თქმა უნდა, მშობლების შემდეგ უდიდესი როლი ენიჭება სკოლას. კლასში ბავშვი საზოგადოებასთან ადაპტაციას დამოუკიდებლად იწყებს. წინასასკოლო და სკოლის პირველი წლები ერთგვარი გარდამავალი პერიოდია, რომელიც დაკავშირებულია ღრმა ფსიქო-ემოციურ ცვლილებებთან: ბავშვები გაუნონასწორებლები და იპულსურები ხდებიან, ხშირად მათი ქცევა „არაადეკვატურია“. ხშირად ამ პრობლემას მარტივად ხსნიან: „ბავშვი ცელქია“. ეს არ არის სწორი დეფინიცია ჰიპერაქტიურ და ყურადღების დეფიციტის მქონე ბავშვთან მიმართებაში. ალბათ ყველა მასწავლებელი დამდგარა ისეთი ამოცანის წინაშე, როგორცაა ამ ტიპის ბავშვებთან ურთიერთობის მოგვარება – თანაც ისე, რომ ისინი გარიყულები არ აღმოჩნდნენ და წარმატებით მოახერხონ კლასთან და საზოგადოებასთან ადაპტირება.

ჰიპერაქტიური ბავშვებისთვის დამახასიათებელია უყურადღებობა. ისინი დეტალებზე ყურადღების

კონცენტრირებას ვერ ახერხებენ, რის გამოც უამრავ „შეცდომას“ უშვებენ. მათ არათუ სწავლის დროს, თამაშის დროსაც კი უჭირთ ყურადღებით ყოფნა. ისინი ზუსტად ვერ ასრულებენ ინსტრუქციებსა და დავალებებს, არიან არაორგანიზებული და არათანმიმდევრულები, გაურბიან ან იძულებით ასრულებენ იმ დავალებას, რომელიც მეტ გულმოდგინებას ითხოვს, ხშირად კარგავენ სასკოლო ნივთებს. მათ ადვილად გადააქვთ ყურადღება გარე გამაღიზიანებლებზე, ავიწყდებათ ყოველდღიური, რუტინული საქმიანობების შესრულება.

ჰიპერაქტიურობა უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ბავშვი მოუსვენარია, ამოძრავებს ხელ-ფეხს, ჯდომის დროს ქანაობს, დგება მაშინ, როცა საჭიროა ჯდომა, სიარულის ნაცვლად დარბის, ხმაურობს, ლაპარაკობს და ა.შ. იმპულსურობა ხშირად იმაში ვლინდება, რომ იგი შეკითხვის დასრულებამდე პასუხობს, არ უცდის საკუთარ რიგს, აწყვეტინებს თანამოსაუბრეს საუბარს. ასეთი ბავშვი სწრაფად აზროვნებს და გაუაზრებლად რეაგირებს მოვლენებზე. იმპულსურობის გამო ის ხშირად მოქმედებს საკუთარი სურვილის სანინააღმდეგოდ, ზოგჯერ



მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეების ჰიპერაქტიურობა და ყურადღების დეფიციტის პრობლემა დიდ სირთულეს წარმოადგენს ირგვლივმოყფებისთვის, საკუთარ თავს უნდა ჩავაგონოთ, რომ ეს მოგვარებადი საკითხია.



კი გადანყვეტილებებს თავის საზიანოდაც იღებს. ეს თვისებები ხელისშემშლელია როგორც მასწავლებლისა და თანაკლასელებისთვის, ასევე თავად ამ ბავშვებისთვისაც.

ჰიპერაქტიურობის სინდრომს ნეიროფსიქოლოგები ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების დარღვევით გამოწვეული სიმპტომების ერთობლიობად მიიჩნევენ. ეს სიმპტომები განსაკუთრებით სკოლაში მისვლისას იჩენს ხოლმე თავს. მანამდე ასეთი ბავშვები დიდად არ განსხვავდებიან ცელქი თანატოლებისგან.

ჰიპერაქტიურობისა და ყურადღების დეფიციტის პრობლემა რამდენიმე მიზეზით ჩნდება. მათ შორისაა:

არასწორი კვება. თვალი გადავავლოთ ბავშვის ყოველდღიურ რაციონს. თუ მენიუდან შოკოლადსა და კოფეინის, სინთეზური კონსერვანტების, საღებავებისა და არომატიზატორების შემცველ პროდუქტებს ამოვიღებთ, ბავშვი გაცილებით უკეთ დაიძინებს და შესამჩნევად დამშვიდდება კიდევ. ჰიპერაქტიურ ბავშვებს მეცნიერებმა გლუკოზის ცვლის დარღვევა აღმოუჩინეს. ასეთი პატარების მოზღვავებული ენერჯის წყარო შაქარი, ტკბილეული და ხილის წვენებია. ხშირად ჰიპერაქტიურობის მიზეზი კვებითი ალერგიაა. ალერგენი შესაძლოა აღმოჩნდეს სინთეზური საღებავი, ნატურალური ძროხის რძე ან სხვა პროდუქტი. ჰიპერაქტიურობის მიზეზი შესაძლოა მიკროელემენტ მაგნიუმის დეფიციტი იყოს. მაგნიუმი პატარების მშვიდი ძილისა და გლუკოზის ნორმალური ცვლისთვის არის საჭირო. მის ნაკლებობას იმ ბავშვის ორგანიზმი განიცდის, ვინც ბევრ ტკბილეულს მიირთ-

მევს. მიკროელემენტის მარაგი ანტიბიოტიკების მიღების შემდეგაც მცირდება. ჰიპერაქტიური ბავშვის ორგანიზმში ნერვული იმპულსების გადაცემა გაძლიერებულია, ტვინს კი გაძლიერებული მუშაობისას სრულფასოვანი ცილოვანი საკვები სჭირდება. ბავშვის რაციონში უნდა შედიოდეს: ხაჭო, ყველი, კვერცხი, ხორცი. ნერვულ სისტემას მშვიდი მუშაობისთვის სჭირდება B ჯგუფის ვიტამინები, რომლებიც მდიდარია რძის პროდუქტები და ხორცი.


სტრესული ოჯახური გარემო.


ოჯახური ატმოსფერო მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე, მის აქტიურობაზე, იმპულსურობასა თუ ალგზნებაზე. ხშირად ოჯახში მიღებული სტრესით გამოწვეული ემოციების განმუხტვა საკლასო ოთახში ხდება. ბავშვი აქტიურ ქმედებებში ახდენს ფსიქიკური დაძაბულობის კომპენსაციას, ანუ ჰიპერაქტიურობა მისი ემოციური სტრესების სახეცვლილი გამოვლინებაა.

ჰიპერაქტიური ბავშვის დასახმარებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლისა და მასწავლებლის მუდმივი თანამშრომლობა და შეთანხმებული მოქმედება. თუმცა, თუ

გართულებულ ვითარებასთან არ ვვაქვს საქმე, ეს პრობლემა შეიძლება სასკოლო გარემოში მოგვარდეს. მასწავლებელს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ ჰიპერაქტიური ბავშვი განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. ხშირად იგი განვითარების ტემპით ჩამორჩება თანაკლასელებს (ზოგჯერ ერთი ან ორი წლითაც კი). თუმცა ხდება პირიქითაც: არსებობს კატეგორია ჰიპერაქტიური ბავშვებისა, რომლებიც თავისი განვითარებით თანაკლასელებს უსწრებენ. დიდი რაოდენობის ინფორმაციის ფლობა ასეთი ბავშვის გადატვირთვას იწვევს. ზოგადად, ბავშვის (განსაკუთრებით, ჰიპერაქტიურის) ფსიქიკა ვერ იტანს ზომიერ მეტ ინფორმაციას, რაც მის ზედმეტ აქტიურობაზე აისახება.

სამწუხაროდ, მშობლების და მასწავლებლების ნაწილი გამოსავალს სადამსჯელო ღონისძიებებში ხედავს, რაც ნამდვილად არ არის საუკეთესო გამოსავალი. ხშირი დასჯით უფრო ვამწვავებთ ვითა-





რებას, ბავშვებს კიდევ უფრო ძნელად გადასალახ ბარიერებს ვუქმნით. ბუნებრივია, კლასში მასწავლებელმა დისციპლინა აუცილებლად უნდა დაარეგულიროს, ბავშვები უნდა შეაჩვიოს თანამშრომლობას, რისთვისაც საუკეთესო გზა წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობაა.

სასურველია, კლასის მოწყობის განსხვავებული ფორმები და მრავალფეროვანი აქტივობები ავირჩიოთ, ამ ტიპის მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შევადგინოთ და აღნიშნული პროგრამა სასწავლო პროცესს ისე შევეუთავსოთ, რომ კლასში მყოფი სხვა ბავშვების სწავლა-აღზრდა არ შევაფერხოთ. თუ იმ მეთოდებს გამოვიყენებთ, რომლებიც ყურადღების დეფიციტის მქონე ბავშვებს სწავლას გაუადვილებს, მაშინ ისინი საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების წარმოჩენას უთუოდ შეძლებენ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის მქონე ორი ერთნაირი ბავშვი არ არსებობს. ამიტომ სტრატეგია ყოველი მოსწავლისათვის ინდივიდუალურად უნდა შემუშავდეს, მაგრამ ის მისაღები უნდა იყოს კლასში მყოფი სხვა ბავშვებისთვისაც.

ჰიპერაქტიური და ყურადღების დეფიციტის მქონე მოსწავლეებთან სასწავლო პროცესის წარმატებით ჩასატარებლად სასურველია:

-  გაკვეთილი იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული;
-  ბავშვს მიეცეს მოკლე დროში შესრულებადი დავალებები;
-  შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
-  გაკვეთილები დაიგეგმოს მოსწავლეებისთვის საინტერესო



საკითხებისა და აქტივობების გათვალისწინებით;

-  განისაზღვროს და ამოქმედდეს ნახალისების სისტემა;
-  გაკვეთილის დასაწყისში აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, თუ როგორ უკავშირდება მიმდინარე გაკვეთილი წინა და მომდევნო გაკვეთილებს.

გამოცდილება მოწმობს, რომ თუ გაკვეთილი ქვემოთ მოცემული პუნქტების დაცვით ტარდება, მოსწავლეები (მათ შორის, ჰიპერაქტიური ბავშვებიც) ნაყოფიერად სწავლობენ.

1. ჰიპერაქტიური მოსწავლის ყურადღების შენარჩუნება ვცადოთ ხშირი და ფრთხილი რეპლიკებით. არავითარ შემთხვევაში არ მივცეთ ისეთი შენიშვნა, რაც მას უარყოფითი ასპექტით გამოარჩევს სხვა ბავშვებისგან. გამოვრიცხოთ სარკაზმი და კრიტიკა;
2. საგაკვეთილო პროცესში ხშირად გამოვიყენოთ შესაბამისი აუდიო-ვიდეო საშუალებები;
3. პასუხის გაცემისას მოსწავლე არ ავანჩაროთ, მივცეთ მას საკმარისი დრო ცოდნის გამოსამუშავებლად;
4. ხშირად ვამუშაოთ წყვილებში ან ჯგუფებში. ჰიპერაქტიური და

ყურადღების დეფიციტის მქონე ბავშვები გადავანაწილოთ კარგად ორგანიზებულ ჯგუფებში. მივცეთ მათ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული როლები;

5. გავაკონტროლოთ დისციპლინა. გვექონდეს სკოლაში მოქცევის ნათლად განსაზღვრული წესები და შესაბამისი პლაკატი;
6. დავყოთ გაკვეთილი თანმიმდევრულ ნაწილებად და კარგად ავუხსნათ ბავშვებს თითოეულის მნიშვნელობა;
7. რაც შეიძლება, გასაგებად ავუხსნათ საკვანძო წინადადებები;
8. დავალების შესასრულებლად მივცეთ საკმარისი დრო. გამოვკითხოთ მშვიდი, წყნარი ტონით, რათა მოსწავლემ თავისუფლად გამოთქვას აზრი.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეების ჰიპერაქტიურობა და ყურადღების დეფიციტის პრობლემა დიდ სირთულეს წარმოადგენს ირგვლივმყოფებისთვის, საკუთარ თავს უნდა ჩავაგონოთ, რომ ეს მოგვარებადი საკითხია. მთავარია, მათთან ურთიერთობისას განსაკუთრებულ მიდგომას მივმართოთ: ნუ ვიქნებით მეტისმეტად მომთხოვნი და მკაცრი, დავიცვათ ტაქტი და გამოვიჩინოთ მოთმინება.



უითაპრასი ბავშვების სიყვარულია

ინტერვიუ ქეთი მაქლეინთან

ქეთი მაქლეინმა სადოქტორო დისერტაცია განათლების ფსიქოლოგიაში დაიცვა. მუშაობდა ფსიქოლოგად ტრეფიკინგის მსხვერპლ ქალთა საკონსულტაციო ცენტრში, ტანზანიასა და ხორვატიაში. საქართველოში მეუღლესთან, მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, რომი საუთვორთთან ერთად ჩამოვიდა. ქეთი მაქლეინი მალევე დაინტერესდა სხვადასხვა პროექტით, მოგვიანებით კი ამერიკული ორგანიზაციის, Peace Corp-ის იმ პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დახმარებას ითვალისწინებდა.

თამარ ონოფრიენკო



მასწავლებელმა საკუთარ თავს უნდა შთააგონოს, რომ სწავლა და ცოდნის მუდმივი განახლება აუცილებელია. მასწავლებლობა ურთულესი პროფესიაა და იგი უფრო და უფრო რთული ხდება, ამიტომაც ის მეტად უნდა დაფასდეს და ნახალისდეს სახელმწიფოს მხრიდან.

თავდაპირველად რა სახის სამუშაოს ასრულებდით და რომელ რაიონში?

– ზესტაფონის რაიონიდან დავინწყეთ. როცა ხმა გავრცელდა, ამერიკელი სპეციალისტები ჩამოდიანო, ხალხი სოფლებიდან დაიძრა. იქაურები ხელში ატატებული ბავშვებით, რიგში ჩამდგრები შეგვხვდნენ. ველოდი, რომ, როგორც ამერიკაში ხდება, კონფიდენციალურობა დაცული იქნებოდა. ბავშვების უმრავლესობას ცერებრალური დამბლა აღენიშნებოდა. როგორც ჩანს, ექიმები მათ მხოლოდ მედიკამენტებს უნიშნავდნენ, ყოველგვარი დამატებითი კონსულტაციის გარეშე. მალევე ქალაქის ცენტრში ბავშვთა სახლი „ორიონი“ გავხსენით, რომელიც არა მხოლოდ ზესტაფონის, არამედ ირგვლივ მდებარე 27 სოფლის მოსახლეობას ემსახურებოდა. სახლში იმ 200-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს ვმასპინძლობდით, რომლებიც აღრიცხვაზე იყვნენ აყვანილები. მალევე აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრს არასწორი დიაგნოზი ჰქონდა დასმული. ამ ბავშვებს შორის ბევრი აუტისტი და გონებრივი შეფერხების მქონე იყო. ცერებრალური დამბლით დაავადებულთა სრული უმრავლესობა უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში ცხოვრობდა, ეტლებისა და სპეციალური აღჭურვილობის გარეშე. მაშინ


გზებიც ძალიან ცუდი იყო, ტრანსპორტის პრობლემაც არსებობდა და ბევრი მშობელი შვილის ჩვენამდე მოყვანას ვერ ახერხებდა.

როგორ შექელით, ამ პრობლემების მიუხედავად, მუშაობის გაგრძელება?

– მოგვიანებით, World Vision-ის დაფინანსებით, რამდენიმე ექიმი და სოციალური მუშაკი, გადამზადების სპეციალური პროგრამის გავლის შემდეგ, აღნიშნულ სოფლებში მივამაგრეთ. ისინი თავად სტუმრობდნენ სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებს. მოგვიანებით, როცა ზესტაფონში ჩვენი პროექტი დასრულდა, ერთი თერაპოლელი მშობელი მოვიდა და გვთხოვა, რომ მათთანაც დაგვეწყო ეს პროექტი.

თერაპოლაში დანერგვისას პროექტმა ცვლილებები ხომ არ განიცადა?

– დიახ, შევეცადეთ, პროექტი უფრო გრძელვადიანი და სერიოზულ შედეგებზე ორიენტირებული ყოფილიყო. გადავწყვიტეთ, იმ სოფლების სკოლებიდან, სადაც სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები სწავლობენ, აგვერჩია მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამისად მოვამზადებდით. ამ შემთხვევაში, ტრანსპორტირების, სანვავის პრობლემები და



პროექტის დასრულების საშიშროება არ დაგვემუქრებოდა. დღეს ეს მასწავლებლები ვალდებულნი არიან, სახლში მიაკითხონ იმ მოსწავლეებს, რომლებიც ოჯახური სიდუხჭირისა თუ სხვა პრობლემების გამო სკოლებში ვერ დადიან. სკოლა ასეთი მოსწავლეებისთვის ვაუჩერს იღებს და შესაბამისად, მასწავლებელიც ვალდებულია, არ შემოიფარგლოს მხოლოდ ზედაპირული, არაპროფესიონალური ვიზიტით.

როგორ ხვდებოდით, მზად იყო თუ არა მასწავლებელი, გადამზადების კურსის გავლის შემდეგ, ასეთ ბავშვებთან სამუშაოდ?

– ძალიან კარგი, ეფექტურად ორგანიზებული სატრენინგო პროგრამა გვექონდა. პედაგოგებს ყოველდღიურად უხდებოდათ გავლილ თეორიულ მასალაზე ტესტების ჩაბარება, მთლიანი კურსის დასრულების შემდეგ კი მათ საკმაოდ რთული გამოცდა ჩააბარეს.

სულ რამდენი მასწავლებელი მოამზადეთ?

– მოვამზადეთ 34 მასწავლებელი, რომელთაგან გამოცდა ყველამ ჩააბარა. ეს მასწავლებლები სკოლებში დაბრუნდნენ და წარმატებით მუშაობენ. უკიდურესად მწვავე შემთხვევებში ისინი მოგვმართავენ და პრობლემების მოგვარებას ერთობლივად ვცდილობთ.

როგორი იყო პირველი რეაქცია, როცა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები ჩვეულებრივ კლასებში შეიყვანეთ?

– მახსოვს, როცა დისტროფიით დაავადებული ერთი ბიჭი კლასში ეტლით შევიყვანეთ, ბავშვები დაბნეულები შეხვდნენ. არ იცოდნენ, როგორ უნდა ესაუბრათ მასთან, ის მათთვის უცხო და განსხვავებული იყო. ვფიქრობ, დანარჩენი მოსწავლეებისთვის უფრო სასარგებლო იყო მისი კლასში შეყვანა, სწორედ ამ ყინულის გაღობის, შიშისა და ბარიერების დაძლევის თვალსაზრისით.

კიდევ რა საჭიროებებს გეგმავთ მიმდინარე პროგრამების ფარგლებში?

– პირველი, რისი გაკეთებაც მინდა, მშობლების ცნობიერების ამაღლებაა. სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების მშობელთა დიდ უმრავლესობას ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამ ყველაფრის შესახებ. შესაბამისად, მათთვის ინფორმაციის მიწოდება სწორი დამოკიდებულების, ეფექტური მკურნალობისა და გვერდითი მოვლენების თავიდან აცილების წინაპირობა იქნებოდა. ჩვენ რამდენიმე შემთხვევას წავაწყდით, როცა ბავშვებს შელოცვებითა და ბალახებით მკურნალობდნენ. მშობლები სავსებით დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საკუთარ შვილს მდგომარეობას უმსუბუქებდნენ და თანდათანობით განკურნავდნენ.

ხომ არ აპირებთ თქვენი პროექტ(ებ)ის საზღვრების გაფართოებას?

– მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დახმარება შეწყდა, საკუთარი ფონდიდან დავინყეთ პროექტის დაფინანსება. თუმცა ჩვენი სახსრებით ამის მუდმივად კეთება შეუძლებელი აღმოჩნდა და კვლავ დაგვჭირდა საერთაშორისო დახმარების მოძიება. ვისურვებდი, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სტრუქტურებთან ერთად გაგვეფართოებინა ჩვენი პროექტის საზღვრები და მთელი საქართველო მოგვეცვა. ცენტრალიზებული ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია თუნდაც ერთი რეგიონის სრულად დაფარვა, მით უფრო, მთელი საქართველოსი. იმედი მაქვს, რომ ჩვენი პროექტი კარგი მაგალითი აღმოჩნდება და საქართველოში სპეციალურად მომზადებული მასწავლებლები მომავალშიც იმუშავენ.

კიდევ რა გეგმები აქვს თქვენს ორგანიზაციას?

– ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონებში ნიადაგის შესწავლას ვაპირებთ. ჩვენი ვარაუდით, ამ რეგიონში აუტიზმისა თუ სხვა მენტალური



დაავადებების განვითარების გახშირების მიზეზი შეიძლება ფერადი ლითონებით ნიადაგის დაბინძურება იყოს. ორსულობის პერიოდში ასეთი ლითონებით გაჯერებული ბოსტნეულის მიღება სხვადასხვა პათოლოგიის განვითარების მიზეზი ხდება. ნიადაგის ნიმუშების ანალიზმა შესაძლოა რეალური სურათი მოგვცეს, რაც მომავალში ამ დაავადებებს თავიდან აგვარიდებს.

რას ეტყოდით თქვენი პროექტების მიღმა დარჩენილ ათასობით მასწავლებელს?

– პირველი და უმთავრესი ბავშვების სიყვარულია. ამ სიყვარულის გარეშე მასწავლებლის ნათქვამი ვერასდროს აღწევს მოსწავლეებამდე. სწორედ ეს სიყვარული აღმოაჩენინებს მასწავლებელს მოსწავლეში სხვადასხვა ნიჭსა და უნარს. მე, მაგალითად, საქართველოში სხვათა დახმარებით ხატვა დავინყე. აქამდე მართლაც არაფერი დამეხატა, ახლა კი საკმაოდ კარგად გამომდის ზეთის საღებავებით მუშაობა. ამასთან, მასწავლებელმა საკუთარ თავს უნდა შთააგონოს, რომ სწავლა და ცოდნის მუდმივი განახლება აუცილებელია. მასწავლებლობა ურთულესი პროფესიაა და იგი უფრო და უფრო რთული ხდება, ამიტომაც ის მეტად უნდა დაფასდეს და ნახალისდეს სახელმწიფოს მხრიდან.





ზაქარია ქარსაულიძე

ინტერნეტ-რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში

მსოფლიოში დღითიდღე იზრდება ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, რაც ინტერნეტ-ტექნოლოგიების დახვეწას და ყოველდღიურობაში მისი გამოყენების აუცილებლობას უკავშირდება. ინტერნეტის როლი ჩვენი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებასა და საჯარო სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესშიც იზრდება. ამას სკოლების კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. დღეისათვის საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 12%-ს შეადგენს.

ყოველდღიურად მატულობს უცხოური და ქართულენოვანი ინტერნეტ-რესურსების რაოდენობა. სასწავლო გარემოს გამრავალფეროვნებისთვის, დასახული მიზნების მიღწევისთვის უდავოდ დიდი არჩევანია. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ Google Inc.-ის სერვისებზე.

Google Inc. (გუგლ კორპორაცია) ამერიკაში 1998 წელს დაარსდა და დღეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანიაა. მისი ინტერნეტ-სერვისები საკმაოდ მრავალფეროვანია. ჩვენ მხოლოდ ისეთ საშუალებებს შევხებით, რისი სასწავლო პროცესში გამოყენებაც ეფექტური იქნება.

გუგლის თვალსაჩინოებები

რა არის YouTube?

იუთუბი ვიდეო და აუდიო ფაილების გაზიარებისთვის განკუთვნილი ვებ-გვერდია. აქ მილიონზე მეტი ასეთი ფაილია განთავსებული და მათ ყოველდღიურად ახალი მასალა ემატება. ამ ვებ-გვერდზე სხვის მიერ განთავსებული ვიდეოების დათვალიერება და მათზე კომენტარის გაკეთება შეგიძლიათ. დარეგისტრირების შემთხვევაში, საკუთარი ვიდეო ფაილების განთავსებასაც შეძლებთ.

იუთუბს ვიდეო ფაილების მრავალფეროვანი კატეგორიები აქვს. მათ

შორისაა: ახალი ამბები, კომედია, სპორტი, ფილმები, მეცნიერება, ტექნოლოგიები და ა.შ. ერთ-ერთი კატეგორია განათლებაა, რომელიც ცნობილი უნივერსიტეტების ქვეგანყოფილებებს შეიცავს. აქ ამ უნივერსიტეტებში ჩატარებული ლექციების ვიდეოჩანაწერები და სტუდენტების ყოფა-ცხოვრების ამსახველი ვიდეოები შეგიძლიათ ნახოთ.

აღნიშნულ ვებ-გვერდზე სასურველი შინაარსის ვიდეოს მოძებნა ადვილად შეიძლება. ამისათვის ვებ-ბრაუზერში აკრიფეთ www.youtube.com. შემდეგ საძიებო ველში ჩაწერეთ მოსაძიებნი ვიდეოს საკვანძო სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი და დააჭირეთ ლილაკს search (ძიება). ძიების დასრულების შემდეგ საკვანძო სიტყვის შესაბამისი ვიდეოების ჩამონათვალი ჩამოიშლება. მიღებული მასალიდან თქვენთვის სასურველი ვიდეო ამოირჩიეთ.

იუთუბზე თითქმის ყველა საკითხის შესახებ ნახავთ ვიდეოებს, ამიტომ ამ ვებ-გვერდის გამოყენება თითქმის ნებისმიერი საგნის პედაგოგს შეუძლია.

მაგალითად, თუ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, სასწავლო მასალის გასამდიდრებლად, გალაკტიონ ტაბიძესთან დაკავშირებული ვიდეო ფაილი სჭირდება, ის საძიებო ველში ჩაწერს „გალაკტიონ



ინტერნეტის როლი ჩვენი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებასა და საჯარო სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესშიც იზრდება. ამას სკოლების კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.





ცნობები. ამ მხრივ საქმეს საძიებო სისტემები გვიადვილებს. ერთ-ერთი მათგანი გუგლის საძიებო სისტემაა, რომელიც 1997 წელს ლარი პეიჯმა და სერგეი ბრინმა შექმნეს. ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საძიებო სისტემაა.

იგი ყოველდღიურად რამდენიმე ასეულ მილიონ მოთხოვნას იღებს. ამ საძიებო სისტემის გამოსაყენებლად უნდა გავხსნათ ვებ-გვერდი www.google.ge, საძიებო ველში ჩავწეროთ საკვანძო სიტყვებისგან შემდგარი ფრაზა (როგორც სურათზეა ნაჩვენები) და დავაწვეთ ლილაკს Google ძებნა. ძიების დასრულების შემდეგ ჩამოიშლება იმ ვებ-გვერდების ჩამონათვალი, რომელშიც ეს საკვანძო სიტყვები გვხვდება. გუგლის საძიებო სისტემას გაძლიერებული ძებნაც შეუძლია, რაც დეტალურ ძიებას გულისხმობს. შეგვიძლია მოვძებნოთ კონკრეტული დასახელების მხოლოდ doc ან მხოლოდ pdf ფაილები. ასევე, შეგვიძლია საძიებო სიტყვის შესაბამისი, სხვადასხვა კატეგორიებით გამორჩეული ვებ-გვერდების ძიებაც, რაც სასურველი ინფორმაციის მიგნებას გვიადვილებს.

გუგლის კომუნიკაცია


რა არის www.blogspot.com?

ბლოგი ერთგვარი ვებ-გვერდია, რომელიც ჩანაწერების, მოსაზრებების გაცვლა-გამოცვლისათვის არის განკუთვნილი. საკუთარ ბლოგზე ინფორმაციის ყოველდღიურად განთავ-

სება, სხვის ბლოგებზე განთავსებულ მასალაზე კი კომენტარების საშუალებით აზრის გამოთქმა შეგიძლიათ. ბლოგების უფასოდ შექმნის სერვისს გუგლიც გვთავაზობს. საკუთარი ბლოგის შესაქმნელად შედით ვებ-გვერდზე www.blogger.com.

ბლოგზე შეგიძლიათ განათავსოთ სასარგებლო და საინტერესო სასწავლო რესურსების ბმულები, სასწავლო პროექტების ინსტრუქციები და მათი განხორციელების გეგმები, სურათები, ვიდეოები, სლაიდშოუები და ა.შ.

რა არის გუგლის ელექტრონული ფოსტა?



გუგლის ელექტრონული ფოსტის გამოსაყენებლად ვებ-გვერდზე www.gmail.com გახსენით საკუთარი ანგარიში: დაანკაპუნეთ ლილაკზე Create an account, დარეგისტრირდით და შექმენით მომხმარებლის სახელი. ელექტრონული ფოსტის საშუალებით მასწავლებლებს შეუძლიათ კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან ელექტრონული მიმონერის განხორციელება, მათთვის გარკვეული სასწავლო რესურსების გადაზავა. მასწავლებელს მოსწავლისგან დავალებების ელექტრონული ფოსტით მიღებაც შეუძლია. გუგლის ფოსტას სხვადასხვა ინსტრუმენტი აქვს და ამ მხრივ, ის მეტად მოსახერხებელია. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

გუგლ-ჯგუფები (Groups)

gmail-ს ჯგუფების (Groups) გამოყენება აქვს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია რამდენიმე ადამიანის (მოსწავლეების, მასწავლებლების და ა.შ.) ერთ ჯგუფში გაერთიანება. ჯგუფის წევრებს კომენტარებისა თუ ფაილების იმგვარად გაცვლა-გამოცვლა შეუძლიათ, რომ ისინი სხვა პირებმა ვერ ნახონ.

გუგლ-კალენდარი (Calendar)

გუგლის ელექტრონული ფოსტის ერთ-ერთი ინსტრუმენტი კალენდარია (Calendar). მისი საშუალებით მასწავლებელს ელექტრონულ ფორმატში გაკვეთილების განრიგის, დაგეგმილი ღონისძიების დღის, საათის, ხანგრძლივობის ჩანაშენა შეუძლია. ყველაზე მთავარი ის არის, რომ კალენდრის ნახვა „გაზიარების“ (share) საშუალებით სხვებსაც შეუძლიათ. ასე რომ, მოსწავლეს საშუალება აქვს, მასწავლებლის მიერ შედგენილი ცხრილი საკუთარი სახლის კომპიუტერიდან იხილოს.


გუგლ-დოკუმენტები (Documents)

გუგლის ფოსტაზე გარკვეული ტიპის ფაილების (ტექსტური მასალების, სურათების, პრეზენტაციების და ა.შ.) ატვირთვაცაა შესაძლებელი. ეს გუგლის ინსტრუმენტის, დოკუმენტების მეშვეობით ხდება. საკუთარი კომპიუტერიდან ფაილების ატვირთვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი გაზიარებაც შეგიძლიათ.

გუგლ-თარჯიმანი (Translate)

ტექსტების სათარგმნად გუგლ-თარჯიმანი მოსახერხებელი საშუალებაა. ამისათვის მიუთითეთ, რომელი ენიდან რა ენაზე უნდა ითარგმნოს მასალა. შემდეგ დააჭირეთ ლილაკს *translate*. გუგლის თარჯიმანს შეგიძლია ვათარგმნინოთ როგორც რომელიმე ტექსტი, ისე ფაილები და ვებ-გვერდებიც კი. სამწუხაროდ, გუგლ-თარჯიმანში ქართულად თარგმნა შეუძლებელია, თუმცა მომავალში უდავოდ შესაძლებელი იქნება.





ქართული ხალხური საბავშვო თამაშობები და მოზარდები

საქართველოში ხალხური საბავშვო თამაშობები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მოზარდის აღზრდის ურთულეს საქმეში. მათში ბავშვის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები იყო გათვალისწინებული. ხალხურ თამაშობებში ხშირად აისახებოდა ტრადიციული ყოფისა და რწმენა-წარმოდგენების მნიშვნელოვანი მომენტები. ყურადღება მახვილდებოდა ბავშვის ფიზიკურ, ინტელექტუალურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაზე. ისინი ხალისიანი, მოძრავი და სანახაობრივი იყო.



ნანა სოჭოლავა

დღესაც შესაძლებელია ხალხურ თამაშობათა განახლება თანამედროვე ბავშვის ინტერესების, მიდრეკილებების, იმპროვიზაციის სურვილის გათვალისწინებით. მიზანშეწონილია მათი გამდიდრება ქართული საბავშვო ფოლკლორის ნიმუშებით, რაც მათ უფრო სანახაობრივს გახდის. როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, თანამედროვე ბავშვებიც არანაკლები ხალისითა და ინტერესით თამაშობენ უძველეს ქართულ ხალხურ თამაშობებს. ეს, თავის მხრივ, მათ უადვილებს მშობლიური ფოლკლორის, ტრადიციების გაცნობასა და გათავისებებს, ფიზიკური, ინტელექტუალური და შემოქმედებითი მონაცემების გამოვლენას. ამგვარი აქტივობები ბავშვებს დიდ სიხარულს და ხალხური შემოქმედების თანამონაწილედ ყოფნის განცდას ანიჭებს.

თამაშობები გამდიდრებულია სათანადო მასალით: ჩართულია შექაჩილები, ხალხური ლექსები, გამოსაცნობი ან წარმოსათქმელი სიტყვები; ზოგჯერ გართულებულია შესასრულებელი მოძრაობები.

მნიშვნელობა: ხალხური თამაშობების დახმარებით შესაბამისი მასალის სწავლება საინტერესო და მოსახერხებელი ფორმაა ლექსიკის დასაუფლებლად, ასევე ტრადიციული ქართული სოფლის ყოფის,

სიახლე: თამაშობები წარმოდგენილია განახლებული სახით. აღდგენა-განახლებისას მთავარი ყურადღება ეთმობა თამაშობათა ვერბალურ მხარეს (რომელიც, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ყველაზე მეტად დაზიანდა). ლექსიკის სწავლების მიზნით



საქმიანობების, ღირებულებების (შრომისადმი დამოკიდებულება, გარემოს დაცვა, ურთიერთდახმარება...) გასაცნობად და შესაფასებლად.

თამაშობა: ნვიმა მოდის, თავს უშველეთ!

პირველი ვარიანტი

თამაშობის აღწერა: მოთამაშეთა რაოდენობა 10-20 ბავშვია.

სათამაშო მოედნის ერთ ბოლოში სხვადასხვა ადგილას შემოიხაზება პატარა წრეები, ანუ „თავშესაფრები“ (შეიძლება დაიდოს ქუდები). მათი რაოდენობა მოთამაშეთა რაოდენობაზე ერთით ნაკლები უნდა იყოს.

თამაშის დაწყებისას მოთამაშეები „თავშესაფრების“ საწინააღმდეგო მხარეს იმყოფებიან. გათვლის შედეგად დარჩენილი მოთამაშე შესძახებს: „ნვიმა მოდის, თავს უშველეთ!“ მოთამაშეები გარბიან „თავშესაფრებისკენ“, სათითაოდ დგებიან წრეში (ან იხურავენ ქუდებს). ერთი მოთამაშე უადგილოდ (ან უქულოდ) რჩება და ცდილობს, რომელიმე წრეში ჩადგეს, მაგრამ სხვები არ უშვებენ და იწყებენ მის გამოჯავრებას:

„ნვიმავ, ნვიმავ, დაუშვი,
კოჭობანში ჩაუშვი.
კოჭობანი ბევრია,
ლობიოს გაუბერია“.

დარჩენილი მოთამაშე გარბის მოედნის საწინააღმდეგო მხარეს (საწყის პოზიციაზე) და მოუხმობს დანარჩენებს: „მოდით ჩემთან, მზის ბორბალი ცაზე გორავს!“ ყველანი გარბიან დარჩენილი მოთამაშისკენ, მის ირგვლივ კრავენ წრეს და იწყებენ წრეში ტრიალს, თან გაიძახიან:

„მზეო, მზეო, გამოდი,
ჩვენს ეზოში ჩამოდი;
მზეო, მზეო, გამოდი,
ჩვენს ეზოში ჩამოდი“.

წრის შუაგულში მყოფი მოთამაშე ყველასთვის მოულოდნელად ყვირის: „უუუუნა ნვიმაა, თავს უშველეთ!“ (ან ნვიმის რომელიმე სახელს ამბობს). ამ შეძახილის გაგონებისთანავე მოთამაშეები ისევ თავშესაფრებისკენ გარბიან. ერთ-ერთი კვლავ უადგილოდ (ან უქულოდ) რჩება. ახლა მას გამოაჯავრებენ მოთამაშეები. ის კი საწყისი პოზი-

ციისაკენ გარბის და დანარჩენებს მოუხმობს. ასე გრძელდება თამაში. ორჯერ დარჩენილ მოთამაშეს დანარჩენები წყლით განუნავენ. ის შემძახებელს ასახელებს და შემდეგ თამაშიდან გადის. გამარჯვებულთა ის მოთამაშე, რომელიც ბოლოს ერთადერთ „თავშესაფარში“ აღმოჩნდება. დანარჩენები მას „ოქროს ტახტზე“ დასვამენ და მოედანს შემოატარებენ.

წესები:

1. სანამ უადგილოდ დარჩენილი მოთამაშე შეძახილს არ





- დაასრულებს, მონაწილეებს „თავშესაფრის“ დაკავების (ქუდის დახურვის), ან მისკენ გაქცევის უფლება არ აქვთ.
- 2. უადგილოდ დარჩენილმა მოთამაშემ არ უნდა გაიმეოროს სხვა მოთამაშის მიერ უკვე ნახსენები წვიმის ესა თუ ის სახელი.
- 3. გაქცევისას ერთმანეთისათვის ხელის შეშლა აკრძალულია.
- 4. თამაშის სიტყვიერი ნაწილი (შეძახილები, ლექსები, წვიმის სახელები) უნდა წარმოითქვას ხმამაღლა და მკაფიოდ.
- 5. თამაშიდან გადის ორჯერ „უთავშესაფროდ“ დარჩენილი მოთამაშე, შესაბამისად, მოედანს აკლდება „თავშესაფრების“ რაოდენობა.
- 6. აკრძალულია უხეშობა თამაშიდან გასული მონაწილის განუწვევას, ან წიკპურტით „დაჯილდოებისას“.

მითითება:

- სასურველია, თამაშობა გაიმართოს ეზოში ან მინდორზე. შესაძლებელია მისი გამართვა სათანადო ფართის მქონე დახურულ სივრცეშიც.
- ინვენტარი: ცარცი ან კენჭები წრეების შემოსახაზად (ან ქუდები).
- მოთამაშეთა ასაკი უნდა იყოს 6-დან 10 წლამდე.
- სათამაშო მოქმედებები მარტივი, ყველასათვის ხელმისაწვდომია. თითოეული მოთამაშე წრეში ადგილის დასაკავებლად დამოუკიდებლად გარბის. მოთამაშის ძირითადი ამოცანაა, სირბილში გაუსწროს დანარჩენებს და დროზე დაიკავოს თავისუფალი წრე (ან დაიხუროს ქუდი). ამისათვის საჭიროა სისწრაფე და სიმარჯვე.

- მოთამაშეთა დატვირთვა დამოკიდებულია გასარბენ მანძილზე და თამაშობის გამეორებათა რაოდენობაზე.
- ბავშვების აქტივობის გასაზრდელად და ლექსიკის დასამახსოვრებლად საჭიროა თამაშობის რამდენჯერმე გამეორება. სათანადო მითითებების მიღების შემდეგ ბავშვები უფრო თამამად და მარჯვედ მოქმედებენ.
- თამაშის დროს შესაძლებელია ქართული ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშების გამოყენებაც.
- სასურველია, მონაწილეებმა გაიხსენონ წვიმის სახელები ან ლექსები წვიმაზე.
- თამაშობის დაწყებამდე მასწავლებელი ბავშვებს აცნობს წესებს და სიტყვიერ ნაწილს სათანადო განმარტებებით.
- იმისათვის, რომ თამაში კიდევ უფრო სახალისო გახდეს, შესაძლებელია თავშესაფრის გარეშე დარჩენილი მოთამაშის გამურვა ან წყლით განუწვა. ამისათვის საჭიროა წინასწარ თადარიგის დაჭერა (დაგჭირდებათ მური, წყლით სავსე ჭურჭელი, სანუნაო თოფი...).
- სანახაობითი მხარის გასაძლიერებლად, სასურველია, თამაშობა დამთავრდეს ხალხური „ლაზარეს“ შესრულებით.

სიტყვიერი ნაწილი

წვიმის სახელები: კოკისპირული, შხაპუნა, ყუყუნა, საფურცლო წვიმა, მანანა წვიმა, მზეკარა, დელგმა, ჟინჟლი, ჟღმურტლი, ჟგლეტი, თქორი, თქეში, ზღველა,

ფრუტი, ჩქაფი, ღლოფო, ღვართქაფი, იასხარი, ბუტუტი, არაზანი, გერილი, მერეხი, ჟიჟმატი, მსთვადიმცხვედი, სეტყვა, ხოშკაკალა, კოხმინშხალი, ხორხოშა....

**სარაკომუნდაციო ლექსები
შეძახილებისათვის:**

წვიმავ, წვიმავ, დაუშვი, კოჭობანში ჩაუშვი. კოჭობანი ბევრია, ლობიოს გაუბერია.

მალლიდანა წამოვიდა შავითა და ბნელითაო, ზოგსა გული შეუწუნხა, ზოგი ელის ღხენითაო.

მზეო, მზეო, გამოდი, ჩვენს ეზოში ჩამოდი.

მზის ბორბალი ცაზე გორავს, ცხრათვალა მზე ცაზე გორავს.

მზე პირს იბანს, მზე პირს იბანს. ცისარტყელა მხარს უმშვენებს.





წარმატებული სკოლა:

ტრადიცია და ინოვაცია

თელავის მე-3 საჯარო სკოლის სტუმარია ჟურნალი „მასწავლებელი“


ქალაქ თელავის მე-3 საჯარო სკოლა 180 წლისაა. რეგიონში ის ერთ-ერთ წარმატებულ სასწავლო დაწესებულებად ითვლება. ამგვარი ტრადიციით ბევრი სკოლა ვერ დაიკვებნის, მაგრამ რას ნიშნავს იყო ტრადიციების გამგრძელებელი და რეგიონში წარმატებული?

ბელა ჩიკურიშვილი

სკოლის დირექტორის, ანა ვახტანგიშვილის თქმით, სკოლის წარმატებაზე პირველ რიგში სტატისტიკა მეტყველებს: გასულ წელს 20 კურსდამთავრებულიდან 19 სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. სკოლის წარმატების მაჩვენებელია აგრეთვე მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა და გამარჯვება სამეცნიერო კონფერენციებსა და ოლიმპიადებზე, „ფლექსის“ პროგრამით სასწავლებლად წასვლა

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მიღებული თასები და ა.შ.

სკოლა, რომელიც 1830 წელს „ნადიკერის სამაზრო სასწავლებლის“ სახელით გაიხსნა, თავისი მოსწავლეებითა და პედაგოგებით ყოველთვის ამაცობდა. აქ უსწავლია პოეტ რაფიელ ერისთავს, მოგვიანებით კი – პროფესორ ლევან ციკარიშვილს და აკადემიკოს ალბერტ თავხელი-



ძეს. ერთ დროს დირექტორად ცნობილი გეოგრაფი ვასილ კიკნაძეც ყოფილა.

დღეს სკოლაში 342 მოსწავლეა. სწავლის პროცესით მათ დაინტერესებას პედაგოგთა ძალისხმევა განსაზღვრავს. სწორედ პედაგოგთა დამსახურებაა ყველა ის ინოვაცია, რაც სკოლაში ინერგება და მოსწავლეებს სასკოლო მასალის ათვისებაში ეხმარება. მათ შორისაა როგორც ქალაქში საუკეთესო, თანამედროვე კომპიუტერული კაბინეტი, ასევე რეგიონში გამორჩეული, რუკებითა და უახლესი აპარატურით აღჭურვილი ისტორიის კაბინეტი, რომელიც გასულ წელს საქართველოს ისტორიკოსთა ასოციაციამ გახსნა. ისტორიკოსთა მსოფლიო ასოციაციის, „ევროკლიოს“ რეგიონულმა ფილიალმა თელავის მე-3 საჯარო სკოლა იმისთვის შეარჩია, რომ ისტორიის კაბინეტს მხოლოდ ვიზუალური დატვირთვა კი არ ჰქონოდა, არამედ მოსწავლეებს სხვადასხვა პროექტზეც ემუშავათ. „ევროკლიოს“ პროექტის მიზანი, ისტორიის სწავლების გზით, ტოლერანტობის განვითარებაა. ამავე დროს მე-3 სკოლის მოსწავლეებმა საკუთარ პროექტზეც იმუშავეს, რომელიც თელავის რაიონის სოფელ ნასამხრალის წარმოშობასა და მისი სახელის გენეზისს ეხებოდა.

მანანა ჯაყელი, ისტორიის მასწავლებელი: „ისტორიის კაბინეტი ჩვენს სკოლაში გრანტის წყალობით გაიხსნა. ეს ფაქტი მოსწავლეების კიდევ უფრო მეტ დაინტერესებას გამოიწვევს. ზოგადად, მათ მოტივაციას ეროვნული გამოცდები განსაზღვრავს. ხშირად მესმოდა: იცით, რა, არ მჭირდება ისტორია და არ მცალია მის სასწავლადად. ისტორიის ცოდნას მხოლოდ საგამოცდო დანიშნულება ხომ არ აქვს. ეს საგანი თუნდაც საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის სწორად

გასააზრებლად უნდა ვისწავლოთ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ასახსნელად...“

პედაგოგები კმაყოფილი არიან იმ ტრენინგებით, რომლებიც კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების მიზნით გაიარეს. კომპიუტერი მნიშვნელოვნად ეხმარება იმ მასწავლებელს, რომელსაც სურს მოსწავლეებისთვის ვიზუალური მასალის ჩვენება, ინფორმაციის მოძიება, სხვადასხვა პროექტის მომზადება.

„მოსწავლეთა მოტივაცია ეროვნული გამოცდების ჩაბარებაა. მათ სხვა მოტივაციაც უნდა მივცეთ. ისტორია და ლიტერატურა იმიტომ უნდა ვისწავლოთ, რომ მომავალ თაობას ენა ენად გადავცეთ და მამული მამულად,“ – ამბობს ლიტერატურის მასწავლებელი **ლია ბანძე-ლაძე**. ამისათვის კი პედაგოგი ახალ-ახალ პროექტებს ამუშავებს. მისი დახმარებით მოსწავლეებმა შემდეგი პროექტის განხორციელება დაიწყეს: „პატივი ეცი ენასა შენსა“, რომელსაც მომავალ წელს რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე წარადგენენ. კახურ დიალექტში მათ 500 სიტყვა მოიძიეს. ამ სიტყვებს ისინი ცოცხალი მეტყველებიდან ამოღებული მაგალითებით გაამყარებენ, მასალას კი თედო სახოკიას დიალექტურ ლექსიკონთან შედარების მეთოდით დაამუშავენ. ამავე დროს ყველა კლასი კვირის მანძილზე ენის სისწორის ბიულეტენებს ადგენს, არასწორი და სწორი ფორმების მითითებით.

პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლის დაინტერესება მასწავლებელზეა დამოკიდებული.

პრეზიდენტის სტიპენდიანტი, ქიმიის მასწავლებელი **ნათელა მეგრელიშვილი**, უკვე 30 წელია, სკოლაში მუშაობს. ის გულისტკივილით

იხსნებს გასული წლების ტრიმესტრულ სწავლებას, როცა მოსწავლეებს ქიმიის ათვისება და გააზრება უჭირდათ. მიუხედავად ამისა, ქიმიის რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ნათელა მასწავლებლის ერთი მოსწავლე ფინალში გავიდა, წელს კი მეათე-კლასელმა ლალი მჭედლიშვილმა ოლიმპიადის მეორე ტური გადალახა და საკონფერენციო თემაც დაამუშავა.

ნათელა მეგრელიშვილი: „ჩემი შენიშვნა სახელმძღვანელოს ეხება: მე-10 კლასის სახელმძღვანელო მხოლოდ გამოყენებითი კუთხით არის აგებული და სამეცნიერო ნაწილი ძალიან მცირეა. ჩვენ ყოველთვის ვანყობთ შეხვედრებს სახელმძღვანელოების ავტორებთან და ისინიც შენიშვნებს მუდამ ითვალისწინებენ. იმედია, ამ შენიშვნასაც გაითვალისწინებენ. ძველმა მასწავლებლებმა აბსოლუტურად შევცვალეთ მუშაობის სტილი და დახმარება ნამდვილად გვჭირდება. ბევრი რამ კიდევ არ გვაქვს გათავისებული... სკოლას ძველი დროი-

ანა ვახტანგიშვილი





დან შემორჩენილი ლაბორატორია აქვს, რასაც ძალიან კარგად ვიყენებთ. საუბარია ვირტუალური ლაბორატორიის შემუშავებაზეც, რაც ახალი თვალსაჩინოება იქნება მოსწავლეებისთვის“.

მათემატიკის მასწავლებელი **მანანა სიბაშვილი** სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართვას ტესტებისა და სხვადასხვა პროექტის დახმარებით ახერხებს. მიუხედავად იმისა, რომ მოზარდებს აღნიშნული საგნის შესწავლის დიდი სურვილი აქვთ, სირთულის დაძლევა მაინც ბევრს უჭირს.

მანანა სიბაშვილი: „უფრო პრაქტიკული ამოცანები შემეძქვს, რომ მოსწავლემ დაინახოს, რატომ სწავლობს ამ საგანს, სად გამოიყენებს ამ ცოდნას. მაგალითად, ერთ-ერთი პროექტის თემა ბანკში თანხის შეტანა და სამშენებლო კომპანიაში მარტივი და რთული დარიცხვის პროცენტის განსაზღვრა იყო. მოსწავლეებმა ხალისიანად გააკეთეს. მათ სტიმულირებას სამეცნიერო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობაც უწყობს ხელს. მე-9 კლასელი მიშიკო მღებრიშვილი ნელსაც გადავიდა რესპუბლიკური ოლიმპიადის მე-2 ტურში. ფინალი ჯერ არ ჩატარებულა“.

როგორც ინგლისური ენის მასწავლებელი **მაია აბდელანი** აღნიშნავს, ყველაზე დიდი მონდომებით მოსწავლეები მაინც ინგლისურ ენას სწავლობენ: „მათ იციან, რომ ინგლისური სჭირდებათ. ვცდილობ, გაკვეთილი სახალისო და ბავშვებზე ორიენტირებული იყოს. თანამშრომლობის პრინციპით ვმუშაობთ: დაფის თავზე გაკრულია მასწავლებლისა და მოსწავლის ქცევის წესები, რომლებიც თვითონ მოსწავლეებმა შეიმუშავეს. მე ფასილიტატორი ვარ: თვალყურს ვადევნებ, რამდენად ასრულებენ ისინი ამ წესებს. რომელიმე პუნქტის დარღვევას შესაბამისი შედეგი მოჰყვება. ამიტომ ერთმანეთს აფრთხილებენ: ასე ნუ იქცევი, თორემ ექსკურსია არ გვექნება, ან შეხვედრა არ შედეგება და ა.შ.“

აპრილის ბოლოს თელავში საერთაშორისო უცხოური ფონდი გლობალურ პრობლემებზე კონფერენციას აწყობს. მასში სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ. ბავშვებს შესაბამისი თემების მოძიება დავავალე. ერთმა გლობალურ პრობლემად ჭარბი წონა მიიჩინია, მეორემ – დათბობა, ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ. ამ თემებს მათ პრეზენტაციის ფორმა უნდა

მისცენ. კლასში განხილვისას შევაფასებთ, რომელი პრეზენტაცია იქნება საინტერესო და ვინ დაიმსახურებს კონფერენციაზე გასვლას. შეფასება ქულებით და კომენტარებით მოხდება.

თითოეულ მოსწავლეს, ყოველ კვირა, 5-6 წინადადებით თვითშეფასებას ვაკეთებინებ. თუ შეკითხვა გაუჩნდებათ, ვთხოვ, რომ თვითონ მოიძიონ მის შესახებ ინფორმაცია. წყარო მხოლოდ ინტერნეტი არ არის, ინფორმაციის მიღება ოჯახის წევრების, მეზობლებისა და მასწავლებლებისგანაც შეუძლიათ“.

როგორც პედაგოგებმა აგვისსნეს, სკოლა ორიენტირებულია იმაზე, რომ ბავშვებმა საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ და ისეთი უნარ-ჩვევები შეიძინონ, რომლებიც მომავალში საზოგადოებრივ საქმიანობას გაუადვილებთ. აღნიშვნას იმსახურებს ისიც, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში თვითმმართველობის პრეზიდენტი, სპიკერი, საბჭოს 3 წევრი მესამე სკოლის კურსდამთავრებულები არიან.



უიკითხეთ ჟურნალი მასწავლებელი

თბილისსა და საქართველოს რეგიონებში

მოიკითხეთ თქვენი ჟურნალი თბილისში, „მაცნე“-ს, „პლანეტა ფორტე“-სა და „ელვა-სერვისის“ საცალო ვაჭრობის ჯიხურებში! საქართველოს რეგიონებში კი სს „საქპრესას“ ჯიხურებში!

გამოიწერეთ ჟურნალი „მასწავლებელი“ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში!

ჟურნალ „მასწავლებელზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად მიმართეთ „საქპრესას“ და მიიღეთ თქვენი „მასწავლებელი“ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ყოველ ორ თვეში ერთხელ!

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით. ხელმოწერა ექვსი თვით – 6 ლარი.

საქართველოს რეგიონებში ჟურნალ „მასწავლებლის“ გამომწერა შეგიძლიათ სს „საქპრესას“ ფილიალებში შემდეგ მისამართებზე:

ბათუმი	მემედ აბაშიძის №33 (ფოსტის შენობა) აჭარა, 7 22 42;	მარტვილი	თავისუფლების ქ. №12, 2 12 26; 877 97 90 38;
ახალგორი	თავისუფლების მოედანი №8, 4 26 78;	მარნეული	რუსთაველის ქ. №43, 877 97 90 62;
ადიგენი	თამარ მეფის ქ. №12, 51 59 05; 877 97 90 20;	მესტია	რუსთაველის ქ. №1, 877 97 90 68;
აბაშა	თავისუფლების მოედანი №56, 9 12 26; 877 97 90 13;	მცხეთა	დავით აღმაშენებლის ქ. №64, 2 09; 877 97 90 39;
ამბროლაური	მ. კოსტავას ქ. №2, 2 15 16; 877 97 90 37;	ნინოწმინდა	კ. მარქსის ქ. №22
ასპინძა	რუსთაველის ქ. №10, 9 10 26;	ონი	დავით აღმაშენებლის მოედანი №1, 877 97 90 41;
ახალქალაქი	მიქოიანის ქ. №15, 51 59 05; 877 97 90 20;	ოზურგეთი	გოგებაშვილის ქ. №2, 6 59 44; 877 97 90 42;
ახალციხე	დედაენის ქ. №3, 2 03 13; 877 97 90 16;	რუსთავი	მეგობრობის გამზირი №9, 12 01 55; 877 97 90 08;
ახმეტა	ლესელიძის ქ. №3, 2 14 65; 877 97 90 17;	საგარეჯო	დავით აღმაშენებლის ქ. №15, 4 36 92; 877 97 90 43;
ბოლნისი	სულხან-საბა ორბელიანის ქ. №50, 2 21 50; 877 97 90 19;	სამტრედია	თამარ მეფის ქ. №2, 2 20 52; 877 97 90 44.
ბორჯომი	რუსთაველის ქ. №103, 2 21 15; 877 97 90 28;	საჩხერე	თავისუფლების ქ. №5, 2 19 65; 877 97 90 69;
ბაღდათი	ვაჟა ფშაველას ქ. №2, 21 01; 877 97 90 18;	სიღნაღი	ცოტნე დადიანის ქ. №2, 899 23 19 28;
გორი	სტალინის გამზირი №15, 2 21 41; 877 97 90 22;	სენაკი	რუსთაველის ქ. № 253, 877 97 90 46;
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის ქ. №74, 877 97 90 21;	ტყიბული	კ. გამსახურდიას ქ. №53, 2 35 30; 877 97 90 47;
გურჯაანი	თავისუფლების ქ. №7, 2 08 57; 877 97 90 64;	ფოთი	წმინდა გიორგის ქ. №16, 2 28 48; 877 97 90 48;
დმანისი	წმინდა ნინოს ქ. №46, 2 10 61;	ქუთაისი	დავით აღმაშენებლის გამზირი №24, 7 71 79; 877 97 90 06;
დედოფლისწყარო	რუსთაველის ქ. №53, 2 29 76; 877 97 90 23;	ქარელი	მგალობლიშვილის ქ. №5, 3 13 45; 899 76 69 81;
დუშეთი	სტალინის ქ. №21, 2 16 02; 877 97 90 25;	ყაზბეგი	დაბა ყაზბეგი, 5 20 12; 877 97 90 59;
ვანი	ჭავჭავაძის ქ. №43, 2 15 72; 877 97 90 26;	ყვარელი	ილია ჭავჭავაძის ქ. №150, 877 97 90 51;
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის ქ. №21, 5 28 53; 877 97 90 27;	ჩოხატაური	მშვიდობის ქ. №5, 877 97 90 52;
ზუგდიდი	რუსთაველის ქ. №92, 2 29 11; 2 35 95; 877 97 90 03;	ჩხოროწყუ	კოსტავას ქ. №5, 2 15 10; 877 97 90 66;
თელავი	მ. კოსტავას ქ. №10, 3 12 31; 877 97 90 02;	ცაგერე	რუსთაველის ქ. №12, 25 12; 877 97 90 53;
თერჯოლა	რუსთაველის ქ. №63, 2 11 12; 877 97 90 71;	წყალტუბო	რუსთაველის ქ. №6, 2 23 45; 877 97 90 55;
თეთრიწყარო	თამარ დედოფლის ქ. №20, 2 29 98; 877 97 90 32;	ნაკა	ლენინის ქ. 68
თიანეთი	ლაშარის ქ. №5, 9 18 46; 877 97 90 33;	ნალენჯიხა	თბილისის ქ. №2, 20 62; 877 97 90 54;
კასპი	სააკაძის ქ. №1, 2 27 28; 877 97 90 34;	ხონი	გამარჯვების ქ. №2, 2 14 29; 877 97 90 58;
ლაგოდეხი	26 მაისის ქ. №6, 2 23 20	ხობი	ცოტნე დადიანის ქ. №86, 22 24; 877 97 90 11;
ლანჩხუთი	ზაალ მდინარაძის ქ. №1, 877 97 90 36;	ხაშური	რუსთაველის ქ. №2, 4 20 98; 877 97 90 57;
ლენტეხი	დაბა ლენტეხი, 51 59 05; 877 97 90 20;	ხარაგაული	სოლომონ მეფის ქ. №58, 2 12 88
		ჭიათურა	ილია ჭავჭავაძის ქ. №4 5 30 41; 877 97 90 56

ხელმოწერის პირობებზე და თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ზემოაღნიშნულ მისამართებზე, მითითებული ტელეფონების საშუალებით.

დაგატავითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

სს „საქპრესა“: ქ. თბილისი, დიდგორის ქ. №2^ა, ხელმოწერის სამსახური: 51-59-05 ან 51-60-04;
„ელვა-სერვისი“: ტელ: 38-26-73 ან 28-26-74.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95 ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

რეფორმების სტრატეგია



2010-2015



www.tpdc.ge